

ქეირან თოდუა

მე მუნის მიწიერ ვიცოცხლე

ამირან თოდუა

მე წყნილი მინდა ვიცოცხლო

ქ. ბათუმი

რედაქტორი: **ინგა გოგიბერიძე**

წინასიტყვაობა: გიორგი აღნიაშვილი

ელეონორა ძიგუა

©ISBN978-9941-0-9767-6

დაიბეჭდა: შპს „WORLD PRINT“

ბათუმი, პუშკინის ქ. 65

ტირაჟი 100 ცალი

***

ბატონო ამირან, გთხოვთ პირფერობაში ან ლიტონი სიტყვის მებაირაღედ ნუ შემრაცხავთ. აგერ თქვენს ლექსებს ვკითხულობ და ვიტყვი „ჩოხოსანი ლექსია“ თქვენი პოეზია. მიყვარს, როცა პოეტი საკუთარ შინაგან სამყაროს ვაშკარანებს ახსნის და ეტრატივით გადაგიშლის საკუთარ „მე“-ს . . .

ღვთის დიდი ბუნება, სულში გვაქვს ჩაწნული,
კაცური ეშხით და ქართული მოტივით!

გეთანხმებით, ასეა ... კაზმული და ორჭოფი სიტყვა ვერ ვიპოვე თქვენს ლექსებში და გამიხარდა, რადგან თქვენი ლექსებით „იყო ვინ?“ წაკითხვის უფლებას აძლევთ მკითხველს, ეს კი გულში შობილი და გონებაში დაღვინებული სიტყვის მთქმელ კაცებს ახასიათებთ მხოლოდ.

თუ ამბობ... ჩემი წინამძღვარი ხარ!..
მაინც, საითკენ მიმიძღვი ნეტავ?!.
თუ ვხედავ მე, რომ უმეცარი ხარ!
და თანაც ბრმა ხარ, იმასაც ვხედავ!!
მაინც გამოგყვე?!. გადავიჩეხოთ ?!.
და ერთმანეთის დავიდოთ ცოდვა?!.
თუ, სისწორეში მეც ჩავიხედო,
რომ სწორი გეზით დავიწყოთ ცოცვა?!!

ამ სტრიქონებზე გამეღიმა, ჩვენი დღევანდელობა დაგიწერიათ ამ ორიოდ ბწკარში.

თითქმის ბოლომდე ჩავიკითხე თქვენი ლექსები, საჭრეთელივით გულს ღადრავდა ეს სტრიქონები, იქნებ თუ ვინმეს მოეჩვენოს მელანქოლიად, რომ უფლისთვის სიტყვას ცრემლად ღვრიდა ლექსის სტრიქონი. აბა რა გითხრათ? თქვენი სიტყვა გონებას ჩამრჩა, სიტყვა ჩვეული უჩვეულოდ რიხით ნათქვამი, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ უპრიანია: რას ვეუბნებით ანგელოზებს, აწყმოს „რაინდნო“!.. ხელჩასაჭიდი რა შევქმენით ამ ხნის მანძილზე?!.. ის სასირცხვილე უჯრედები, სადღა ჩაიდნო? რომ ფასი გვიდევს, უძვირესი, საღათას ძილზე!!

მეტს აღარ დავწერ, თუმცა ბევრი კიდევ დამრჩა ალბათ სათქმელი. მკითხველმა განსაჯოს თქვენი ლექსი სიტყვა მრავალი, „დამფასებელი“ გაუმრავლდეს თქვენს პოეზიას, „შემფასებლად“ კი დრო, თავისი წესით გამოცდის.

გიორგი აღნიაშვილი, პროზაიკოსი

***

„ჰე, ღმერთო ჩემო, მაღალო, ყოვლისა შემძლე განგებავ,
აწ შენ განსაჯე ყოველი, ვინ რომელ მხარეს სად დგება.
მწამს, მრწამსი ვინაც დაიცვას, განსჯის დრო როცა დადგება,
რამდენიც უნდა ჯვარს აცვან, ის ზარ-ზეიმით აღსდგება“. ა.თ.

სამშობლოსაგან შორს მყოფი, სამშობლო მონატრებული, ლექსად ამღერებული პოეტის მოფერება-მშობელ მიწას, მშობელ ხალხს ეძღვნება. უყვარს და სტკივა. რაღაც მოსწონს, რაღაც არ მოსწონს. მშობლიური ცა, მთები და ველები. უსაშველოდ მონატრებია და იღვრება ლექსად, რომელიც ლოცვასავით შემოდის შენში:

„იმაზე, ვის გამოვადგე
რამდენსაც შევძლებ, ღვთისაა ნება,
კაცს სად ვჭირდები, მეც იქვე დავდგე
მადლობა უფალს ეს მაქვს ოცნებად.“ ა.თ.

ნეტა, რა აწერინებს ადამიანს ლექსს, რა განცდაა ეს, რა ნიჭი, რა გრძნობა, ულამაზეს მელოდიად შემოდის შენში, სულში გაზაფხულს დაგინთებს და აცრემლებულს გაგაღიმებს.

ლექსით გეფერებათ, თავის მონატრებას სტროფებს ატანს. წარსულს შეგახსენებს, გიყვარდეთო, გახსოვდეთო ვისი გორისა ხართ. ლექსით მოდის და სილამაზედ. მოდის სიკეთედ.

შენ კი მკითხველო, გიყვარდეს იგი, ვინც შენი მიწის მეხოტბეა და მოტრფიალე, პოეტი ამირან თოდუა. მისი ლექსები შენთვისაა, ვისაც პოეზია გიყვარს, სილამაზისა და სიკეთის ტრფიალი ხარ: ლექსები სამშობლოზე, სიყვარულზე და საერთოდ ყველაფერზე, ფიქრად რაც მოვა, რაც ბედნიერს გხდის.

„იფრინოს უღრუბლოდ მაღლა,
ღვთისკენ წაიღოს კარგი ზღაპარი,
სიკეთის მქნელმა არ იგრძნოს დაღლა,
მისთვის ყვაოდეს ვარდად ბაღნარი.“ ა.თ.

წარმატება ბატონ ამირანს!

ელეონორა ძიგუა-
ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო
განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარი.
2017 წელი. 22 თებერვალი.

ღირდა ლოდინი

ზღვაც არ გაშინებს, რომ გადმოცურო
მუხლამდე გწვდება ღელვა ტალღისა,
სიცოცხლის ბინულს არ მომაწყურო
ღმერთმა ქნას, გულში ჩაკვრა მაღირსა.
დარჩი ზღვის გაღმა... გვიმუხთლა ბედმა
თითქოს გაქრაო, ზღვაში ნავები
შენ იქ დაგტოვა, იმ ბედმა-ყბედმა
მე, ზღვის გამოღმა, ბადეს გავები.
მაგრამ... წინ არის, ვიცით, ცხოვრება
ზღვის დასალაშქრად, გვიხმობს აისი,
ჩვენ გულში, მუდამ გვემახსოვრება,
როგორ ყვაოდა ჩვენში მაისი.
კვლავ აფეთქდება, ნუში აპრილში
ჩვენი მაისიც, კვლავ იმაისებს
და იქ შევხვდებით, ცის იმ ნაწილში,
რომ შეუღებავს ზღვა იმ აისებს.
... როგორ ჩვევია ავბედს ზოზინი
ღმერთმა ქნას, გვეთქვას: ღირდა ლოდინი!

სადა ვართ

რომ აღარ გვქცეოდა ცხოვრება დუხჭირად
ჩავხედოთ ჩვენს გულში, ამისთვის რა ვქენით.
ეს ჩვენი სიცოცხლე შეფასდეს მთლად ჩირად
იქითკენ მივმართეთ დღეს ჩვენი საქმენი.
არ ვიცით სად დადეს სამართი აღვირი,
ჰორიზონტს გადასცდა სამიზნე ნიშნული,
თუმც ამას ძე ღმერთი, ხმამაღლა გაჰყვირის
მაგრამ არ დაძრულა გალღობად ყინული.
ყურნი გვაქვს...კი მაგრამ, არ გვესმის საყვირის,
მამისგან წილს ვიღებთ, საფლანგად განწირულს,
ანგელოზს არ სძინავს, ის მხრებზე დაგვსტირის
უძღებ შვილს ვემსგავსეთ ცოდვებში ჩაძირულს.
ის იმით გვჯობია, გაექცა აქ აისს,
მიხვდა, რომ ცოდავდა და უკან მობრუნდა,
ჩვენ თვითონ ვიხატავთ, ჩვენს გზებზე, ჩვენს დაისს,
ირემმა აგვკენწლა, მის რქებზე, ქორბუდამ
... მივყავართ იმ ირემს, მის რქებზე ასხმულნი
არც ვიცით, სადა ვართ მთლად თავზარდასხმულნი!

კარგია

ოდესღაც, თურმე მეც ვიყავ ბავშვი
ძლივს სახსენებლად, ის ხანა დამრჩა,
გულით ცხოვრების, მომეცა საშვი
სული კი ისევ, ბავშვური ჩამრჩა.
წამოიზარდა კი, ცოტა მაგრამ
არც-რა დაეტყო სულს მომწიფების,
ის თავის ბავშვურ ელფერს არ კარგავს
არც ელასტიკას ვუწუნებ ფრთების.
ის საუკუნე სუფევას ლოცავს
თუმც ჯერ მიწიდან არ უშვებს გული
კარგია, თურმე ერთად გაქვს როცა
დიდი გული და ბავშვური სული!

ნამდვილ სიყვარულს

მსურს დავივიწყოთ ჯავრი და წყენა, მე და შენ ერთად
კვლავ გავიხსენოთ, ზე სიყვარული, ვადიდოთ ღმერთად,
სიყვარულმა ხომ შექმნა სამყარო, მოზიდა დღემდე
და მოგვცა ლხენა, რომ ჰარმონიით, ბოლომდე ვჟღერდეთ,
გავითავისოთ ჩვენც ის სითბო, ხავერდი მისი
შევიტკბოთ სიტკბო, რომ მოფერების, ჩვენც გავხდეთ ღირსი.
და კვლავ ცხოვრების, გავილაღოთ იდუმალება
გვანახებს ყოფაც, თუ წინსვლის კოდი, სად იმალება,
რას გვაწყობს ნგრევა და მითუმეტეს, რომ ვდგავართ რაზეც
ნუ დავაყენებთ ამ დედამიწას დაღუპვის გზაზე.
სჯობს დავივიწყოთ და გამოვიდეთ, ცნება - მტრულიდან
და მოვიშოროთ, სულ მოვიშოროთ თრთვილი გულიდან.
სიყვარულია, ხომ ყველაფერზე აღმატებული
მაშინ რატომ ვართ, ჩვენ განცხრომაზე თავდადებული
რატომ გვსურს, სხვების ზურგზე შევდგეთ, ისე „ავმაღლდეთ"
რომ ჯოჯოხეთში, იმ ამაღლებით, სრულად ჩავძაღლდეთ,
რად ვამჯობინებთ ამპარტავნობას, ჩვენ, დიდ სიმდაბლეს
ხომ არ გვგონია, რომ სიმდაბლე, არის სიდაბლე?
თავს ზედ წამოვყოფთ, კენწეროსკენ ძლიერ მარტივად
და ქვეშ შევუდგამთ, ჩვენს უმეცრებას, მას „ბრძნულ" შტატივად.
მდაბალი იყო, ყველაზე დიდი - ღმერთი მაღალი
მას სიყვარულში არ ჰყავდა და არც ჰყავს ბადალი.
გზა მივცეთ მხოლოდ, სიყვარულისგან აღძრულ სინანულს
მისი დაკარგვის შიშისგან შექმნილ, ნამდვილ სიყვარულს!

თუ გაჯავრდა

ვინა ვარ ვიცი, მაგრამ არ ვიცი
ვინა ხარ შენ, რომ იჩემებ ჩემ თავს.
ტანჯვას სულისას, რატომ განვიცდი
მითხარი მაინც, საითკენ მიგყავს,
თუ ამბობ... ჩემი წინამძღვარი ხარ
მაინც, საითკენ მიმიძღვი ნეტავ,
თუ ვხედავ მე, რომ უმეცარი ხარ
და თანაც ბრმა ხარ, იმასაც ვხედავ.
მაინც გამოგყვე?! გადავიჩეხოთ
და ერთმანეთის დავიდოთ ცოდვა,
თუ, სისწორეში მეც ჩავიხედო,
რომ სწორი გეზით დავიწყოთ ცოცვა.
თავმოყვარება არ მოგცემს ნებას
იტყვი, რომ შენ ხარ
უ - პ ი რ ა ტ - ესი
არ ვიცი, თავზე არ ვიწყებ ქებას
მაგრამ... არ მესმის მე
პ ი რ ა ტ - ების.
მე ვიცნობ თავად თვით ქრისტეს ვნებას
ხელის დაბანვით, ბნელ პილატესი.
... მე, ვიცნობ ქრისტეს და მამას მისას
და თუ გაჯავრდა, მერწმუნეთ, მტრისას!

სული ეული

უხილავი ელექტრონის ხომ გვჯერა
სასწაულსაც მათ წყობაში, კი ვხედავთ
ვეღარ ვიცლით, სულს მივაპყრათ, ჩვენ მზერა
სანამ იგი სამუდამოდ გაგვხედნავს.
უხილავი კია სული, კი, მაგრამ
მას ციფრებზე, ბევრად დიდი წყობა აქვს
თუ ციფრები ფულს გვიჩვენებს, სულ კარგად
სულს უფლისკენ, თვალთახედვის გზა მოაქვს.
ჯობს მივაპყრათ, უფრო მეტი, მას მზერა
უკვდავია, რაც ყველაზე ძვირფასი
ვისაც სულის სიდიადის არ გვჯერა
ჩამომართვით, ეს, უმეცარ სიტყვაში.
მივაპყრათო, თუ აღარ ჩანს, მაშ როგორ,
გვეწერება კითხვა გულის დაფასთან
არც ღმერთს ვხედავთ, ჩვენ მაგ სულის გამომგონს
დღემდე შრომა, არც მაგისი დაფასდა,
ოკეანის გაღმა სიტყვას ვით ვაწვდენთ
ეს არ გვიკვირს, ტექნოლოგებს ციფრისას,
სულში ღმერთის განჩინებას ვინ ვაწვენთ
ან საერთოდ, ვის გვცალია მისთვისაც.
მოვეფეროთ, დამიჯერეთ, უხილავს
ხილული ხომ თავს გვაბეზრებს ისედაც
და თუ ღმერთი სიყვარულში გვიხილავს
არ ვინანებთ, მაშინ, სულის მიხედვას.
...არ ვიქნებით ჩვენ, არასდროს, წყეული
არ გავხადეთ თუ კი სული, ეული!

ვინ შეარჩენდა

რატომ გამხდარა პეპლის სამზეთი
ასე მოკლე და გულთ სათაკილო,
რად ასიკვდილებ გრძნობას სამ დღეში
გაუმაძღარო, შავო სიკვდილო.
ვინ შეამოკლა სიცოცხლე მათი,
ვინ მოუვლინა სიკვდილის ბრაზი
რა ვქნათ, წინაპრად თუ ჰყავდათ მატლი
თავად ხომ იყვნენ, ნაზებზე ნაზი.
აჰა, უარყვეს მათ უარყოფა
მატლნი იყვნენ და იქცნენ პეპლებად
თურმე ასეთი ყოფილა ყოფა
გვირგვინსაც კრავენ, ხოლმე, ეკლებად.
... ეკლის გვირგვინით თუ ვამკობთ მართალს,
ვინ შეარჩენდა პეპელას მაგ ფრთას?!

უკეთესი არ მეგულვის

ჩაფიქრებულა მომავალი ჩვენი თაობა
რანი ვიყავით? შევრჩენილვართ, დღეს რანი ხელში,
აკვირვებთ ალბათ... არაფრისთვის ჩვენი მზაობა
და ნერწყვიც მგონი... ეჩხირებათ, საყლაპავ ყელში.
რას ვეუბნებით ანგელოზებს, აწყმოს „რაინდნო“,
ხელჩასაჭიდი რა შევქმენით ამ ხნის მანძილზე
ის სასირცხვილე უჭრედები, სადღა ჩაიდნო
რომ ფასი გვიდევს, უძვირესი, საღათას ძილზე
შეხედეთ მყოფადს, სიცოცხლეა სადაც საჭირო
ვინღა შეუქმნა, სამომავლო მას საფუძველი,
რომ ვუთხრათ მაინც, რომელ ღილაკს სად დააჭირონ
გადაეშალოთ, ქმედებისთვის, ცნობის ფურცელი.
მე, სილამაზის დამრჩენია, მაინც იმედი
და სიდიადის, ბუნებრივის, ქართული სულის
ჯერ არ იმღერებს... კვლავ იცოცხლებს ის ჩვენი გედი
საბედნიეროდ, სადიდებლად, ჩვენი წარსულის.
... დიახ! სიცოცხლეს კვლავ გვპირდება, ჩვენ სილამაზე
და უკეთესი არ მეგულვის, რამე ამაზე!

მზად ვარ

მოდით, მოვსინჯოთ, სიყვარულით მოვეპყრათ ერთურთს
მეც დამიტოვეთ, გულის კარის გაღების შანსი,
მომისათუთოთ, მეც ალალი გრძნობებით შეთქმულს
გამაგებინოთ, იქნებ ეულს ერთობის ფასი.
გზას აცდენილი, მომაბრუნოთ უძღები შვილი,
ამპარტავნობის მოვანგრიოთ ყველა სადავე,
სწორი ცხოვრების, მაგრძნობინეთ მეც ცოტა წილი,
რომ სიყვარულმა, კვლავ იპოვოს ჩემში სათავე.
მე, მივიწყებულ სიყვარულზე ავლაპარაკდი
ჩემში სიწრფელე, როცა ვნახე, არვინ განსაჯა
ვერ ვისვენებდი, ძილს უფლებას, ალბათ ვპარავდი
რადგან ვიგრძენი... მე მართალი- მტყუანმა მსაჯა.
რაც იყო, იყო! ჩავაბარო მე, მზად ვარ წარსულს
თუ კი მენიშნა, რომ შემოგვაქვს, ბნელში სინათლე,
თუ კი ჩამოვწერთ, ძველ მუხრუჭებს, აწ ვადაგასულს
და აღარ დავწვავთ მომავალში, ცეცხლში, სიმართლეს.
... მეც მზად ვარ! მაშინ ჩემი თავი თქვენ განაცვალოთ
ვინც ძველი ცუდი, ახალ კარგში, მზად ხართ გაცვალოთ!

მათე ბიჭო

მათე ბიჭო! საქართველო, გელოდება შენ!
თუმც გვრცხვენია, მაგრამ ვერა მოვახერხეთ ჩვენ,
შენს პაწაწა ხელის გულზე, ქრისტეს გული დევს
პაწაწინა რწმენის ალი, ჩვენც იქ დავდეთ დღეს.
მათე ბიჭო! შეავედრე იბერია ღმერთს,
შავისაგან, მომავალში, რომ არჩევდნენ თეთრს,
კარგად ცნობდნენ შენი ტოლნი, მოყვარეს და მტერს
ყველა ერთად ახარებდეთ, მრავალტანჯულ ერს.
გვაპატიეთ, დიდ საქმეებს, თქვენ გიტოვებთ ბევრს
ვეცდებით, რომ მთლად ცარიელს, არ დავტოვებთ ქვევრს,
მოკლე სიტყვა, ვიცით ყველამ, ხან ცოტა გრძლად ჟღერს
ისიც ვიცით, რომ შენს მკერდში, მომავალი ძგერს.
გულს ახარებ მოყვასისას, ძირს უმაგრებ ჭერს
თვალს უბრმავებ, შენი ეშხით, შურიანს და შტერს,
იმედი ხარ, მათე ბიჭო! უხარია მზეს
და ის სხივებს არ მოგაკლებს, შენ იცოდე ეს.
უიმედოდ ნუ იქნები, ნუ გამოგვჭრი ყელს,
არ გაშორდე სვეტიცხოველს, ღვთის ნაბოძებ ძელს.
... ქრისტეს კვართი დაგიფარავს, მოგიმართავს ხელს,
მტერს დაუნთებს ფეხქვეშ კოცონს, ის ძალიან ცხელს!

ცხოვრების იმედი

საავდროდ შეკრულო, პირქუშო ღრუბელო
მზეს ბურავ და ფიქრობ მე შიშთან მივედი
გეყოფა, ავქარი შიგ გულშიც უბერო
სულისთვის, უფლის მაქვს მე მაინც იმედი.
დიახ, ის ერთია, ვინც მათბობს იმდენად
ვერავინ მაშინოს სუსხით და სიცივით,
ის მასხამს მე ფრთებს და თან მაქცევს იმ გედად,
ვინც მხოლოდ ლაღობს და გულს გიკლავს სიცილით.
დაწყნარდი ღრუბელო! გზა მიეც მზის სხივებს
დაათბოს მიდამო, გეცვალოს იერი,
ის დარდი, რაც გულებს გიღრნის და გისიებს
გააქრე და ნუ ხარ გველივით ცბიერი.
... დიახ, მე კვლავ გეტყვი, ცხოვრების იმედი
მე მხოლოდ უფლის მაქვს და მასთან მ ი ვ ე დ ი !

ავიხდენ სურვილებს

დავრწმუნდი, რომ ფიქრებს ცოდნია ჯაღარა
სულ რაღაც სამოცის, თითქმის მთლად გავთეთრდი
ჯერ კიდევ მწყობრშია, დაფიც და ნაღარაც
არავინ იფიქროთ, რომ უკვე დავბერდი,
ჯერ კიდევ მწყობრში ვარ, უღლელი მხედარი
ბედ-იღბალს დუელზე, პირადად შევხვდები
ერჩივნა ეგლოვა მას მისი ცხედარი
იმდენჯერ მოხვდება ჩემგან მას მეხები,
დავლეწავ ჭექვით და დავლეწავ ქუხილით
სულ შავ ბოლს ავადენ, ავბედის ბეჭისგან,
მსურს ჩემს ხალხს ვაშორო, გმინვა და წუხილი
სიწმინდე დავიცვა უაზრო ეჭვისგან.
... ჯაჭვების დაწყვეტის, ავიხდენ სურვილებს
და მით დავიოკებ მე გულმშრალ წყურვილებს!

ვინც ცოდვის გარსია

ანათებს ცისკრიდან, უფლისგან კურთხევა
აიღეთ და გესმათ ციური ძახილი,
შეწყვიტეთ! ძმისაგან, სისხლი რად ინთხევა
ჩააგეთ სასწრაფოდ, კაენის მახვილი.
აიღეთ! თქვენ გესმათ, ვისაც ეს ეხება,
ვისაც გაქვთ ხელები ძმის სისხლში გასვრილი,
ვისაც გაქვთ ღალატთან პირადი შეხება
და შუღლით, უბე გაქვთ პირთამდე აღვსილი.
აიღეთ კურთხევა! იძლევა უფალი
თავს ზევით სხვა ძალა, იცით, არ არსებობს,
გჯეროდეთ! ბრძნულ სიტყვას, ტყუილად არ უმადლით
ცდუნების მსხვერპლი ხართ, ცოდვების გარსებო.
... უფლისგან ეს ნაღდად, მწამს ბოლო შანსია
აწი თვით გაერკვეს, ვინც ცოდვის გარსია!

არ მომხდარა

წაიკითხეთ! ვინც განსჯიდა
იცით, თურმე რა მომხდარა?
გალა, მაშინ იმ ფანჯრიდან
თვითონ აღარ გადმომხტარა,
მას მოადგნენ ფანჯრის არეს
ანგელოზნი, მნათნი მზეში,
სული მისი ჩაიბარეს
ძირს დააგდეს, მხოლოდ ლეში,
ხშირად ვხედავ, მზის სხივებში
ტერენტისთან, რომ ბჭობს გალა,
სულს მითბობენ სიცივეში
ლექსის წერის, მგვრიან ძალას.
... ღმერთმა მათთვის გადმოყარა
ტალანტების მონეტები,
რომ კვდებოდნენ?! არ მომხდარა,
ცად გარბიან პ ო ე ტ ე ბ ი !

სანამდე გავყვითლდით

ჰე, ღმერთო გულები დაათბე ხელებით
ხელებით, ცხოვრებით ანთებულთ სხვა ფერად
მათ, ვინც ბედ-იღბლისგან ვართ განახელები
მოგვმადლე ზეციდან ძალები მაშველად.
მოგვხედე უფალო! უშენოდ გავწბილდით,
აქ, ერსაც და ბერსაც გვეცვალა იერი
ხომ ხედავ, გავვურჩდით, გავლურჯდით, გავწითლდით
გაგვიჩნდა მახრა და სულს გვიხრავს ცბიერი.
დამდგარა დრო, შენი, ჩამოსვლის უფალო,
ხელებში გვადნება ცხოვრება უგულო,
დღეს ვინც ჩვენ გვგონია ყველაზე უბრალო
მგონი ის გამხდარა ყველაზე ურჯულო.
... ჩამოდი უფალო! გვამყოფე ლოდინი,
სანამდე გავყვითლდით, დაგვჯაბნის ბოტკინი!

ცხელ ტბაში

რად გვინდა სხეული, თუ სული არა გვაქვს
თუ სული არა გვაქვს გაწვრთნილი ცხოვრებით,
ხორცს ვუვლით, ვსათუთობთ, სულს ვაცლით არაქათს
დავდივართ, ვით წყალში ჩაყრილი მორები.
მივყვებით დინებას, უსულო საგანი
სული ვინ მოგვპარა, ვეღარც კი გავიგეთ
ვისმინეთ, ვიღაცის, უაზრო ქაქანი,
რომელმაც არც გვითხრა, თუ საით წავიდეთ.
პირიქით, გაგვხვია ცოდვებში მაცდურად
უმიზნო ქარები, გვაქანებს მსუბუქად
სულისთვის ქვესკნელი ვაქციეთ სადგურად
თავად კი, ვიქეცით ეშმაკის გუნდრუკად.
... სჯობს სული ძლიერი, უბადრუკ სხეულში
ვიდრე ვართ ეულად, ცხელ ტბაში წყეულში!

ყველა დაინახავთ

სარეველა საშიშია, თესლს ედება მტლად
დროზე თუ არ ამოძირკვე, კეთილს ახშობს მთლად,
უარესია მოღალატე, ის უცებ არ ჩანს,
ავ საქმეს, რომ შეუდგება, მანდ გამოყოფს შხამს.
იტყვით: რა ვქნათ?.. ავისაგან, რით ვუშველოთ თავს?
ანდა, კარგი კაცისაგან, ვით გავარჩევთ ავს,
ისინი ხომ გველებივით,მთლად იცვლიან კანს
სულ ის არის შხამით სავსე, ვინც ლამაზი ჩანს.
პრევენციის მისაღწევად, ჩვენ მივმართოთ რას,
მათი ავი ქმედებები, უცებ თუ არ ყარს.
დიახ! გეტყვით: არ ადვილი, მის აღკვეთა არს
თუ არ დავდებთ რწმენის ბოქლომს, ჩვენს გულების კარს,
თუ მართალი ლოცვის მადლით, არ გავახელთ თვალს
კარგისაგან, ჩვენ ვერასდროს, ვერ გავარჩევთ ავს.
მხოლოდ ზენას!.. მხოლოდ ღმერთსა!.. და არ ვენდოთ სხვას
ყურადღებით მოვუსმინოთ, სახარების ხმას.
იქ ღმერთია მხოლოდ მამა... და ვერ მამობს სხვა
ჩვენაც ზუსტად აქ დავიწყოთ, სარეველის სხვლა,
აღარ ვენდოთ ცრუ ქრისტეებს... დავუცადოთ ნაღდს,
მაშინ ყველა დაინახავთ, ამ სიტყვების ყადრს!

სიმღერით ვაღმერთოთ

მიყვარხარ სავანევ, მიყვარხარ აწყურო,
მიყვარხარ ტაო და მიყვარხარ ვარძიავ,
უფალო გვედრი შენ, ნამი იქ აპკურო
სადაც, რომ ქართველთა სულების განძია,
მწყურია ყოველი, უჯრედი, ქართული,
ხამს, მუდამ ხარობდნენ კახნი და რაჭველნი
მსურს ღმერთთან ხვეწნაში, სულ ვიყო ჩართული,
რომ ქართულ ერთობას, დაადგეს საშველი,
მთავარი რაც არის, გვახსოვდეს სულ მუდამ
ურთიერთ სიყვარულს ავუნთოთ ლამპარი,
ნუ ვშვრებით, რაც ჩვენს მტრებს, საკუთვრივ, სულ სურდათ
საწმისად წაეღოთ ის ჩვენი ზღაპარი.
...სიმღერით ვაღმერთოთ, მთა ნასაკირალი
ღმერთო! არ მანახო, ქართველი მტირალი.

თანხვედრი გახდება

ხანდახან ვფეთქდებით, აპრილის კვირტივით
ხანდახან, შიგ გულში, ფეთქდება ნაღმები,
ხანდახან ზღვაში ვართ, უაფრო ტივივით
ხან კიდევ, ქარს მიაქვს უნავო აფრები.
და მკითხავთ: რა ხდება? მიზეზი რაშია,
რატომ აქვს ხასიათს, ასეთი კონტრასტი,
- მე გეტყვით: აქ საქმე, იდუმალ ხმაშია
რაცა დევს, ხშირ-ხშირად, ჩვენს გულის ფოსტაში,
მოდიან ეს ხმები, ქვეცნობის ფურცლიდან,
შიგთავსი ტალღების სიხშირის მიხედვით
რატომ და ან როგორ? ამოდით მუცლიდან
ლოცვები დავიწყოთ და მერე მივხვდებით.
... ლოცვები დავიწყოთ! ზეცისკენ მავალი
თანხვედრი გახდება, ჩვენთან მომავალი!

რომ არა ცოდვები

ნუ ვიზამთ სიცოხლე, რომ ტვირთად ვაქციოთ
ის ისე ტკბილია, ვით ვარდის ნექტარი
თუ შევძლებთ ცხოვრება ტაძრისკენ წავსწიოთ,
სიწმიდე დავიცვათ ღვთისმშობლის ზეწარის.
სიკეთის მარცვალი შევფუთოთ სიმართლით,
მომავლის ბეღელში გადავდოთ საწინდრად,
სიბნელეს ავუგოთ ანდერძი სინათლით
ღიმილი მოვირგოთ, ტირილის მაგივრად.
სიცოცხლე ჯილდოა, ღვთისაგან ნაბოძი
სულია მოსული, საკუთვრივ, ზეციდან,
ჩვენ დაგვაქვს ვით ტვირთი და ისე დავდივართ
თითქოსდა აქლემის საპალნე გვეზიდა.
... მწამს, არა იქნება ჩვენს სულზე მსუბუქი,
რომ აღარ უკმევდეს ცოდვების გუნდრუკი!

ნუ ვაგებთ მახეს

მოდით დავფიქრდეთ, ნუ დავაგებთ მახეს ისეთებს
გაებმებიან, რაზეც ჩვენი შთამომავალნი,
რის შემხედვარეც, მტერნი ჩვენნი გულებს იკეთებს
როს დაგვინახა, ჯურღმულისკენ, ჩვენ ჩამავალნი.
უკან მოარულთ, წინ დადგმული მახე არ გვავნებს,
მაგრამ რა იცით, ეგებ შვილებმა ინებონ წინსვლა,
ან ვინ დაუშლის, თუ არ მოვსპობთ ჩვენ თავად სამნებს
მათ ამბიონთან, თვალდახუჭულ, გულმართალ მისვლას!

ვასრულებ რჩევას

მეც გული მითრთის, რომ ვხედავ, ხეს გათეთრებულს რთვილითა
ტანში მაჟრჟოლებს ცოტათი, დრო, რაც ზამთრამდე მივიდა,
ვერ ვგუობ სუსხს და სიცივეს, ვგრძნობ ხანი გადამივიდა
სული მიილტვის სითბოსკენ, ვით კვირტი მზისკენ სულისა.
ვხედავ მზემ აღმოსავალით, ამოჰყო სხივთა წვერები
თითქოსდა სურს, რომ დამცინოს, აქ თავსა რად ვიბერებდი,
ვეღარ მიგვრძნია მე თითქოს, კვლავ გაზაფხულის ფერები
იას, ამოსულს თოვლიდან, მივცუცქდი და ვეფერები,
ღმერთმა დამბადა მეორედ, და დამიწესა მისია
ვენთო სანთლად და ვიწვოდე, გზები ვანათო სხვისია,
მითხრა: ღამისა დაძლევა, დღეს ამოცანა დღისია
მიზნად გაქვს დღე ადღეგრძელო, ღამის გაფანტო ნისლია.
ნუ მიგიპყრია გონი შენ, სუსხისა მაგ თავხედისა
განახო, როგორ დავადნო, ალმური მისსა ბედისა
იცოდე, ზენას მადლია, სიცოცხლე, რაც შენ გეღირსა
შეირგე, მიწად სხვას არგო, ზეცად აქუჩო შენთვისა.
და ისევ მომცა სიცოცხლე, გამჩენმა დედა-ბუნების
არ დამიტოვა შანსიც კი, საკუთარ თავის ცდუნების
მითხრა: გაქვს ესე საწუთრო, ხმა არ გავიგო გინების,
იყავ სიმშვიდით კაზმული, მონა-მორჩილი მის ნების,
გეყოს სიჩქარე, ნუ ჩქარობ, გულში სიწყნარე დაუშვი
სადაცა ნახო სიკეთე, ღუზაც იმ უბნად ჩაუშვი,
თუ ვინმემ გზაზე გიმუხთლა, ტაიჭს ლაგამი აუშვი,
შორს გააჭენე იმისგან, ვისაც ჭკუა ხელს არ უშლის.
... მითხრა ეს, მაღლა აფრინდა, მიჰყვა ღვთიურსა ჩვევასა
მეც დავრჩი, რა ვქნა ვასრულებ, მისგან მოცემულ რჩევასა!

ალბათ ვუკმევთ

მიწას რატომ ხრავ, მახრავ, „ბატონო“,
რად გვინადგურებ სიკეთის თესლებს
გიჯობს, ქმედება შენი აწონო,
ნუ გვიფრქვევ ხნულში შხამიან გესლებს,
იყვნენ მატლები სხვადასხვა სახის
თხუნელა კიდევ თხრიდა ფუღუროს,
შენ გვაგრძნობინე სიმძაფრე მახრის
და გვიხრავ მიწას, სულ უკულტუროდ,
მოდით შევთანხმდეთ: გადადი გვერდზე
იქ სადაც ადრე ხრავდი სხვა მიწას,
გეყოს, რაც ცოდვა დაიწყვე მხრებზე
ნუ ელოდები, აქ, სულ წაბილწვას.
... კონტრაშხამებიც მოსულან უკვე
კიდევ ცოტაც და... ჩვენც ალბათ ვუკმევთ!

ვინც არ იწამა

იქ ამოხეთქავს მიწიდან ლავა
სადაც, რომ ნახოს წერტილი სუსტი,
ცეცხლის მძივებად ჰაერში გავა
ხამს, ადრესატი არ გავხდეთ ზუსტი.
ეს მიზეზია გულის ბორგვისა
გულისა მიწის, წინაპრის ჩვენის
სანამდე ლავამ, მთლად არ მოგვსრისა
მოვეპყრათ მაგას, როგორც მას შვენის,
ნუ გავახურებთ... მას იმ დონეზე,
რომ სუსტ წერტილად, აღმოვჩნდეთ თავად,
მწამს აღარ ვეყოთ სინჯად ღონეზე
თავით დაიწყებს, ბოლომდე გავა.
... ვერ დაუდგება მას წინ ვერც-ერთი,
ვინც არ იწამა, ბოლომდე, ღმერთი!

თ ე ა ს

შენით დამეწყო ეპოქა დიდი
მამობისა და მართალკაცობის,
შენა ხარ ჩემი ცხოვრების ხიდი
ხელში მპყრობელი, ჩემი განწყობის.
შუქი ხარ ყველა ხვალინდელი დღის
და თვალახილვის დიდი იმედი
გულს, რომ არ აძლევ უფლებას დაღლის
არ გსურს ვმღეროდე, ისე ვით გედი,
ლამაზი ყოფის ნიჭო და აზრო
და უარყოფის უარმყოფელო,
ჩემი სიცოცხლის უწყვეტო ხაზო
და სიყვარულის მარადმყოფელო,
ჩემს დიდ სიყვარულს შენს ლამაზ სულზე
მე გადავაწვდენ უმაღლეს მთებზე
როცა შენს შვილებს, ჩემს ალალ გულზე
ჩამახუტებ და დამაჯენ მხრებზე.
... ვუმადლი გამჩენს, შენი გამჩენი
ვამაყობ, რადგან მამა ვარ შენი!

დროა მართავდეს

ჰეი, ბოცმანო, მიხედე საჭეს
საით მიცურავს ჩვენი ხომალდი,
ჩვენ მივდგომივართ, რაღაცა, სხვა ბჭეს
იმას, რაც იყო ქრისტეს შობამდის,
დაგვიწყებია ღვაწლი ნინოსი
ღვაწლი დავითის... ღვაწლი თამარის
მომრავლებულან ერეტიკოსნი
მღვდლისთვის ფულია თურმე მთავარი.
თუ ფული არ გაქვს, არ მოგნათლავენ
ჯვარს არ დაგწერენ, წესს არ გიგებენ
გულს ღატაკისას, შანთით შანთავენ
ვისაც, რომ ესმას, ყურს არ გიგდებენ!
ვხედავ ცოდვების დავცურავთ ტბაში
არავის ესმის ფუყე ლოცვანი,
ალბათ სინათლე მოაკლდა თვალში
ვერ მართავს ხომალდს, ღვთისკენ ბოცმანი.
... რომ არ გაუქმდეს შრომა ტიტანი,
დროა მართავდეს გემს კაპიტანი!

ა რ ა ვ ი ნ უ კ მ ე ვ ს

ვიყავით და ვართ, სად არის საქმე
რა გავაკეთეთ ღვთისკენ მავალი,
რომ არ ვიქნებით, ვინ გვიკითხავს,
მაგას მოგვკითხავს შთამომავალი.
ჯერ კიდევ აქ ვართ, მოგვცეს ტალანტი
მოგვეცა შანსი ვაკეთოთ რამე
და ნუ ვიქნებით აწ ჩვენ ბალასტი
სიკეთის თესვით ვათიოთ ღამე,
ვილოცოთ ახლა, ჩვენ ყველა მათზე,
ვინც აქ არიან... ვინც იქეთ, უკვე,
თორემ ჩვენც გავალთ, როდესაც ბანზე
არც ჩვენს სულებსაც, არავინ უკმევს.
... არ ვისურვებდი მასეთ დასასრულს
არავინ ყავდეს პატრონი ამ სულს!

თქვენსავით ვლეწო

რატომ?! არ ვიცი, მაგრამ მიყვარხართ
მიყვარხართ ყველა- ერი და ბერი,
დღეს ყველა ერთად, ჩემი სუნთქვა ხართ
მეც თქვენით ვგალობ და თქვენით ვმღერი,
არ დავიღლები, მე სიკვდილამდე,
ქართული სულის ვრჩები მეხოტბე
ყოველ დილიდან, ყოველ დილამდე,
მსურს მშობლიური, მხოლოდ მეფობდეს,
მივხვდი, მიყვარხართ რატომ და ვიცი
მეც თქვენი რჯულის წილი ვარ, ბეწო
მეც ქრისტეს კვართთან, თქვენსავით ვიცდი
და მზად ვარ, მტერი, თქვენსავით ვლეწო!

ბატონო კახა

ვუძღვნი უნიჭიერეს პოეტს
ბატონ კახა შალამბერიძეს

რაც მოევლინე ამ ქვეყანას
მზესავით ჩანხარ,
დღეს პოეზიის ვარსკვლავი ხარ
მწვერვალზე დგახარ,
გულზე მალამოდ, რომ დაგვედო
ყოველთვის მზად ხარ
და ამიტომაც
მ ე დ ა გ ლ ო ც ა ვ
ბ ა ტ ო ნ ო კ ა ხ ა !

სერაფიმესგან გაგვიტკბა

სანამ ცხოვრების ალმურსა, ბოლომდე იგრძნობს გონია
დავდექ, ვიკითხე ფსალმუნი, ჩავაქრო მსურს აგონია,
რასაცა გვახვევს საწუთრო, ყველა ჩვენი ნუ გვგონია
ვისმინოთ იგი გალობა, რაც ტკბილად გასაგონია.
როცა ვისმენდი სხვის ენას, თითქოსდა რაღაც შხუოდა,
ჩემი აზრი და გონება, უცხო ხმას ვეღარ გუობდა
ვითარცა ლომსა ვერ ესმას, მის წინ მგელი რას ყმუოდა
ბევრი ვეცადე თუმც ქებად, ღვთიურთან ყველა ტყუოდა.
ვისთვის ბუდაა ღმერთი და ზოგმა აღმერთა მაჰმადი,
ზოგმა იწამა სიბნელე, მათთვის მზის სხივთა ჩართვამდის
ჩვენ, ქრისტე-ღმერთი ვიწამეთ და დღემდე აღარ გავთავდით
თუმც ბევრსა სურდა შთავენთქეთ, ყველას ვუთხარით: ნახვამდის.
არ მიკვირს სხვამ მიჩიჩინოს, გველისაც მესმის სისინი,
მაგრამ საკუთარ ძმისაგან, მძაგს უგზო-უკვლო ქიცინი,
სხვა, ხომ სხვაა და თვით ღმერთმაც, ხომ სხვისთვის შექმნა ისინი
მივუსალმუნოთ ჩვენ ჩვენსა, იცით, რა ტკბილად ისმინის.
წამითაც როგორ ვიფიქრო, სხვას რომ ემღერა "ჩაკრულო"
ან ტკბილი „ნანა“ ვით შექმენ, შენ ჩემო სულო, ქართულო.
არ მინდა შორს, რომ წავიდე, რომ საქმე არ გავართულო...
არ მესმის გულის, რომელშიც, ქართული ვეღარ ქართულობს.
სულ თოთხმეტია ერთაგან, ვინც ა-ნი ძერწა თავისი,
ჩვენ ერთმა სამი დავქარგეთ, რაღად გვჭირია აწ სხვისი
რომ ღმერთის ენა არ გაქრეს, ჩვენ მოგვაბარა მან თვისი
ნუ გიკვირთ, მათი არ მწამდეს, ვინ სხვისი გაითავისის.
... არც ვიცი, როგორ გვესმოდეს, ქართულად არა რქმეული
მე-ს, მე-სი უნდა ესმოდეს, ჩვენია მხოლოდ მე-ული
ჩვენ, ღმერთის ენის მოსმენას, ყური გვაქვს კარგად ჩვეული
სერაფიმესგან გაგვიტკბა, გალობა არამეულით!

იმავე წამში

ეხ, სიყვარულო! ნუ მომშორდები! ნუ გამაბრაზებ
რადგან არ ვიცი, მე მაგ სილაღის გარდა, სინაზე,
ვიფრინოთ ერთად, მთაში და ბარში, ვიფრინოთ ცაზე,
ტალღებსაც ავყვეთ, ქაფში ათქვეფილს, ფიქრების ზღვაზე.
მე შენთან მინდა, ნუ გადამიწყობ, ამ ფიქრებს სხვაზე
შენგან ფენილი, მე მათბობს სხივი, არ ვიცი სხვა მზე,
არ მაბნევს ოქრო, არც ბრილიანტი, გაგცვალო რაზე
შენი გულია ჩემი სიცოცხლე, მირჩევნის თავზე.
მოდი ვიმღეროთ, ტკბილი სიმღერა, მომყევი ბანზე
აწ ყველა სხვა ხმა, არ გავიკაროთ, გავუშვათ განზე,
თითზე თითს მოგდებ და აღმაფრენის, გავდივარ ზღვარზე
რომ ჩაგეკონო, რა დამემართოს, ვერც ვფიქრობ მასზე,
ჩემი სიცოცხლე, ჩუმად ჩაგაცვი, მაგ შიშველ ტანზე
და ზედ სანთლადაც გადაგეკარი, ვნებიან კანზე.
შენით ვგრილდები, ოკეანეში ვეშვები ღრმაზე
შენით ვანთივარ, კვლავ ჩირაღდანად, სიბნელეს ვამზევ,
შემოდგომა ვარ და აწ ზამთარი, მადგება კარზე
შენ ხარ ენძელა, თვით ცივ ყინულსაც, რომ გახეთქ შუაზე,
ვიოლინო ვარ და ყველა ნოტი, ავაწყვე ხმაზე
ხმაზე, რომელიც გადამატარებს, სიგიჟის ხაზზე.
დიახ გიჟი ვარ! გიჟი, რომელიც არ მოდის ჭკუაზე
მაინც ბუმბულად დამესახება, რომც დამდო ქვაზე.
... შენით ვსულდგმულობ, ჩემი სული ხარ, ამ გულის გარსში
რომ მიმატოვო, მეც გავქარდები, იმავე წამში!

ძმაო, გიორგი

გილოცავ მოსვლას ძმობილო
ამქვეყნიურის წვევასა,
გისურვებ ღვთისგან ხმობილო
ებრძოლო იღბლის ქცევასა,
და გამარჯვებას გისურვებ
ბედთან გამართულ ბრძოლაში,
მეც თანამგზავრად მიგულე
სიკეთისაკენ რბოლაში,
...რომ არ ვიქნები შენს გვერდში
არც კი იფიქრო წამიერ,
ბედს ჩვენ მოვიგდებთ მოგვერდში
და ვიტყვით
მ რ ა ვ ა ლ ჟ ა მ ი ე რ ს!

სიზმარი და რული

ერთბაშად ვერვინ მიხვდება
მთავარი სად იმალება,
ვინ ვართ, უფალო, რა ხდება
რაშია იდუმალება.
ხან წურბელა ვართ, ხან გმირი,
ხან დიდი, ხან სულ პატარა,
ხან მეფე - ხალხს შესაწირი
ხან ვგავართ, თვალის კატარაქტს.
ერთი მეორის მჭმელი ვართ
ვინც ცოცხლია მიწითა.
დახურულ კართან ვაგდივართ
ამ ცხოვრებითა, ბიწითა,
მიწად ჩვენა ვართ, ზეცად შენ
ვერ გავცდით წვიმის მდინარეს.
და კვლავ მას შეხვდა ზედაშე
ვინც ავკაცობს და მძვინვარებს.
ჩვენ კი, გვასმევენ მეორადს
გლახაკებსა და ღატაკებს
ამაში ვხედავთ ჩვენ ო რ ა რ ს ს
რაც თავში სევდას გვატაკებს,
აქ ვინც გამოჩნდა მართალი
ყველა შენ მიგყავს, შენთვისა,
ჩვენ გვრჩება: ცოდვის კვარტალი
და ზედ სატანა ერთვისა....
... უფალო, იქნებ გვაკმარო,
ამ ქვეყნად ბრმად სიარული,
ნუთუ, არ ეყო სამყაროს
ს ი ზ მ ა რ ი მხოლოდ და რ უ ლ ი!

მეტ- ნაკლებად

სიკეთეს არ აკეთებდე, რაც შეგიძლია ადვილად
ეს იგივეა: სატანის, ქუდი გეხუროს მანდილად,
ავსულის ნაცხობ ღვეზელსა, შენ მიირთმევდე სადილად
და ეგდო უკაცრიელში, მთლად სინდის-ნამუს ახდილად.
იყო და თითქოს არ იყო, ვერ იმორჩილო სხეული,
ავს და კარგს ვეღარ არჩევდე, ვითარც სულითა სნეული,
ჩანს ეშმას უკმევ გუნდურკსა, მისგან ათასჯერ წყეული
თვითონ იყო და გეჩვენოს, ვითომ, სხვა გადარეული.
ხომ ვიცით ქცევა ასეთი, არს მეტად მიუღებელი,
მაინც მას ვშვრებით და ცოდვით, სულ გადავავსეთ ბეღელი,
იქ არ მივდივართ სახსნელად, ხატი და ჯვარი, რომ გველის
მიტომაც ქვესკნელს ფართხალი, უცილებელად მოგველის.
ღმერთმა იმიტომ დაგვბადა, მარცვალი ვთესოთ კეთილი
და აღარ ვიყოთ ეშმასთან, ბუნაგში გამოკეტილი,
მერე იქნება გვიანი, დავრჩებით გულდაწყვეტილი
თუ მასეთ ყოფას დროულად, აღარ დავუსვით წერტილი.
გესლმა გესლად თუ დაგვგესლა, ვისი იყოს უნდა ბრალი
ვეშვებოდით, როცა უფსკრულს, საით გვქონდა მაშინ თვალი,
როცა ავსულს მივყვებოდით, სულს ნაცრავდა ცეცხლის ალი
ვსვამდით, მაგრამ ვერ ვცხრებოდით, ვინ გვიკურთხა ასე წყალი.
... ღმერთმა ციდან, ჩვენ, მანანა, დაგვათოვა ასაკრეფად,
ჩვენ კაცური ბუნებისგან, ავითვისეთ მეტ-ნაკლებად!

თაფლში სანთლად

მე შენით მინდა ვიცოცხლო, შენ კი იცოცხლო ჩემითა
გავიხანგრძლივოთ სიცოცხლე, ერთიმეორის ბრჯენითა
აღარ დავკარგოთ ის სითბო, რაც პირველ დღიდან გვეწვია
ნუ დავშორდებით ურთიერთს, ზურგშექცევითა, რბენითა.
მზე, შენს ნახვაზე ამომდის, გული მიღვივის ტრფობითა
დიდხანს ვერ შევძლებ უშენოდ, მიჭირს მე ყოფნა შორითა
ცოტა ხნის განშორებული, მოვქრი შენამდე ქროლვითა
თითქოს ვიქცევი შევარდნად, ზე ბუმბულისა წონითა.
ვითარც ფუტკარი ბუტკოსა, დავეწაფები შენს ტუჩებს
იმ ტკბილ ბაგეთა თრთოლა მე, სუყველა ტკივილს მიყუჩებს
სისხლი, დაბერილ ძარღვებში, შიგ მაჭარივით თუხთუხებს
უნდა დაგადნე სხეულზე, ვერ ვიჭერ ვნების მუხრუჭებს.
თვალს ვერ ვუსწორებ შენს მზერას, გაქვს ვნებიანი თვალები
თვით მიმძიმდება ქუთუთო, მწვავს შენი სხივთა ალები,
ორთავ გვიბრუის გონება, ვართ ბადაგითა მთვრალები
ზედვე გადნები გულმკერდზე, ვით მწვერვალს ქიმთა ქანები.
ეს სიზმარია, თუ ცხადი, არ ვიცი, მოხდა, რაც მოხდა
შუბლზე გიბრწყინავს ბროლივით, წვეთი რაც ოფლად გარდმოგხდა,
მეცა ვქცეულვარ ჯიხვივით, ოხვრა გულიდან აღმომხდა
და შეუერთდა შენს კისკისს, ტუჩის კუთხიდან ამომხტარს.
ბოლო არ მინდა უჩანდეს, თაფლის და სანთლის შერწყმასა
როცა გახსნილი საკინძე, ვარდის ნექტარსა ემსგავსა
მჭერა, ვერ ვნახავ მე თვალით, ვერც უკეთესსა, ვერც მსგავსსა
ვერ იფიქრებდა გამჩენი, უკეთესისა შექმნასა.
...მინდა სითბოდ და სინათლედ, ზედ ჩირაღდანად დაგენთო
და ჩემი სული შენ გულში, თაფლში სანთელად ჩავღვენთო!

დროა მივიღოთ

ნუ გვეშინია სიკვდილის, იგი ხომ ჩვენთან არ არის
ან თუ ის უკვე ჩვენთან არს, მაშინ ჩვენ არ ვართ არავინ
და თუ ჩვენ არ ვართ არავინ, მაშ გვეშინოდეს ვის ან რის
თუ ღმერთმა უკვე აგვიგო, თავისთან სულის კარავი.
აქ ვართ დროებით მოსულნი, მატლნი, მიწისა მღრნელები
და შეგვიქმნია მრავალი, ჩვენი საძვრომი ხვრელები,
იერარქიის კიბედ გვაქვს, სხვადასხვა დონის ფენები
ვიწყობთ სოროებს სუყველა, როგორც ყრმა, ისე ბერები.
თან ყველა სორო ცრუ არს და... აქვს არამყარი კედლები,
ყველას გვსურს მხრებზე ბრწყინვალე,
გვეწყოს ჯინჯილო-მედლები
სულ აგვერია მასთები, სად მამრი ან სად მდედრები,
ერთმანეთისა საჟლეტად, გვყავს "საამაყო" მხედრები.
ასეთი ყოფის პატრონსა, არ მესმის რა გვიხაროდეს,
ვარდებს ვაჭკნობთ და ბულბულსა, ვაძლევთ უფლებას ყვავობდეს
მაფშალიების ბუდეში, შავი ყორანი ჩხაოდეს
და ზარ-ზეიმის კვარცლბეკი,ფუჭობდეს, არარაობდეს,
არც მიკვირს სიკვდილს ვნატრობდეთ და ისიც ჩვენგან გარბოდეს.
... მაშ გამოვფხიზლდეთ კაცებო, გვეყოს ძვრომა და მატლობა,
დროა მივიღოთ ზენასგან, ჩვენ, გულმართალი ნათლობა!

შუაზე გამყოფს

აღარ მაქვს შიში, რაღა დავწერო
რადგან ვიცი, რომ მომივა მუზა
თუმცაღა შორით რისთვის გავწელო
მან უკვე ჩემთან ჩაუშვა ღუზა.
ღმერთმა მომმადლა: კალამი ხელში
წამითათუნა მან ხელი მხარზე,
გაცოცხლდა გრძნობა, ზედ, ტვინის სხვენში
და იბადება, ბწკარები ბწკარზე.
დიდება, ღმერთო, შენს მაღალ სახელს,
გულით მივირთმევ, შენგან ტკბილ ღვეზელს,
მე შენი ძალით, კვლავ ვამხელ სამხელს
და დავეყრდნობი სიმართლის ბეღელს.
თუნდაც თავდაღმა გამაკრან ჯვარზე,
კვლავინდებურად აღმა ვხნავ სახნავს
და ჩემს ნაჯაფარს, ყოველ წლის თავზე
ღირსი მნახველი, მშვიდობით ნახავს.
ოღონდ შენ მყავდე უფალო გულში,
გულში, რომელიც შენგან მგზნებარებს
მწამს გაღვივდება მარცვალი ხნულში,
კვლავ იშრიალებს წრფელი მცენარე.
... და ის მოისხამს უტკბილეს ნაყოფს
თეთრის და შავის შუაზე გამყოფს!

მრავალს დასწრებოდეთ

ადამის მოდგმის ყლორტი ვარ
კაცი ვარ ა დ ა მ ი ანი
ქრისტეს ნათებით მოვდივარ
გული მაქვს ნაკურთხწყლიანი.
ზღვა მლაშე მარილწყლიანი
ვეცადე ვერ გავამტკნარე
მნათე გამოდგა სვიანი,
მოგვმადლა იორდან მდინარე
და წყალკურთხევის ნათელით
ზედ მოგვეფინა სინათლე,
დგას მნათე თაფლის სანთელით
და გზას ზეცისკენ გვინათებს,
„ის არისო შვილი ჩემი“
გიხაროდენ!.. გიხაროდენ
სულიწმიდა სხივთა მფენი
მტრედებს ჩვენზე გადმოჰქონდნენ,
დღეს განცხადდა ღმერთი მხსნელად
თვით ქრისტეში შვილის სახით
და გახადა წყალი წრფელად
მასში წმიდა თავის ჩახრით,
ნათლისღებას წყალი წმინდად
ღვთის შეწევნით ნაკურთხია,
ქრისტეს შვილნო, მრავალს მშვიდად,
დასწრებოდეთ: წაკურთხიას!

სხვაა სხვისი

დავატარებ გულს სურნელად, შენგან ძერწილს, ჩემო მიწავ
შენი ბელტის მონაწყვეტი, შენს სუნს ვაფრქვევ დედამიწას
ვით სარკეში ანარეკლსა, ღრუბლად გხედავ ტკბილო რიწავ
შორით დგომამ, შენგან ჩემმან, მე დროებით, დამამიწა.
თითქოს შენი ათინათი, ჩემი ჩრდილიც გულს მიდაგავს
რადგან ვხედავ სხვა განედზე, დაწრიალებს სად და სადა
რამდენიცა არ მაზავონ, შენს სულს ჩემში რა დაკარგავს
ბედმა ჩემი კერკეტობა, ვერ გასტეხა, თუმც კი სცადა.
მე, ქართული მიწის ნაწილს, შენი დამაქვს ყველგან ეშხი
მოსროლილი ცაში მაღლა, ჯერ დავფრინავ, ვერ დავეშვი
იქ, საითაც ამაწყვიტეს, დავბრუნდები იმავ წრეში
დაგესხურო ბუმერანგად, ვით მანანა, ერთი პეშვი.
დავაბრუნო საგულეში, გული მრავლად განათანგი
ვერ იპოვა, რადგან ვერსად, ოდნავ მსგავსი შენი თარგის
ნერგი დამაქვს ხეჯეჯურის, თითქმის გახმა, ვერსად დავრგი
რამაც მხოლოდ ჩვენში იცის, გასახარად მიწა ვარგი.
სად იხაროს შენმა ვაზმა, ოჯალეშმა ან ხვანჭკარამ
მათ სად ნახონ სხვაგან რაჭა, ან მეგრული წყარ-ანკარა
ართ მიღუნა ოდაბადე, ვარე ჩქინოთ შხვადო შარა
(ჩვენ ერთი გვაქვს სამშობლო და მისკენ მიდის ყველა შარა!)
ვერ დაღვინდა სხვაგან ღვინო, იქ მან მხოლოდ იმაჭარა.
... სხვის ეზოში ვერ იპოვოს, სხვაგან ძებნოს ვინც თავისი,
რაც არ უნდა იბრწყინვალოს, მაინც სხვაა, სხვაგან სხვისი!

ვეღარ მიქია

რასაც ზენა მიკარნახებს, მაგას ვწერ და ვიტყვი მყარად
ვმადლობ უფალს, რომ ქვეყანა, ზედმიწევნით შემაყვარა,
ვიწვი სანთლად, ზეცას ვაწვდი, რაც ფიქრები შემეყარა,
სხვა გზა არ მაქვს, ტაძრისაკენ მიმითითებს მხოლოდ შარა.
უფალი მყავს წინამძღვარად, კაცი ვეღარ გამომადგა,
რადგან მან გზას გადუხვია, ცდუნებისას ვერ გამაგრდა.
ყველა კაცს ხომ თვისი გზა აქვს, ალბათ მისი ჯერიც დადგა
მეც იმ ღმერთის გზას გავყევი, ჩემს შობიდან თავს რომ მადგა.
მართალია, მე გზა შემხვდა, ხორკლიანი, თუმცა სწორი,
საცალფეხო, წვრილბილიკა, ძნელად გადის სადაც ორი
კაცი ზურგზე ვინც შემოვისვი, გზის ბოლომდის გახდა ღორი,
მან ისეთი აირჩია, ვინც წუმპეში მასთან გორვის.
ვერ გავყევი მას მრუდე გზით,ბრმა რომ შემხვდა წინამძღვარი,
რადგან ადრე ის გაექცა, ყავდა თავად, ვინც მოძღვარი,
მაშ რა მექნა თვით უძღებმა, სხვა უძღებთან გავდე ზღვარი
ღმერთს მოვუხმე მანიშნებლად, მისი გავხდი თანამგზავრი.
აწი მას მისდევ ვისიცა, ბრმაც გავყვე არ მეშინია,
რადგან იგია სინათლე, მართალთა თვალის ჩინია
და მეც მივყვები სიმართლეს, ტყუილზე არ მიცინია,
მე ის მადარდებს, ვინც აგვცდა, გზის ბოლოს, იქა იტირიან.
..... თვით ღმერთი განსჯის სუყველას, ჩემი რა განსაქიქია,
მეც კაცი ვარ და რაღა ვქნა, თუ მრუდე ვეღარ მიქია!

სუმერი

(შუმ ერი)

შოთას... ილიას ... მივყვებით
გვახსოვს კი... გალაკტიონის
სულში თუ რბიან სიტყვები
ვით წყარო, სხლარტი რიონის,
ტიციანის და ყაზბეგის,
გრანელისა თუ აკაკის,
დღეს თუ ვართ სიტყვის გამგები
თუ გვესმის მათი რაკრაკის,
ვაჟა თუ არ გვაქვს ნაკითხი
რას მივადექით გოეთეს,
ვით განვიხილოთ საკითხი
ვინღა ჯობს ქართველ პოეტებს.
გიხსენოთ აბა რომელი,
თუ გვახსოვს: ტატოს მერანი
ჩვენნი ბრწყინავდნენ ყოველნი
კლასიკოსნია ყველანი.
ათასხუთასი წლის წინათ
ბრწყინავდა უკვე ხონელი,
ახლებიც ბევრი გვიბრწყინავთ
ფეის გვერდზეა ყოველი.
ვაი! სირცხვილო, ქართველის
გვირაბში ვეძებთ სინათლეს,
ვეღარ აგვინთეს სანთელი
გზას აღარავინ გვინათებს,
სხვა, სხვა საუნჯეს გვთავაზობს
იქ, სხვანაირი წესია

ხანდახან მთვარეც ავაზობს
მაგრამ იქ შუქი მზეშია,
სიტყვა, ჩვენი ჟღერს, ქართული
სხვას, სხვა ფერი აქვს სტრუქტურას
ოქროს საწმისში ჩაკრული,
ჩვენგან გაჰქონდათ კულტურა.
სამნი ვართ, ვბრწყინავთ სამებით
მეგრელი, სვანი, იბერი,
ღმერთიც ვიწამეთ წამებით
გვებრძოდა ამერ - იმერი.
... მაგრამ არავის დავნებდით,
ვძერწეთ: ს უ მ ე რ ი - (შუმ ერი)
დღეს, რომ ერთად გვაქვს ყანები
და მაგას ვეთაყვანებით!

რომ არ ყვავობდეს

გულში გაღვივდა კოცონი
სურს ცეცხლში დაწვას ნაღველი
ნაღმების, გაწყდეს მომგონი
მშვიდობის, ჩქებდეს აღმძვრელი,
ვინც ცეცხლის ალით გვაშინებს
ურჩხულია და ვამპირი,
რა დედა ზრდიდა მაგ შვილებს
ჯობდა ერეცხათ "სარტირი."
ვინც ვეღარ კმარობთ თვის ნაჭუჭს
სულსწრაფობთ სხვისი გაძარცვით
ვინ ჩამოგრეცხავთ თქვენ მაგ ჭუჭყს,
ან ამდენ ცოდვას სად დაცლით.
ჰგონია, ჩადის გმირობას
სხვისი შვილები ამწაროს
ვფიქრობ, ასეთი ვირობა
ვინ შეაჩეჩა სამყაროს.
გონებით, მას მივაგენი
ეს იმ სიცრუის ფონია
ბიცებსიანი რეგვენი
კაცი, ბრძენი, რომ გვგონია.
ბრძენი ის არის ძალასთან
ჭკუასაც, რომ არ ილანძღავს
ნათელს, რომ ადგამ ქალასთან
ღმერთო, ის მოგვეც წინამძღვრად.
... არწივი, რომ არ ყვავობდეს
მყოფადიც მაშინ ხარობდეს!

მამავ, არ მოგვაკლო

რადგანაც მამა ხარ, მოგმართავ შენობით
არავინ იფიქროს, რომ გავკადნიერდი,
პასუხად მოველი, მომიგებ შენდობით
ამდენ ხანს, გულს უქმად, თუ ვანებივრებდი.
შორი-შორ გედექი, უძღები შვილივით
ყურად ვერ ვიღებდი, შენს რჩევებს, დახვეწილს,
როგორც კი მიხილე, ჩამიკარ ჩვილივით
მალამოდ დამედე, ცოდვებით დალეწილს.
შენა ხარ შემქმნელი, მკურნალიც შექმნილის
მამა ხარ, რომელიც, შვილს გულში იხუტებ
გულდამწვარ მაშვრალთა, ზეცად ხარ ვექილი
გზად შემხვედრ ბოროტზე, მეხივით იქუხებ.
ნებითა შენითა, წყლად დაშლი მთასაც კი
სულითა წმიდითა, სამებად გასამდე
შენგან ცად აყვანილთ, არა აქვთ ასაკი
იქ ყველა ტოლია, ნულიდან ასამდე.
არა აქვს მნიშვნელი, წონას და სიმაღლეს
შენთან იქ სულია ყველაფრის ამზომი,
ქვესკნელში ვარდება, აქ თავს ვინც იმაღლებს
სადაც მათ წამებას, ვერ ზომავს გამზომი.
... ერთადერთს, შენ უწყი, მტყუანი, მართალი
მამავ, არ მოგვაკლო, შენი სამართალი!

შენი მაქვს იმედი

მადლობა უფალო, რომ გავჩნდი საერთოდ
თვალებში სხივები ჩამღვარე ნათელად,
მომეცა უფლება, ქრისტეს რჯულს ჩავერთო
ღირსი, რომ გამხადე და მშობე ქართველად.
მადლობა, ყოველი წუთის და წამისა
მასუნთქა რამდენიც ვარდების ნექტარი
მადლობა, მაღალ ღმერთს, რომ ამას მაღირსა
სამშობლოს ფარავდეს, ღვთისმშობლის ზეწარი.
რომ გავხდი, მე, ღირსი: ა-ნის და ჰ-ოესი,
რომ ღმერთმა გალობა, წყალობად მაღირსა,
რომ შემსვა კიდობანს, მემკვიდრედ ნოესი
წილი არ გამხადა საგვემად წარღვნისა.
არაფერს გპირდები, კაცი ვარ ბუნებით,
არ მინდა ტყუილში, რომ გამომიჭირო,
ეშმაკი მეც მებრძვის... მაცდუნოს ცდუნებით
აღარ მსურს უჭირო, საჭიროდ, ვიჭირო.
ვეცდები შევირგო, რაც მერგო მე წილად,
მივდივარ... ნათელთან, ჯერ ცოტას მივედი,
ბოლომდე მსურს დავრჩე, სინათლის ნაწილად
და ეს, რომ ასრულდეს, შენი მაქვს იმედი!

ცხადი სიზმარში

(ძველი დღიურიდან)

სიზმარი ვნახე ასეთი
ნეტავ აღარა მენახა,
ხე-ტყეს უკვალოდ განთესილს
კვალი აუღო ვენახმაც,
- ტიროდა მუხა გულამოსკვნილი
მუხა, ჭაღარა, ათასწლეული
და ბანს აძლევდა სუნთქვაშეკრული
„ხმელი-წიფელი“ ვაჟასეული.
ტიროდა თერგი და ცხენისწყალი,
თრთოდა კალმახი ხახაგამშრალი
და ხარხარებდა ის, ღმერთგამწყრალი
ტყის გამზიდავზე მდგარი მტარვალი.
ტიროდა თელაც, ნათლად ხედავდა,
ტოლების ჩეხვა როგორ ხდებოდა,
რადგან ხეს ახალს არავინ რგავდა
ტყე მას უდაბნოდ ესახებოდა.
ტიროდა ნუში, კრთოდა ჭადარი,
მწარედ ჩხაოდა ჩხიკვი გამხდარი,
ბღაოდა არჩვი, ძრწოდა აფთარი,
გაზაფხულს ცვლიდა უცებ ზამთარი.
..... გულმა ბრაგუნით ღუნა გვერდები
თვალი ვახილე... ფეხზე ვერ ვდგები!

ვიკმაროთ სრულიად

სხვაგან ვართ, სარკმლიდან, რომ გადვიხედებით
თვალს სულ სხვა ხედები, აქ გადაეშლება,
მშობლიურს არ გვანან, ეს ცელქი ქედები
ვუყურებ! ვუყურებ! ნერვები მეშლება.
მე, ჩემის ნახვა მსურს, ვიხილო რამდენიც
თითქოს მომხიბვლელი, მაგრამ უსურნელო
ვერა ვარ გმირობის, მე, სხვაგან ჩამდენი
აქ მხოლოდ ვსალოსობ, აქ მხოლოდ ვსულელობ.
აქ კარგად საქებიც, რომ ვაქო გაჭირდა,
მათ ასჯერ ვჯობივართ, ჩვენ ვიღამ შეგვაქო,
მას, რასაც ქართველი, ათასჯერ გაჭრიდა
ესენი, ათ მჭრელზე... გინესში შეგვაქვსო.
თუ ჩვენში ათ კაცში, ცხრა ბრძენი გვჩვევია
აქ, სხვაგან ათასში, ერთიც კი ვერ ბრძენობს,
იქ, ჩვენთან ლამაზნი, თავზე გვახვევია
აქ, ერთის ნახვაც კი, რთულია, საძნელო.
ჩვენ სადაც არა ვართ, ვფიქრობთ, იქ კარგია,
თურმე სხვა მხარეში, ტყუილა გავრბივართ,
დავეწყოთ მხედრულად, ქართველთა გვარდიავ
ჩვენ შინ ვართ ლომები, სხვაგან კი, დარდი ვართ.
... მერწმუნეთ, აქ სხვაგან... სუნთქვაც კი, რთულია
ღმერთმა, რაც გვიბოძა, ვიკმაროთ სრულიად!

მოვისხათ ასი ყური

ვერ ვიტან კაცსა „ორგულსა, ფლიდსა და ღალატიანსა“
ვინც არ ებრძვის და არც უნდა, ებრძოლოს ბედსა ტიალსა,
ვინც შეეჩვია მონობას, ყოფის უკუღმა ტრიალსა,
ვინც გაჰყოლია დინებას, ქვესკნელისაკენ სრიალსა.
ვინც არ იცის და არც უნდა, იცოდეს ტკბილი ქართული
ჯიშით ქართველი გასხვისდა, სხვის რჯულით არის ნათლული
თუ მისი ნებით ეს მოხდა, არავინ იყო ჩართული
რას ვუყურებდით მოყვასნი, თვალი სად გვქონდა ჩაფლული.
მეტი რა უნდა ავსულსა, ღალატიანს და მტრიანსა,
ჯერ დაგავიწყებს ენას და მერე მამულსა მზიანსა,
გზაში გატაკებს ნათლობას, უცხო ჯვრის, უცხო წყლიანსა
დაგამშვიდობებს სამშობლოს, ბედნიერსა და სვიანსა.
ის დაიბუდებს შენს ბუდეს, აწ უკვე შენგან რჩენილსა,
რომელიც შენ ვერ იწამე, მზის სხივიც ცუდად გენისლა,
ბოლოს მიხვდები, რომ ნახავ, ღამეს უძილოდ თენილსა,
როს ნოსტალგია დაგიპყრობს, გულსა უგულოდ ჩენილსა.
დამწერლობა აქვს თოთხმეტსა, სრულიად გალაქტიკაში
მათ შორის ჩვენი, ქართული, სამჯერ გავიდა „დამკაში“.....
მას ჩვენ ვივიწყებთ და ვჯდებით ვიღაც-ვიღაცის "რამკაში"
ალბათ არასდროს გვყოლია, გვერდით ერთგული დამქაში.
კარგად გავიგოთ ვინ, ვინ არს, რა არის მათი წოდება
მათ ძმობა უნდათ ჩვენი თუ, უბრალოდ ჩვენი ქონება,
ეძებენ ირვლივ ისეთებს, ვინც სრულად დაემონებათ
პირფერობით და ღალატით, რომ დაუბნელონ გონება.
... მოვისხათ ასი ყური და ათასი გვქონდეს თვალები
ფუჭია მაშინ სიცოცხლე, თუ შენს არ ენაცვალები!

გახდით მისაღები

ხშირად გვწყდება გულის ძარღვი,
რომ ვერ ვწვდებით მისთვის წამალს,
შევუყენებთ იმ გულს დაღლილს
გზას, უფლისკენ ვიწროდ მავალს.
ბევრნი გვხვდება, ჩვენ, იმ გზაზე
თვისი ბედის "დასტაქარნი"
უშნო ძღომის და სმის ბრალზე
კუჭგამსკდარნი - ცოცხალ-მკვდარნი.
საწყენია, რომ მათ ვხვდებით
ზუსტად გზების გასაყარზე,
როს ჩვენ ბაღის ხედით ვტკბებით
მათ ურდული ხვდებად კარზე,
ვეღარ გცნობთო, იძახიან
ვინც კართან დგას მაშინ მცველად
და ურდულებს აღარ ხსნიან
არვინ ელით მათ იქ მხსნელად.
ეძლეოდათ თურმე შანსი,
რომ ეწამლათ მათ ჩვენს გულზე,
გადარჩენის ჩვენის ფასი
არ ჩაეგდოთ ცეცხლში, ფულზე,
მათ, იმ ფულით დანაყრებულთ
კი გაუსკდათ, თურმე, კუჭი,
უფლის კართან ახლა ხლებულთ
არ უღებენ, შესვლა უჭირთ.
... მოდით გონზე, გასაღები
აქ მოყვასის ხსნაში ნახეთ,
რომ იქ გახდეთ მისაღები
არ მოგეგცნენ ბაღში მკვახედ!

მრავალჟამიერ

შობა დღეს ქვეყნად დაბადებულნო,
ვინც დაიბადეთ ქრისტესთან ერთად
ღვთის მადლით ვარდად ჩვენად ქებულნო,
მადლობა უფალს, ქართველნი შეგქმნათ.
დაგლოცავთ ყველას, ბევრნი ხართ რადგან
თემო, ეთერი, დავითი, ცირა
მე ვინც არ ვიცი ყოველსა მათგანს
და თქვენზე კარგი თვალებით მზირალთ.
ისევ გრძელდება ზეიმი შობის,
ამიტომ ჯერაც არ არის გვიან
გიღმერთებთ დედებს, რომლებმაც გშობეს,
მამებს, ვინც თქვესავ გულებში ზიან.
თქვენ, ახლობელთა გულის წადილნო,
თქვენით ეხაროს ამერს და იმერს
ღვითსთვის გემღეროთ ბევრჯერ ალილო
და თქვენ გეცხოვროთ მრავალჟამიერ!

გადავძახებთ

მისთვის შთაგვბერა სული ქვე, ამ ქვეყნად ქმნილად ზენამა
რომ ჩვენი მიწა ტკბილად ჩვენ, ზედ ტკბილი ოფლით გვენამა,
თუმცა დაჰბერა შემდგომად, ავმა ნიავმა ქვენამა
შორს გაგვიტანა მსუბუქად, რაც ნაღდად აღარ გვეამა.
მშობლიურ ბაღნარს გვაშორა, სხვაგან გვაყლაპა მტვერია
მოყვასი მიმოგვიფანტა, შინ გაგვიმრავლა მტერია,
ბევრს მთლად მოუსპო სიცოცხლე, ვინც გულითადი გვერია
ისე დახატეს თითქოსდა, დიდს მცირე, რომ მოგვერია.
არ გვასმენინეს შოთას და ვაჟას ნაქარგი ჰანგები
სხვადასხვა მხარეს გაგვყარეს, ერთურთის ვერ ვართ გამგები,
ეროვნულს, სურთ აგაცილონ, სხვა ჩაგვაზომეს თარგები
თუმც ვბოდიალობთ შორი-შორ, ჯერ ჩვენი დაგვაქვს ჩანგები.
არ გაგაწბილებთ სამშობლოვ! არ დავივიწყებთ ქართულსა,
ანდა რა გაასხვაფერებს, სულში შენს ნოტებს ჩართულსა,
ყურებს დავიჭრით, ბლაგვი ხმლით, სხვისის მოსმენით გართულსა
ასჯერ ეყოფა ქართული, მსოფლიოს მრავალ სართულსა.
ლაზარეს ენა უფალმა, ისეთი შექმნა, მწყაზარი,
რომ გადალახა ადვილად, ბაყბაყ დევების ზანზარი
ჩვენს ისტორიულ ყველა მტერს, ერთობამ დასცა თავზარი,
რათა მოვუხმოთ კვლავ ერთურთს,
ჩვენ გულით დაგვაქვს თან ზარი,
... გვწამს, დრო დადგება მარჯვე და ჩვენც მოვიხელთებთ
პერიოდს,
კვლავ შევიკვრებით ერთბაშად, ვინც გულით ვაჟი გვერიოს,
ერთ გოჯს არ დავთმობთ მიწასა, არც კოლხურს, არც იბერიონს
და გადავძახებთ მთის გაღმაც: „ჰერიო ბიჭებო ჰერიო!“

ქ რ ი ს ტ ე ი შ ვ ა

ციდან მოისმის ანგელოზთა ტკბილი გალობა,
ზედ ბეთლემზედა ზეცად შეჰკრეს იმათ კამარა
ისევ განცხადდა მაცხოვარის თავის მდაბლობა
და ბაგად იშვა, რომ არ დავრჩეთ ცოდვის ამარა.
ძღვენად მიართვეს, იქ მოგვებმა, ოქრო და მური
გზა აურიეს ვარსკვლავისკენ ვამპირ ჰეროდეს
მან ჩვენ სახსნელად მოგვიმზადა სისხლი და პური
რათა სიმართლით, მისკენ მისვლას, ჩვენსას ელოდეს.
გილოცავთ ხალხო! ქრისტე იშვა! დღეს ბეთლემს შიდა
მამამ დაუშვა, მოავლინა ის მხსნელად ჩვენთან
და დაიწერა სახარება, ჩვენთვის, ოთხ წიგნად
მოწონებული ერთიანად სუყველა ბრძენთა.
შიგ ჩაიწერა ამ ცხოვრების წესი და რიგი
ჩვენი ყოფის და საქციელის ყოველი კვანძი,
ჩვენი ვალია, დავიჭიროთ აწ თადარიგი
გამოვიყენოთ, მოგვეწოდა რაც ღვთისგან განძი.
ვიაროთ იმ გზით, გაგვიკვალა საითკენ ღმერთმა
აუნთოთ ერთურთს, გულმართალი მნათეს ნათელი,
ძმობის და ნდობის შევაერთოთ, ჩვენ ცნება ერთად
ვაფრქვიოთ ირგვლივ, სიკეთის და ტრფობის ფანტელი.
მოვისალმუნოთ და ვიმღეროთ, ღვთისთვის ალილო
სიმართლით გვევლოს, ყველა ქართველს, ქრისტეს კარამდის
და შენ, სამშობლოვ! სიმწრისაგან უკვე დაღლილო
მშვიდობით მოგცეს გაბრწყინება, აწ და მარადის!

ტყუილად შევები

შენ ნიჭად ნიჭო, სიტყვათა ზემარგალიტად მქარგველო,
ლექსთა მძივებად, ამბების, თავში მუზებად ჩამღვრელო,
ვარსკვლავთ კრებულთა მზეთა მზევ, მათზე შუქისა ჩამრთველო,
ჩაუქრობელო მნათობო, შენ, დიდზე დიდო ქართველო.
ბედნიერია ის ერი, შენებრის შვილად მშობელი,
რვანახევარი ასწელი, შენით ვამაყობთ ყოველი,
ლოცვით გარჯილხარ ჩვენთვისა, შუბლზე ოფლშეუშრობელი,
ჯვრის მონასტერის კედელზე, ფრესკად ბრწყინავხარ რომელიც
შენებრ ღმერთკაცის საქებრად, მუზა მოვზიდო საიდან,
მწამს ჩემსა სიტყვამცირობას, დიდგული შენი აიტანს
მეც სხვაგან ვდგავარ მონასტრად, შინ მიმღერიან „შაითანს“
რასაც ახლა ვწერ საკითხად, მანდ შენს ფრესკასთან ჩაგიტან.
კლდემამოსილო უფლისგან, ვეფხვის ტყავითა მმოსველო,
სიყვარულითა ტანჯულო, სიყვარულისთვის მლოცველო,
უკვე ასულო ზენიტად, თან უფრო მაღლა მცოცველო
წმინდანად დაბადებულო, ციურ ბუნების მომცველო,
რამდენიც არ ვილაქლაქო, ვეღარ შეგამკო ქებითა
დღეს მთელი ერი მლოცველად, შენზე, მუხლებზე ვდგებითა
ფრიდონ, ტარიელ, ავთანდილ, ამირან-ყამარებითა
ნესტან, თინათინ, დარეჯან, ქეთევან-თამარებითა
... შოთავ! ვინ შესძლოს ბედითა, ტვირთი იტვირთოს შენებრი
გული კი გულობს, თუმცაღა, შენს ქებას ტყუილად შევები!

სანატრელია

სანატრელია მკითხველი,
სანატრელია მზეც,
სახლში არავინ მიმელის
და დავიტანჯე მეც.
ეგება იმან მიშველოს
ფუტკარს ვემსგავსო დღეს,
თაფლით მოგთაფლო მიმრქმელი
და ჩამიხუტო შენც.
თან ბევრი გვქონდეს მრიცხველი
მნიშვნელი გავდეს ერთს,
სხვის ჭირ-ვარამის მტვირთველნი,
ვემსგავსებოდეთ ღმერთს!

უფლის თვალის წინ

ხამს ლექსით იგი შევაქო, ვინც მართლა, შესაქებია,
ვინც ბევრი ღვარა ოფლი და თვალს რული, რომ დაჰკლებია
პური არ ჭამა არამი, ურგო არასდროს ჰრგებია,
შორს დაიჭირა ეშმასგან, გვერდით უფალი ჰხლებია.
ბევრი აგინა უგნურმა, არ დაუფასეს სიკეთე,
მის ნაშრომ-ნაჯაფს სხვა ირგებს და კარიერას იკეთებს,
ის წყნარად ზის და სიკეთით, მშვიდობას მოიპირკეთებს,
თუმც კი აღელვებს ცრუ ღმერთი, უხამსად თავს, რომ იღმერთებს.
თვით ოფლი ღვაროს, სხვამ ჭამოს... მართალი კაცის ხვედრია,
სიკეთეს ვინცა აკეთებს, ყველაზე მეტს მას ჰყვედრიან
ალალ კაცს, შრომით და ჯაფით, ვით ჯორ-აქლემსა ხედნიან
ვინ წაუყრუებს სიბრმავით, ადვილი მისახვედრია.
თავად ვინც სტყუის, მას არ სურს, ვინმემ შეაქოს მართალი
თუმცა ქება მას რად უნდა, ვინც ღვთისგან არის ნათალი,
ვის თავის ბაღში არგუნა, ზენამ ვარდების კვარტალი
მას რას დააკლებს უგნურთა, შავი ყვავივით ყრანტალი.
ცრუ როდის იყო გრძელფეხა, ის მას მოიტეხს ადვილად
ცხელ ტბაში დაიდაგება, ვის ღალატი აქვს წადილად,
ბრძენი გააგნებს თავის გზას, ედემში შევა ნამდვილად
ის ვინც აქ რწმენით იწამა, ღმერთს ეახლება ყრმა-შვილად.
... სიკეთის მთესო! ნუ ჯავრობ, თუმც აქ გაგკიცხეს მრავლადა
მთავარია, რომ რაც თესე, უფლის თვალის წინ გამრავლდა!

მივბაძოთ ფუტკარს

ბუზს ვუწოდებთ ჩვენ ფუტკარსაც, ვერ ვაფასებთ შრომას მისას
ის კი, თაფლით გვამარაგებს და სანთელს ქმნის სუფთას - ღვთისას
ჩვენ სიმწარეს დავატარებთ, ცოდვილ ფულით ვივსებთ ქისას
დედის ძუძუს ვერ ვეღირსეთ, ვინღა ჩივის ფუტკრის რძისას.
სანიმუშო წესრიგს ნახავთ, ჩაიხედავთ თუ კი სკაში
უმუშევერს ვერ იპოვით, არც კი მოსდით ეგი თავში,
ყველამ თვისი საქმე იცის, პასუხს უგებს ვინ, ვის რაში
მათ დედა ჰყავთ მოკარნახედ, აჰყვებიან მას ერთ ხმაში.
დაგესლავენ შხამით მტერს და დამარხავენ მას დინდგელში
ან თუ ვინმემ იზარმაცა, ჩააგდებენ მას შავ დღეში,
დათვიც ვეღარ ეკარებათ და თავს გრძნობენ ლომად ტყეშიც
გარე ვეღარ გამორეკავ, თუ შეიგრძნეს წვიმა - თქეში.
დედა კვერცს დებს, ხოლო რაზმი, დააჯდება მას ზედ კრუხად,
რათა ბარტყნი გამოჩეკონ, თავი იგრძნონ უფრო ჯმუხად,
რძეს და ნექტარს აურევენ და აქცევენ ბარტყის ლუკმად
ჩვენ თაფლს ვპარავთ, თვის სარჩენად, აკეთებენ იქ კვლავ ხუთმაგს,
დავფიქრდებით თუ კი ხალხნო, რა კარგს ვიზამთ, რომ იცოდეთ
ჩვენ მივხვდებით, მჯერა უცებ, რომ ფუტკართან ბევრი ვსცოდეთ,
გვსურს ხელი არ გავანძრიოთ, სანოვაგე ბევრი გვქონდეს
და ვერ ვხვდებით, მიუღწეველს, ვერ მივაღწევთ ვერასოდეს.
... უცხოს ვბაძავთ, ხუთიანი გვიწერია მაგ საქმეში,
ჯობს მივბაძოთ ჩვენ ფუტკარსა, რომ არ ჩავდგეთ მთლად შავ დღეში!

გვეყოს

ვიყავი ვენაში, ვიყავი ბუდაში
პეშტშიც კი ვიყავი, დუნაის გადაღმა,
ვერცერთი ვერ სწვდება ჩვენს სოფლებს ხურდაში
და ჩემმა იქ ყოფნამ, გული მთლად დანაღმა.
უბრალოდ, ფასდება იქ კაცის ნაშრომი,
ბუნებას სითბო და ალერსი ეტყობა
ჩვენსავით, არა ჰყავთ იქ სისხლის დამშრობი
და ზეცაც, ჩვენსავით, თავზე არ ემხობათ.
იქ, ხალხი იღიმის, ხარობენ გულები
იშვიათ მოვლენად ქცეულან ცრემლები,
ჩვენთან კი მოხშირდნენ გულები - მტრულები
და იქეთ გაგვექცნენ, თეთრგულა მერცხლები,
ჩვენი ხომ ჩვენია, არ უნდა კამათი,
სამშობლოს სურნელი, არსად არ იგრძნობა
როგორც არ ბრწყინავდეს, ბაჯაღლო მაგათი
ფოლადი ჩვენსავით არსად არ იწრთობა.
... ხოდა, ჩვენს მივხედოთ, სანამდე დრო არის
გვეყოს, რაც თავებზე ქვები გვაქვს მომხდარი!

შენ თუ ლომმა

მელამ უთხრა დათვსა: დათვო,
მოგება მაქვს მე ორმაგი
ერთი, რომ მე ბეწვი მათბობს
და მეორე, ჭკუა კარგი.
შენ, როდესაც ლოკავ თათს და
ღრმა ბუნაგში დაამთქნარებ,
მე გადვუშლი ქათამს ფრთას და
„რევიზიას“ ჩავუტარებ.
რომ გამოხვალ ზამთრის მერე
ცალ თეძოზე ნამძინარი,
ვერ ჩამოგბანს სამ თვის მტვერებს
მთის მდინარე გამდინარი.
ფიქრობ მაინც შეგრჩა ძალა
დაბაჯბაჯებ, ტეხ სუსტ ტოტებს,
უსუსტდება შენს ფეხს ძალა
და ტყეც გაზრდის შენთვის შოლტებს.
მე თუ მოვკვდი, ჩემი ბეწვი
ტანს მშვენიერთ დაუმშვენებს
შენს ტყავს ფეხქვეშ მიწა ეწვის
იატაკქვეშეთს ანაშენებს.
ასე, რომ შენ, დიდო დათვო
შობილიყავ ჯობდა მელად,
თუ დათვობას აღარ დათმობ
ლომს მოვუხმობ შენს მაცემლად.
... მერე ნახე ვისი აჯობს
შენ თუ ლომმა იბაჯბაჯოს!

დამთანმხდი

მე და შენ ქალავ, შენ და მე
რაღად გვჭირდება მესამე,
რომ გნახე, იმავ დღესავე
შეგირთე შენი კვნესამე.
შიგ მყავხარ გულში ჩართული
სიტკბო შემომდე თაფლური
ვარ იმ სიტკბოში ჩაფლული
ვით დედაპური ქართლური.
არ გვინდა არვინ, მე და შენ
ტკბილად მივირთვათ ზედაშე,
არ გავაკაროთ წყენა ჩვენ
ჩვენი ცხოვრების ზედნაშენს,
სიამ-ტკბილობა დავლიოთ
ცხოვრება სანამ გავლიოთ,
გულღია შევხვდეთ ალიონს
რომ გზები აღარ არიოს.
ახალი წელის შემოსვლას
შენ დაბადებით შემოსავ,
შენი ჩემს გულში გადმოსვლას
თვით თავად ღმერთი დალოცავს.
რადგან სიმართლით მე და შენ
ვდგავართ, თვით, უფლის წინაშე
და უფლის სახლის მინაშენს
არ გავცვლით, ჩვენ სხვა ბინაში.
.... სულ ასე ვიყოთ...შენ და მე
დამთანმხდი... შენი კვნესამე!

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო

ყველანი უებარ სიახლეს მოველით
როცა შემოდიხარ, ფიფქებით სპეტაკით,
შენ, წელო, ახალო! ახარე ყოველი
კუჩხაბედნიერას სიმღერით გეძახით.
მობრძანდი მალამოდ, დაგვტვირთე სიახლით,
უხშირე ქორწილებს, გვაშორე ქელეხი,
მშვიდობა მოგგვღვარე, თერგით და ლიახვით,
სულ წყალში დაახრჩვე თოფი და ქვემეხი.
შეწყვიტე ანაზდად ჩხარუნი ჩახმახთა,
მანანა ათოვე გულდაჭრილთ ომისგან,
დაალბე გულები სუყველა ამაყთა
გზა ძმობას დაუთმე, დაწყებულს გობიდან.
დაათბე გულები ბედგამწყრალ ობოლთა,
გლახაკებს აუნთე სიმართლის ნათელი,
თანაბრად გაუყავ მათ ფული ბობოლთა
მსურს გული ხარობდეს, ჩიჩილაკთ გამთლელის.
ახარე მშრომელი, გაულღვე მარცვალი,
გულუხვი მოსავლის უმრავლე იმედი,
მიწაში ჩაადნე ვინც დარჩა მტარვალი
მიუზღე მათ მათი, სიმძაფრის მიხედვით.
თავდახრილთ ბედისგან შემოჰკარ წკიპურტი,
გაცოცხლდენ ეგებ და ასწიონ თავები,
ისეთი აჩუქე, ცხოვრების მათ პულტი,
რომ არც ერთს არ ქონდეს გამოსართავები.
ცხოვრების, ისეთი შეგვიქმენ იმიჯი
რომ არ ვთქვათ, მთელი წლით, ტყუილად გიცდიდით

მოგვეცი შანსები, ბოსტანის გასინჯვის,
რაშიც არ ჩადებენ შხამებს და პესტიციდს.
ახალი წელი ხარ, დანერგე სიახლე,
ჰაერიც გვასუნთქე სუფთა და ახალი,
რაც კარგი გვქონია, შენც ის გაგვიახლე
შეჰქმენი განწყობა, ტკბილი და მაღალი.
უსახლო, უკარო, არც ერთი არ დარჩეს,
არც იყვნენ ისეთნიც, ახრჩობდნენ ფულები
ვინც თითქოს განწირეს, შენს დროში გადარჩეს,
ახარე ყოველთა, ქართველთა გულები.
შენ, წელო ახალო, შეგექმნას პირობა
ადგილი არ ჰქონდეს, ღვთის წესთა გადახრებს
საჭირო არ იყოს, ზედმეტი გმირობა
მისთვის, რომ აკვნებში ბევრს ცვეთდნენ არტახებს.
ღვთის ნებით, წელო ხომ, თქვენი გაქვს თორმეტი,
ამიტომ აქ სტროფიც თორმეტი იქნება
არა მსურს, არც ერთი გავუშვათ მომენტი
ღმერთმა ქნა, რომ მისვლა ბოლომდის ინება.
... მაშ წელო ახალო! დავლოცოთ ყოველი,
რომელმაც ღვთის მადლით, შეგავლოს რომ თვალი
ჩვენ შენგან ხვავსა და ბარაქას მოველით
ბოლომდე ვაგოროთ, წელს შენი ბორბალი.

უკეთესს ვერ ვიტყვი

განვეწყოთ კარგისთვის, ვაფრქვიოთ სიკეთე
მეგობარს ჩავხედოთ პირდაპირ თვალებში
და იმათ, ვინც ჩვენს გულს იმედით გვიკეთებს
სიყვარულს ვაძლევდეთ, სითბოში ალესილს.
ვიზრუნოთ იმაზე,რომ ჩვენზე იზრუნონ
მის შემდეგ, რაც მათზე ჩვენ უკვე ვიზრუნეთ
ვეცადოთ, რომ ჩვენთვის სიკეთე ისურვონ
ვუსურვოთ მათ იგი, რაც ჩვენთვის ვისურვეთ.
გავრიყოთ სიცრუე ჩვენი წეს-რიგიდან
დავგზავნოთ სითბო და ნუღარ ვმერყეობთ
პასუხს არ ველოდოთ, მიღებულს იქიდან
კეთილი გზავნილი, კვლავ გავიმეოროთ.
მას, კი ვინც, ჩვენს ნაბიჯს, უყურებს კრიტიკით
პატივი მივაგოთ, რამეთუ სურთ კარგი
იხარონ მათ სულაც, ეს გვსურდეს, პირიქით
კარგისგან მწამს იყოს გზავნილიც სულ ვარგი .
სარკეში რას ელი, რომ ნახო, უკეთესს
რაც არის ჩამხედი მის სინამდვილეში
თუ კაცი მის მოყვასს სიავეს უკეთებს
სიავე ექნება მას სულ ცხოვრებაში.
... ხომ გვითხრეს: „დასთესო რასაც, მას მოიმკი"
და მეც ვიმეორებ, უკეთესს ვერ ვიტყვი!

გამარჯვების გარანტი

მოვა ის დროც, მე როდესაც, თვალს ბინდი გადამეედება
და სამუდამო საბნად ზედ, ვარდები გადამეყრება,
გულს აგიჩუყებთ, ზოგ-ზოგსაც, ცრემლიც მაღირსოთ ეგება
იმ თქვენი გულის კედლებთან, სანამ მექნება შეხება.
ბევრს ნუ იტირებთ, იქ თურმე ცრემლი ტბად გადაიქცევა,
თითქოს საყრდენი გალღვაო, თვით ზეცა ჩამოიქცევა,
იცით, ვინც გაღმა გადავა, ის უკან არ მოიქცევა,
აქ მრავალმწარე ნაღველი, იქ შაქარ-თაფლად იქცევა.
ჩემს აზრებს წიგნად გაგიშლით, იკითხეთ არ დამივიწყოთ
სიკეთის ქმნას ნუ დაიშლით, ხამს ოქროს ნაცვლად ჩაიწყოთ
ცოდვების წაშლას ნუ იშლით, ახლავე უნდა დაიწყოთ
რომ აღარ წარსდგეთ იქ შიშვლით, წამსვლელად როცა განეწყოთ.
ამ დროებითში, მუდმივად, ვიცით არავინ დარჩება
იქ, სამუდამო მინდორზე, ვარდი, დაგხვდებით ფარჩებად,
ღმერთმა ქნას მოვიმოღვაწო, მის სიახლოვეს დარჩენა
რომ ჩემს ხალხს გამოვუგზავნო, ზეცით, მანანა სარჩენად.
მაშ ,რაღა ვქნათო, იკითხავთ: დრო რომ დამდგარა მაცდური
ჯერ ხომ აქა ვართ, ამ სოფლად, სანამ გვაქვს აქა სადგური,
-გავიღოთ სოფლის საშენად, ყველას გვაქვს, თითო აგური,
დროზე ვქნათ, რომ არ შეგვექმნას, მერე იქ თავზე სამდური.
... იმით ვიღვაწოთ მოგვეცა ღვთისგან, რამდენიც ტალანტი
მწამს ეს იქნება ყოველთა, აქ, გამარჯვების გარანტი!

დაგვიცდის უფალი

ერთს უნდა იძინოს, მეორეს იფხიზლოს
შენ გინდა გაიგო, ვინ არის მართალი.
ის ვისაც სურს ძილი, ვინც უნდა იფხიზლოს
თუ იგი, მათ შორის, რომ იწყო ფართხალი.
მე კი, მწამს არსებობს და მუდამ ის ფრთხილობს
დაწესდა ვისგანაც, ქვეყნად სამართალი,
პროცესი დაიწყო, პროცესი გაღვივდა
თან ყოველ მიჯნაზე, დადგინდა ტემპები.
ზოგი წესს იცავდა, ზოგი კი არღვევდა
სულ იყო მოკლეზე, ტყუილის ფეხები,
მიწამ კი ასწორა, ვინც მეტზე აღზევდა
ვინც იყო მართალთან, უნიჭოდ შემხები.
ეს იყო საწყისში, ასეა ამჟამად
ტემპია შეცვლილი, დაბლიდან მაღლამდე
ზოგს ძინავს, ზოგი კი, კვლავ ფეხზე დამდგარა
და ასე იქნება საწუთროს დაღლამდე,
სანამდე ის ბოლო, ჟამი არ დამდგარა
დაგვიცდის უფალი მიმავალთ ტაძრამდე!

ძმური განწყობა

მებრძოლ სულს ვეძებ, წაუღია ქარებს წარსულში
მენელთბილობა სულს მიხუთავს, გარს მახვევია
მე იმ კაცს ვეძებ, სიტყვა თქვას და ჩაგიძვრეს სულში
და არა ისეთს, ვინ სიტყვისგან გადამხვევია.
იმ ქართველს ვეძებ, ქართველობით, რომ უდუღს სისხლი
მისი ნამუსით, დედა ღვთისა უხარებია
ვინც გამგებია, თბილი ჰანგის ყოველი მისხლის
და გულში მხოლოდ სიყვარული უტარებია.
ვინც არ გაგყიდის, არც გიყიდის, სადმე ერთ თეთრად
მოგისათუთებს, სულს არასდროს დაგიზიანებს,
ვინც ხან ხატია, ხან გადმოვა ციდან თვით ღმერთად
დ შენს სინანულს, სიხარულით გაიზიარებს.
მე, შენ დაგეძებებ, ხო, ძვირფასო, მე შენ დაგეძებ
შენც მომეგებე და ჩამეკარ უთბილეს გულში,
სხვა რაღას იტყვის, შენ ნუ ღელავ, მას ნუ დაეძებ
სხვა შეგვეჯიბროს, ჩვენ უტყუარ, ძმურ სიყვარულში.
დე! მათ ისწავლონ, ისევ ჩვენგან, კაცურ-კაცობა
ზომიერება მოვიძიოთ, თორემ სულს ღაფავს
არც ნელთბილობა ივარგებს და არც მთლად ანცობა
აქსიომაა, თეორემად ნურვინ მონათლავს.
... აწყმო ვაღმერთოთ, ის ხომ ჯერეც გასავლელია
ძმური განწყობა - გზა ტაძრამდე მისასვლელია!

ლია ქებურიას

ლიკა, შენზე ლექსის წერა, არის საქმე არ ადვილი
მრავალმხრივი ნიჭით სრულით, მდიდარი ხარ შენ ნამდვილი,
პირველ რიგში: მტკიცე რწმენის, გაფარია ზედ მანდილი
რაც მთავარი: სახლში მისვლის, არ გიქრება მზე წადილის.
მოყვასისა მოყვარული, არა მტრულით, არა ფლიდით
სიყვარულით სავსე გულით, კეთილით და ერთობ დიდით,
გსურს გამოღმა გადმოსულმა, გაღმა გასვლის ძერწო ხიდი,
რადგან სული იქეთ დაგრჩა, და გონებაც მასთან მიგდის.
დღეს ზეიმობს მზე და მთვარე, მოვლინებას ამა ქვეყნად
გულისწორად იმ ერთისთვის, ვისთვის დად და ვისთვის დედად,
ვარდი ვარდად გაფურჩქნული, ენა მშვიდად არა ყბედად
ღმერთმა მოგცეს სიხარული, რაც გინდოდეს, უცაბედად.
შენზე წერა, მე ბევრის მსურს, თუმც არ მინდა მოგაწყინო,
დღეს ისეთი ზეიმი გაქვს, წელიწადში ერთხელ ლხინობ,
მე გისურვო მინდა მხოლოდ, გამოგსვლოდეს, რასაც ცდილობ
გულკეთილი დაგხვდეს ყველა, ვისთვისაც შენ გულკეთილობ.
დაგელოცოს ფუძე-ჯერი, აქ რაც გაქვს და იქ, რომ დაგრჩა
ყველა შენთან მოსულიყოს, თუ სიკეთე სადმე დარჩა,
სულიწმიდის მადლი გეცხოს, მირინოსის გეცვას ფარჩა,
ათასწილად აღგედგინოს, იმ ხიდს გაღმა რაც კი ჩაგრჩა.
ღმერთმა ტკბილად შეგაბეროს, შენს ქმარ-შვილთან,
შვილიშვილთან, საუკუნე კვლავ გეცხოვროს,
სიხარულის არ მოშლითა!

მონა არ იყვნენ

მე შენი ცოდვით დავიწვი, ჯიშო უგულოდ ტანჯულო,
ნეტავი მქონდე მავიწყი, უბედო გულო, ქართულო,
სად და სად გიწევს „ჩალიჩი“, საკუთარ კუთხეს ნატრულო,
ცრემლით გინამავს ბალიში, მშობლიურს, რომ ვერ ნახულობ.
საკუთარ დედას ნატრული, სხვაგან უვლიდე სხვის დედას
ესაა ბედი ქართული, ჩვენს გულთა ტანჯვას, რომ ბედავს
რითა ვართ ძმებო გართული, ან გულის კარი რას ხედავს,
ჩვენს ნიჭით სავსე დას, დედას, სხვა რად უპირებს გახედნვას.
თ ს უ დამთავრებულნი, ნამდვილად ნიჭით სავსენი
შინ სამუშაო, რომ ჰქონდეთ, არსად არიან წამსვლელნი,
შინმოუსვლელად შევრაცხეთ, თვალნი ცრემლებით ვავსენით
სხვათა მოხუცთა საფარი, ნუთუ, შინ ვეღარ გავხსენით.
წვრილშვილებს, საკუთარ მშობლებს, შინ ვტოვებთ ჩვენ უპატრონოდ
იგივე კატეგორიას, იქ სხვისას, რომ ვუპატრონოთ,
რატომ ვითმინოთ, ჩვენს მანდილს, სხვა სცემდეს ხმას უბატონოდ
ან რა წესია მოძღვრებო, თქვენს სამოძღვრს სხვა, რომ ბატონობს.
შინ შევქმნათ შრომის ადგილი, მცირე საწარმო, საამქრო,
სხვაგან დინების წყურვილი, მშრომელთა, აქ რომ ჩააქროს
სხვისი მონობის სურვილი, ყველა ყმამ, აქვე გააქროს
ჩვენი სალოცი სანთელი, ჩვენს ტაძარშივე დაანთოს,
აი, იდეაც მოგეცით, სად მოიპოვოთ ქულები
ვისაც ბალიში სავსე გაქვთ, ფულებით გაფლანგულებით,
შინ ამუშავეთ თავისთვის, გულები გათანგულები
თუ გაახაროთ თქვენ სხვისი, თქვენიც იხარებს გულები.
... ღმერთმა ქნას იყოს საკმაო, ამისთვის ჩვენი სინდისი,
ჩვენი დანი და დედანი, მონა არ იყვნენ იქ, სხვისი!

ბედს არ დავუთმობ

ვხანი და ვთესე!.. ვხანი და ვთესე
მოსავლის მომკის არ მომცეს შანსი,
შორს... ტრამალებში, მე, განმაწესეს
კუშტად შემფუთეს კოშმარის გარსით.
მგვემეს და მლეწეს! მგვემეს და მლეწეს
როცა არაფრის არ მქონდა ბრალი,
მიკვირს კაცს ასე რა გაამხეცებს
ან "კანონმდებელს" სადა აქვს თვალი.
ნუთუ, დაცემის დამდგარა ჟამი
მწყრალად დამწყვიტეს ცოდვებმა წელი,
არ მერგო წილად მანანის ნამი
და მრუდე ბედმა მიქნია ცელი.
მაგრამ, ეჰ, არა, არ დაგნებდები,
მე, ტატოს მოდგმის ანცი ქართველი
შევკაზმავ მერანს და გავჭენდები
აღარ მსურს მენთოს ბაცი სანთელი.
... რომც მომიწიოს გადასვლა მითში,
ბედს არ დავუთმობ თავს ლაბირინთში!

სულ ველი

დავდივარ, დავეძებ იმ კენჭის სადარი
რომელმაც ფეხშიშველს შინ სისხლი მადინა,
ეგება იქ სადღაც მეპოვა მაგგვარი
ნატამალს ვერ ვხედავ აქ, მზისფერ განძიდან.
ალბათ თქვენ მეტყოდით: ქვა სად არ ყრიაო,
აქ კენჭსაც მოტანილს, ოქროზე ყიდიან
სამშობლოვ, გულკაჟავ! ლამაზო, სვიანო,
გულს ყველა გიტოვებს, თუ სხვაგან მიდიან.
მე სულიც იქ დამრჩა, აქ ლეში დავდივარ,
არ წყდება ნატვრა და მისგან ვერ განვედი,
უშენოდ დუნაიც, დუნია კი არა
უბრალო გრძედია- უბრალო განედი.
თუმცა, კი ბატონო, კარგი აქვთ ქვეყანა
მათთვის, ვინც აქ იშვა, აქ ზიდა ჯაპანი,
მაგრამ ვერ ედრება, ეს ყანა, ჩვენს ყანას
ვინც თვის კარგს ვერ ამჩნევს, სუსტია, ჯაბანი.
იქ, ჩვენთან... წინაპართ, ოფლი აქვთ დაღვრილი,
ნაზავი თვით სისხლთან, ქალ-ვაჟთა, ქართველთა
არა გვაქვს უფლება, რომ ვიყოთ დაღლილნი
და ვენთოთ ჩვენ უნდა, კელაპტრად ნათელთა.
.... სამშობლოვ შენებრი, ვერ ვპოვე სურნელი,
ამიტომ შინ მისვლას, მერწმუნე, სულ ველი!

დავწვათ ეშაფოტი

რომ მიხარია, ვარ იმ ფორმაში
წინ თავდახრილი, თუ ვიწერ პირჯვარს
თავს თავდაცულად მე ვიგრძნობ მაშინ,
ლოცვით გადავყრი, როს ბოღმის დიდ ჯავრს.
ჯვარი გწერია, სამშობლოვ ჩემო,
ღმერთმა გიმრავლოს პირჯვრის დამწერი,
ზეცა გვარგუნე მშვიდი გამჩენო,
რომ არ გაწბილდეს ჟამთა აღმწერი.
მტრედმა იფრინოს უღრუბლოდ მაღლა
ღვთისკენ წაიღოს კარგი ზღაპარი,
სიკეთის მქნელმა არ იგრძნოს დაღლა
მისთვის ყვაოდეს ვარდად ბაღნარი.
ტანჯვა-ვაებას მოეღოს ბოლო,
იმარჯვოს ძალამ სიყვარულისამ
ვინ ადრე მივა, ვნატრობდეთ მხოლოდ
გარდაუვალად ყოფად სულისა.
შენით დაიწყო ღმერთო! სამყარო
მწამს, ცუდად იგი არ დაასრულო
ჩვენს მიწას, მიწად გადაგვაყარო
ოღონდაც სულმა არ იწარსულოს.
... სულს უკვდავების ვუშენოთ პორტი,
დასჯის რომ დავწვათ, ჩვენი ეშაფოტი!

უსასრულო მადა

რად გაჩნდა ეს ილუზია
ცოცხალ კაცს ბევრი ჭიროდეს
სიკვდილის შანსებს იქ ზრდიან
სადაც, რომ მადა ძვირობდეს.
მოთოკვა თუ ვერ ვისწავლეთ
და მადამ დაგვსცა თავზარი,
უძღები შვილი იწვალებს
დაგვრჩება გაუმაძღარი.
თუ ძღომის ლაგამ-აღვირი
მთლად უნაპირო მდელოა
ადვილად ვხდებით ვამპირი
სიცოცხლეც უსაშველოა.
კაცს კი სჭირდება იმდენი
აკმაყოფილებს რამდენიც
ვინც ოფლისაა აქ მდენი,
არ არს ღორობის ჩამდენი.
უბრალო გობზეც ხორბალი
იგივე ტემპით ღვივდება
მაშინ სული გვაქვს მომპალი
როს ოქროს თეფში გვჭირდება.
პურს შოულობდა ოდითგან
გლეხი გასული სარჩოზე
მაშ რაღა ჭირად მოგვინდა
ოქროს ჰალსტუხი გვახრჩობდეს.
სულის სიცოცხლის წამღები
სიკვდილად, რომ შეგვრჩენია
ქვესკნელის კარის გამღები
დიდი მადაა ჩვენია.
... იმ მადას, აქ უსასრულოს,
ჯურღმულად სურს დავასრულოთ!

სიმართლის პატაკი

მაინც მოგვძებნის უფალი, რომ მიგვაბრძანოს თავისთან
თუნდ ოქროს სკივრში ჩავჯდეთ რომც, იკეტებოდეს თავისად.
დაბადებიდან ჩვენისა, მან თვისად გაგვითავისა
ჩვენც ნუ გავიხდით თავს აწი, ეშმაკისად და თან სხვისად.
ვერ დაემალვის მას ერთიც, ბგერა, ასო და მარცვალი
ტყუილად ნუ ვართ ზედმეტით, ციხის აგებით მაშვრალნი,
იქაც მიგვაგნებს, რომც ვიყოთ, ბრილიანტებში დამხრჩვალი
და გვაზღვევინებს ბოლომდის, ცოდვით დაგვედო რაც ბრალი.
მაშინ მივხდებით ფუჭია, აქ ქონა მილიარდების
თავზე გვექნება საცემი, როს ქვები ბილიარდების,
არ გვეყოლება არც ერთი, საფლავს დამდები ვარდების
იტყვიან: მოკვდა?.. ჩაძაღლდა?!.. მერე რა... აი, დარდები.
მგონი არვის გვსურს, რომ გვქონდეს, ბოლოს ასეთი სასრული,
ტაძარში უნდა ვეძებოთ, მისკენ მავალი გზა სრული
თუ ღმერთში ვეღარ ვიპოვეთ, რჯული, რწმენა და თან სული
მაშინ უკუღმა ყოფილა, ჩათვალეთ, საქმე წასული.
მოდით უკუღმა სიარულს, წაღმა ვარჩიოთ ჩვენ სრბოლა,
მაშინ მივხვდებით: ქვემეხმა, როს ვისთვის, სად გაისროლა,
ვნებით დამტკბარი თავნება, სატანამ სად მოისროლა
ვინ ეთაყვანა ქრისტესა, ვინ ემსახურა სხვის მოლას.
„ჰე! ღმერთო, ჩვენო! მაღალო“!.. ყოვლისა შემძლე განგებავ,
აწ შენ განსაჯე ყოველი, ვინ რომელ მხარეს, სად დგება,
მწამს, მრწამსი ვინაც დაიცვას, განსჯის დრო როცა დადგება
რამდენიც უნდა ჯვარს აცვან, ის ზარ-ზეიმით აღსდგება.
... არ გაწბილდების აროდეს!.. სულით მსძლე, ხორცით ღატაკი,
ვინც ცოდვა მოინანია... სიმართლის ძერწა პატაკი!

უშენობით

ეჰ! სიყვარულო, შენით თითქოს დავპატარავდი,
კვლავ ყმაწვილვკაცობ, თუმცა უკვე გავჭაღარავდი,
აღარ ბერდება თურმე გული, ბობოქრობს ისევ
სულს ანებივრებს, შმაგ ვნებებსაც, უტიფრად მისევს.
მყარად გაგიდგამს, ტრფობის ალო, მეფური ფესვი
და ყველა გულში დედოფლური კისკისი გესმის,
ტრფობით იწყება და მთავრდება კაცის ცხოვრება,
რადგან სიყვარულს ვინც იპოვის, იგი ცხონდება.
სიყვარულია ოკეანე, თან უნაპირო
მთასაც დატბორავს და მწვერვალსაც, რომ დააპიროს.
ცელქი ბიჭივით, მის ტალღებზე, დღესაც დავცურავ
და ლამაზ თვალებს, უნებლიეთ, ჩუმად თვალს ვუკრავ.
ოქროს თევზივით თავს ამოყოფს ხოლმე სურვილი,
რომ მოეხვიოს ამ სამყაროს, მოკლას წყურვილი.
ხელს ვინ შეუშლის?.. ვის აქვს ღონე მისი სადარი,
ის კვლავ ბობოქრობს, მყარ ძარღვებში, ისმის ზანზარი.
ვნებათა ღელვის ამ სიმძაფრეს, გულო გაუძელ,
თვალი მიაპყარ, შენს წინაშე დამდგარ, ცხოველ ძელს.
... იმ ოკეანის ღელვაც ღმერთო! შენით ჩერდება,
თვით სიყვარულიც უშენობით, გადაშენდება!

ხარობდნენ ყველანი

საწუთროვ! რათა ხარ შენ ასე გულმწყრალი
მამყოფო ეგება, გვემა და წუხილი,
სასჯელად რატომ მაქვს, მე სხვაგან წანწალი,
რად მესმის ჩემს გზაზე, სეტყვა და ქუხილი.
ვიცი, რომ პასუხი ერთი გაქვს ყოველთვის
ითმინე,ითმინე, და კვლავაც ითმინე
ბოლომდე ითმინე! გული სად მოგელტვის
რამდენი სცოდე და მეც ხომ შენ გითმინე,
მიგიხვდი საწუთროვ! არ დავსამ აწ კითხვას,
წავაგე მე ვხედავ ეს წუთისოფელი.
ნუ დასჯი ნურც ერთსა, ამ ლექსის წამკითხავს,
აშორე მათ სულებს, შენ მეფისტოფელი.
იხაროს ქართულმა ჯიშმა და ჯილაგმა
ამ ჩემი წამების და ცრემლთა სანაცვლოდ,
ვინც გულში მუზა და რითმები მილაგა
შეუნდე სულყველას, არავინ დანაცრო.
მიმყოფე გულუხვად, გულწრფელი მკითხველი
არ ჩაქრეს არცერთში, ლექსებზე წყურვილი
არ ეყოს ციფრები, ციფერბლატს მრიცხველის
იმდენჯერ შესრულდეს ყოველთა სურვილი.
... მე, გთხოვ არ ჩამიშრო საწერად მელანი
რომ ჩემი ლოცვებით, ხარობდნენ ყველანი!

გათენდება ჩვენი დღენი

გადავსახლდი იმ ძველ დროში და მივიღე თითქოს ტრონი
მეფესავით მოწიწებით, რომ მომართვეს ფაეტონი,
ჰელიოსის ვაჟის მსგავსად, შევიცვალე იქვე ტონი
წამით მზიურ ღვთაებასთან, განავარდდა ჩემი გონი.
რა დრო იყო! რა ჰქვია მას, დროს, რომელიც ახლა დადგა
მეფე გვყავდა და ცხოვრებაც, მაშინ მართლა მეფურს გავდა,
ორჯერ თავად მირონცხებულს, ხალხიც ღმერთის ფრთებქვეშ ყავდა
თუ დროება მოიტანდა, ის მტრის სისხლით მინდვრებს რწყავდა.
შევადაროთ ახლა ის დრო, ამ დროებას ერთი წამით
მაშინ მეფე წინ გვიძღვოდა, დროშითა და თვის ამალით,
მეფის სწორი დღეს ვინ ნახა, ვის გინახავთ იგი თვალით
ის წასულა ჰელიოსთან, დაბუგულა იქ მზის ალით.
ვისარგებლე მეც მომენტით და დავბრუნდი იმ ძველ დროში,
მომენატრა გარდასახვა, თვით ჩავეშვი ფაეტონში,
მეწილენიც ბევრი გაჩნდა, შემედავა ვინც მე ტრონში,
ახლა " მეფე" იგი ხდება, ჭკუის ნაცვლად, რომ აქვს გროში.
დიდხანს აღარ მომიწია, დღეს მეფობა უფულოსა
მეც ავიღე კალამი და დავემსგავსო მსურს აწ მგოსანს,
სიტყვას მაინც მოგაწოდებთ, მზესთან მფრინავს, ალალს, ფრთოსანს,
წარმოსახვის მადლით შევწვდეთ, ჩვენს იღბალზე, დღეს სხივოსანს.
... "დრო მეფობს და არა მეფე", ხომ ამბობდა ამას ბრძენი
ჰოდა, ცოტაც მოვითმინოთ, გათენდება ჩვენი დღენი!

სადაც ავანთეთ

ვფიქრობ იმაზე, ვის გამოვადგე
რამდენსაც შევსძლებ, ღვთისაა ნება
კაცს სად ვჭირდები, მეც იქვე დავდგე
მადლობა უფალს, რომ მაქვს ოცნებად.
თან მაქვს იმედიც, რომ შევსძლებ რამეს
გულს მოვუფხანო, დავბანო ფეხი
თუ ავადმყოფებს, გავუთევ ღამეს
ვენახს გავუსხლავ, ვახარო გლეხი.
დავლოცავ, სანთელს დავუნთებ ალალს,
არვის დავტოვებ გულდაწყვეტილი,
კიბეს მივადგამ, მივწვდები მაღალს
ოღონდ იქ გული, დამხვდეს კეთილი.
მე ასე ვიზამ, შენც ქენი ასე,
ისიც იზამს და... ავშენდით მგონი,
თუ ერთმანეთის გული შევავსეთ
ზღვასაც მეჩხერი ექნება ფონი.
...და ჩვენ გავცურავთ, გავივლით წყალზე
ვით გაიარა ტალღებზე პეტრემ,
ოღონ ვიფიქროთ ჩვენ კეთილ სვლაზე,
რასაც ვერავინ ვერ დაგვაყვედრებს.
... იქ გამოჩნდება სწორედ ნათელი,
სადაც ავანთეთ, რწმენით სანთელი.

სუფთა სანთელს

წმიდა გულის, სუფთა თვალნი
თვით მზესავით ვარვარებს
მოგვანათე რწმენის ალნი
ქალწულწმიდავ, ბარბარე,
მიგვიყვანე ჩვენც ტაძართან
მოგვალოცე ჩქარ-ჩქარე
გავსუფთავდეთ, რომ თანდათან
შეგვეწიოს ბარბარე.
ქართველები ქალწულწმიდავ
ლოცვით ღმერთს მიგვაბარე,
მადლით შენით, რომ დაგვიცავ
გვჯერა, ტკბილო ბარბარე.
აღუდგინე ისევ ეშხი
ერთად დგომის, მთა-ბარებს
და მოგვმადლე, რომ ღვთის ხელში
სანთლად ვენთოთ, ბარბარე.
ილოცე და ჩვენც გვალოცე
იხარე და გვახარე,
გაუბრწყინე მზე ჩვენს ბორცვებს
ზეცად მყოფო ბარბარე,
ღმერთთან ერთად ყველა ქართველს
ერთურთი შეგვაყვარე,
სუფთა გულით, სუფთა სანთელს
რომ ვანთებდეთ, ბარბარე!

იქვე ვხარობდეთ

საქართველოდან გამოგვაძევეს, თავს ვგრძნობთ ადამად
გასვლა ბაღიდან... უთვლელი ვადით, მოგვესადაგა
ემიგრანტობა ვინღა გვაკმარა... და ვართ ლტოლვილნი
ჩვენი სახლიდან, უმისამართოდ, შორს მოსროლილნი.
შემეკითხებით: ამდენი ხანი არ გასკდა გული?
მეოთხედია საუკუნისა, რომ ვართ ჩაგრულნი
დიახ! რომ გასკდა... სად რამდენი?.. ვინღა დაითვლის
და მათ ჰგონიათ, ეს ვერაგობა მუქთად ჩაივლის
ცოცხალს ვინ ჩივის, აწ მკვდარსაც სახლში... არ გვასვენებენ
და საფლავადაც, უცხო მხარეში მიგვასვენებენ,
მაგრამ არ შეცბეთ, ეს ხომ ლეშია, სულით იმ ბაღში
ჩვენ საიდანაც გამოგვაძევეს. სულით, იქ დავრჩით,
იქ, სამოთხეში დაგვრჩა სული და... ჩვენ რა გვანაღვლებს
გვანაღვლებს ის, რომ უსიყვარულოდ ვგავართ დანაღლელს.
ეხ! მაშ რას ვიზამთ? ცოდვილ მიწაზე თუ შეგვიძულეს
მთავარია, რომ იქ, ჩვენ ზეცაში, ღმერთი გვიგულებს.
ნეტარია: ვინც სიმართლისათვის, შორს გააძევეს
აქ ნაშიმშილებს, იქ ღმერთი აწვდის, ძუძუს სარძევეს,
აქ მაშინ მოვკვდით, ჩვენ, ქართველობა, რომ დაგვიწუნეს
და უკვდავება, ჩვენი სულების, ვერც კი ირწმუნეს.
ფიქრობენ ახლა, რომ დაგვამცირეს, ჩვენ რომ გაგვყარეს,
არც კი იციან, რომ ამით მაგათ, ღმერთს მიგვაბარეს.
... ვებარებოდეთ, ჩვენ ლტოლვილებო!.. ვებარებოდეთ,
სადაც ღმერთია, ჩვენი გულებით, იქვე ვხარობდეთ!

სახიერის

გვცივა, უკვე გაგვიშეშდა მთელი ტანი
სულს მოადგა ყინულების ეშაფოტი,
ოი, ღმერთო, ვინ დათესა ჩვენ რაც ვხანით
ვის ხომალდებს ემსახურა ჩვენი პორტი.
ვინ მოიმკო, ან სათიბი ვინ გათიბა,
ვის შეაშრა საკინძეზე ზღვის მარილი,
ჩვენი გული რად გარიყე იმ ბაღიდან
რად შეგვყარე ყინულებზე ზედ მარხილით,
გვწამს უფალო,არ ვიყავით ანგელოზნი
ბევრმა ცოდვამ დაგვიმძიმა ყველას მხარი,
იქნებ სასჯელს შეუჩერო აწ წამმზომი
და გახადო ცოდვილთათვის ის საკმარი,
იქნებ იხსნა წამებისგან ჩვენი სული
და დამსჯელი რაზმი ჩვენგან აგვირაზმო,
სულ სიკეთეს ამსახურე მზე ქართული
რომ სიბნელეს მან კარები დაურაზოს.
შენკენ იყოს ჩვენი გული მიმართული,
სადიდებლად სახიერის დაიხარჯოს!

შევიცნოთ ბოლომდე

მოგზაურო! შენიც არ მშურს, თუმცა შესაშური კი ხარ
ღმერთთან ახლოს იარები, როცა თვითფრინავში ზიხარ,
წყალში ცურავ, მაშინ როცა, თევზის საცხოვრებლის წილხარ
მთაში ჯიხვებს ეაჯები, ბარში ვარდის ბუჩქად ქმნილხარ.
მოგზაურო! გეთანხმები, ბევრს შეიცნობ სიარულით,
კაცის არ მწამს, დროს რომ კარგავს, წოლითა და ბევრი რულით,
მიაკითხე ყველა კუნჭულს, რაც გვიბოძა ღმერთმა გულით,
და შეივსე გონი შენი, ქმნლებათგან ღვთისგან სრულით.
მოგზაურო! ერთს გთხოვ მხოლოდ, ერთი მაინც აიყოლე
და გზას როცა შეუდგები, თანამგზავრად გაიყოლე,
დე! გამრავლდეს შენნაირნი, კაცნი სხარტი ნების მქონე
რას მოგვიტანს განა დგომა?..დაგუბება კუშტად, მდოვრედ.
აიკიდეთ ხურჯუნი და... მოიარეთ დედამიწა,
ნახავთ: ღმერთი, წყრომას ყველას, განგიქარვებთ და დაგიცავთ.
ყველგან ნახეთ ღვთის ნახატი, შეიმეცნეთ ცა და მიწა,
მერე იმათ მოუყევით, აღარ ძალუძთ სრბოლა ვისაც.
ნახეთ ნახვას, რისაც ყველა, გულით არის მონატრული,
შეეცადეთ უგულველყოთ, ხალხთა შორის არსი მტრული
რადგან ხვდებით ჩვენც მიწა ვართ, ზედ მიწაზე მოარულნი
ღმერთმა მოგვცა ეს სამყარო ათასფერად მოქარგული.
... ჩვენში ჩადო ღმერთმა კოდი, ჩავეხუტოთ ჩვენ ჩვენს მიწებს
და შევიცნოთ ის ბოლომდე, სანამ ბედი დაგვამიწებს.

აგინთებ სინანულს

„განვედ წყლის პირსა“ სატირლად, გულს დარდი უხვად მხლებია,
რომ არ მინახავს სამშობლო, უკვე მრავალი წლებია
სული დამძიმდა დარდისგან, ცოდვით ამევსო მხრებია
ტვინს ზოგი სიტყვა ქართული, ანაზდად დავიწყებია.
ეჰ! რას მიმზადებ იღბალო, გინდა მიცვალო რჯულია?
პირდაპირ გეტყვი, ნუ წვალობ, ჩემი მოღუნვა რთულია,
პირველად აღარ მურტალობს, შენებრი ზრახვა მტრულია
მაინც ძგერს,სულით ქართველობს, მკერდში მღელვარე გულია.
მშობლიურ მიწას მომწყვიტე, გსურს არ მახსოვდეს მამული,
სხვა ენით მალაპარაკო, სულ დამავიწყო ქართული,
რჯულს უცხოს გამაზიარო, ქრისტეს არ ვიყო ნათლული
გამასწარ, ბრიყვო სატანავ!.. შენ გაქვს წამმზომი ჩართული.
არ გამოგივა არც ერთი, სუნთქვას ტყუილად ართულებ,
გადაბირების იმედით, ქვიშაზე იგებ სართულებს,
ბევრს მოგიყვები ანდაზას, შიგ ქართულ სიბრძნე ჩართულებს,
რომ მოვინდომო მტარვალო, პირიქით, გაგაქართულებ.
.... მთხლეს მოგაშორებ გულიდან, სულ გაფრქვევინებ სიყვარულს,
ამიერიდან იზრუნო, მოყვასს ჩუქნიდე სიხარულს,
მართლმადიდებლურ ტაძარში, ჩემთან დაიწყებ სიარულს
და დაგავიწყებ ვინც იყავ, სულში აგინთებ სინანულს!

ჩვენი შევირგოთ

დახატული გვაქვს ქვეყანა
უკეთესს ვინღა დახატავს,
ღმერთმა გვიბოძა, რაც ყანა
დანახვა უნდა ამ ზღაპარს,
მაგრამ ჩვენ გვძინავს რა ხანას
და ის ჩვენამდე სხვამ ნახა.
სხვა დაეუფლა ჩვენს ველებს,
სხვა იჭერს თევზებს ჩვენს წყლებში,
ჩვენ თვალებს ცრემლით ვისველებთ
ჯიხვი გამწარდა ზედ მთებში,
თვით რთველისაგან ვისვენებთ,
ბინდი ჩამდგარა ჩვენს ზვრებში.
სხვაგან დავწურეთ მაჭარი
სულ სხვა გემო აქვს ღვინოსა,
ჭვარი გვაშორეს ლაშარის
დაბლა გვაჭრიან რბილოსა,
ჩვენ სადა ვართ და სად არის
კვართი... ქრისტემ, რომ იმოსა,
ნუ მოდუნდებით ქართველნო,
დაგვრჩა აწი სულ პატარა,
უდაბნო, რომ არ ჩაგვევლო
მაშინ მოსემ არ გვატარა,
დაგიბრუნდებათ მთა-ველნო
მალე, დაფი და ნაღარა.
გავიდეთ , ზღვა მეწამული,
უკან დავტოვოთ მტრებია,
მივაპყრათ თვალნი ნამული
გულს, რასაც ჯავრი ხლებია,
ჩვენი შევირგოთ მამული,
რაც არ გვინახავს... წლებია!

ღვინოს სმა მსურს

გული მერჩის... სკდება გული,
საგულედგან ვარდება,
როცა ვხედავ სიყვარული
უფრო მეტად ყალბდება.
თვალი შენ, რომ შეგციცინებს
გული სხვაგან დარბის,
ფაქტი ხდება, რომ დაგცინეს
და ღვივდება დარდი.
ორმაგ თამაშს ვეღარ იტანს
ჩემი გულის თარგი,
თუმც მხატვარი რას დაიტანს
ტილო თუ არ ვარგის.
ჰოდა, ტილოვ, არგე მხატვარს
შენი ხატი ხატოს,
სანამ იგი მუზას ჩართავს,
და აჰყვება ტატნობს.
კარგისაგან არვინ გარბის,
თუ ის კარგი კარგობს,
გამიფანტე დროზე დარდი
ნუ აყოვნებ კარგო.
შეხმატკბილდი გულო, გულთან
საგულეში დარჩი,
ნუ აურევ სიყვარულთან,
მატყუარა აჩრდილს.
... მაშ ,მოირგე ერთი ლაღად
სხვა არ გააჭაჭანო,
გთხოვ დაღვინდე! უცდი რაღას,
ღვინოს სმა მსურს,მაჭარო!

ვიფრინოთ ერთად

შემიყვარო მინდა, რადგან
არ გიყვარხარ, ეს ვიცი
დამაკვირდი, კარგო! კარგად
ცოტას კიდევ დაგიცდი.
თუ არა და... ირგვლივ ბევრი
მერცხლებია ჭიკჭიკა,
მეც ვიპოვო შესაფერი
ჩავეღვენთო შიგ ჭიქად.
ჩავიწვები ვით სანთელი.
მოსალბუნე მკერდებში,
მას ავუნთო მეც ნათელი
ვინც აღმოჩნდეს ჩემს გვერდში.
სანამ ვფიქრობ, შენც დაფიქრდი,
შემიყვარო ეგება,
გულსაც ჩემსას დააკვირდი
ქვეშ ხალიჩად გეგება.
ცას ვარსკვლავი მოაწყვიტო,
ჩემისთანა არ არი
მე, ერთი ვარ ქვეყნად მარტო,
და არა მყავს სადარი.
მოიარო დედამიწა,
ვერ იპოვო მსგავსი შენ,
სანამ ბედმა დამამიწა
აბა, მოდი გამსინჯე.....
აღარ იცდის ხედავ, გვრიტო,
ქვეყნად დროის ტიკტიკი,
მაშ, ვიფრინოთ ერთად, ჩიტო,
გავაგრძელოთ ჭიკჭიკი!!

სიხარულის ზანზარი

ერისკაცს რაღა მოვკითხოთ, ბერს თუ გავპარსეთ წვერები
ცოდვით დატვირთულ კისერით, თავებს ვით დავიბერებდით,
„არ განიკითხოთ“! ღმერთმა თქვა, ჩვენ ვისთვის ვაცხვეთ კვერები
ამით არავის ვეხები, თუნდ მაინც ვცოდავთ ბევრი.
სულყველამ, ჩვენ, ჩვენს გულებში, ღრმად ჩავიხედოთ ეგება
გადაბრალების გარდა, თუ, სხვა რამე მოგვეხერხება,.
დროა დავიწყოთ ჩვენს ნიჭთან, ჩვენ კრიტიკული შეხება,
ვიყოთ მოწყალე ღმერთთან და სატანა ვერ შეგვეხება.
ყველამ თავის თავს მიხედოს: ერმა აქ, ბერმა საკანში,
ნუ ვეჯიბრებით ერთმანეთს, ფუყე სიტყვების ქაქანში.
რამე სიკეთე დავთესოთ, ჩვენთვის განკუთვნილ ბაქანში,
რომ სულმა აღარ დაგვიწყოს, მერე, ქვესკნელში განგაში.
ვიფიქროთ მუდამ იმაზე, ცუდი არა ვქნათ აროდეს,
ვარდი ვახაროთ ჩვენს გულში, ეკალი აღარ ხარობდეს,
ქალი ლაღობდეს ყვაოდეს, მას ვაჟი მუდამ ყვარობდეს,
სულში სიწმინდე ჭარბობდეს, ავსული ჩვენგან გარბოდეს.
ჰე! მაშინ გვეთქმის შვილნი ვართ, ჩვენ მოწყალისა ღმერთისა
ხამს! მან ჭიშკარი შეაღო, გული გაშალა ჩვენთვისა,
ხნულში გაღვივდა მარცვალი, სული სულს ღრმად შეეთვისა
და სიხარულის ზანზარი, ზეცის კიდურებს ერთვისა!

ეშმად ნუ გადაქცეულხარ

მე, ვინმე ლექსმწერ - მოხელე, ლტოლვილად სახელდებული,
რვეულის ფურცლის ამარა, ზედ კალმის წვერზე დებული,
ქართველობისა სანაცვლოდ, თვისი ეზოდან გდებული
თუმც არ მიქნია საძრახო, მაინც არვისგან ქებული.
ვარ ღვთისგან კუთვნილ მთა-ბარის, სიყვარულისგან სნეული,
ხელში კალამი მიპყრია, თავს ტვინი მუზადქცეული,
ასი ათასჯერ მიქია, გულს სიყვარული წვეული,
და სინანულით მითქვია: ღმერთიც ხომ არის ეული.
თუმცა ის თავად ღმერთია, ჩვენ ვერ ვივარგებთ ეულად
ერთობა ღმერთის წესია, ვიყოთ მის მიმართ რჩეულად,
გულში ჩავიკრათ მესია, მისგან არ დავრჩეთ წყეულად
ნურც ნურვინ გვხედავს გესლიანს... სიყვარულს გადაჩვეულად.
ვეღარ ვხსნი გულის ნაზრახსა, გულს ლახვარ-ხიჭვად შობილი,
ვეღარ ვახარებ ვენახსა, ზე უცხო კვირტად ყნობილით,
ვატყობ ძემ ღვთისამ ვერ ნახა... ვისაც ვარ მე მინდობილი,
რომ სიგლახაკით მე გლახა, მით გავხდი ყველგან ცნობილი.
ბევრი დრო არ მაქვს სათქმელი, მოკლედ თქმა მიტომ მიცდია,
თავს არ მოგაწყენთ, ნათელი, მზე სხივად ბაღში გიცდიან.
ვარ ვინმე მოყმე ქართველი, შუბლზე მირონი მიცხია,
მტრისგან ნათანგი ვარ ველი... მაინც არ გავხდი ფიცხია.
მშვიდად იყავი ქართველო, თუმც ლტოლვილ-გლახად ქცეულ ხარ,
შენ ღვთის შვილი ხარ მაინც და ეშმად ნუ გადაქცეულხარ!

მივენდოთ დიდსა უფალსა

არ მინდა ვიყო ცხოველი და გამითენდეს ის ხვალე,
ულმობელობის მშობელი თუ გავიხადე სიმხდალე
კაცი რა კაცად მზრახი ხარ, თუ შიშსა შიგან იწვალე,
მკვდარსა რითა ჯობს ჯაბანი, როს მას არავინ ისაწყლებს.
კაცად იმიტომ გავჩნდით, რომ ჩვენ ჩვენი ვზიდოთ ჯაპანი,
შიშს თავი არ დავამონოთ, არასდროს გავხდეთ ჯაბანი,
მწამს მავნებლობამ სიმხდალის, ვერასდროს პოვოს განმბანი
შიშში იმალვის ღალატის და ქვე მუხთლობის ანბანი.
თვით ბოროტება იშვება, მშიშარა კაცის გულიდან
მას ვით ეზრახა სიკეთე, თავში თუ ავზნე უვლიდა,
წყაროა სიმახინჯისა, შიში შორსა დგას სრულიდან
ის მომენტია სიმხდალე, კაცს ჩირქი, რომ სდის სულიდან.
ხსნა კი არსებობს ყველაფრის, ხან მთლად სულელიც არ შიშობს,
შიში ადვილად გაქრება, კაცი გონით თუ ვარჯიშობს,
ზეცნობა უფალს მიანდოს, ქვეცნობიერი გათიშოს
რწმენით როს ანდობ გულს ღმერთსა, სული მედგრობას მაშინ შობს.
ურწმუნო კაცის გულია, შიშის და ზიზღის სადგური
თუ კაცსა ღმერთის არა სწამს, ვისზე აქვს მაშინ სამდური,
კაცი მოსული ამ სოფლად, ხან სტუმარია, ხან მდგმური
თვალი მივაპყრათ ზეცასა, ნუ ვართ საფლავად ჩარგული.
... " შიში ვერ ისხნის სიკვდილსა", გვიბრძანა ბრძენთა ბრძენმაო,
მივენდოთ დიდსა უფალსა, თუ გვსურს სულისა ლხენაო.

გაგვიხსენი კარი

ლორთქო ბალახს დასდებია, ბინდისფერი ნამი
სამომავლო დრომ აძერწა, ცრუბედობის წამი,
სიმართლის თქმა კვლავ გაჭირდა, აღარ ისმის ჩქამიც
ყველა კაცის სიცრუა, ავტორი ამ დრამის,
როს გლეხკაცის გული ნატრობს, კალოსა და ხვავსა
რადგან იგი გაულეწავს პირ-გულშავა ყვავსა
დროზე, რომ არ მოგვიკრიფავს, მანანაც კი ყარსა,
გული ჩვენი ხელთ უპყრია, ბელზებულსა ავსა.
ქრისტე ცდილობს, რომ გვასწავლოს, დათმინება ჭირის,
ხელში შხამის სავსე თასით, გუთნისდედა ტირის,
კაცისთვის კი, დღეს ბედს სხვისას, ფასი ადევს ჩირის
თავი თავად გავიფორმეთ, ჩვენ, მონებად გზირის.
ეგებ გვითხრა, ძეო ღვთისავ! გვეშველება როდის,
თუ ეს ჯერე ჟურნალია, კინო აწი მოდის,
ნუთუ, აღარ გვეცნობება, ციფრთაწყობა კოდის,
დაიხუროს, რათა კარი, შფოთვისა და ბოდვის.
ახლოვდება ბოლო ჟამი, ჩვენ კი გვძინავს ისევ,
არ ცხარდება ეშმა წამით, წარსაწყმედად გვიტევს.
უკვე თუთქავს ყელს ნაღველი, გული ვეღარ იტევს,
ღმერთო! როდის მოგვაწოდებ, სიმართლის გზის კლიტეს.
.ქრისტევ, ვდგავართ შენს ჯიშკართან, გაგვიხსენი კარი
გაგვატარე ჩვენც იმ გეზით, შენ რომ ზიდე ჯვარი!

ქ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა

საკუთარ თავის მტერობა
არ არის, თუ მკრეხელობა
მაშინ მსოფლიოს ერობას
მირჩევნის, მე, ქართველობა,
მაიმუნივით სხვა ერსა
მიბაძო, თუ არს შტერობა
ეს ჩვევა, თუ აქვს ქართველსა
მაეჭვებს ეს ქართველობა.
ენა ჩვენი გვაქვს ძვირფასი
სამგვარი, ზედ, დამწერლობა
და არ დავადოთ მას ფასი
სად არის აქ ქართველობა.
იყო ქ ა რ თ ვ ე ლ ი მცნებაა
მრწამსია და ღვთის ხელობა
ღვთის დედა, ჩვენი დედაა
თუ არ გწამს! გაქვს ქართველობა?
ქართველი დარჩე ქართველად,
თუ არ გაქვს ამის მცდელობა,
სხვისთვის დაიწვი სულ მთელად
სად არგე აქ ქართველობას,
ქართველი, თუ ხარ, დიდი ხარ,
არ უნდა ამას მსჯელობა,
შენ მაინც სხვასთან მიდიხარ
და იტყვი, გაქვს ქართველობა.
საკუთარ თავის მტერობა
თუ არ ითვლება შტერობად
მაშინ მსოფლიოს ერობას
მირჩევნის... მე, ქართველობა!

ღვთის თაყვანმცემლად

ეჰ, ხერხემალო, გაუძელ წონას
რაც შენ დაგაწვა ჩემი უღლისგან,
ოღონდ წელმოხრილს ნუ გამხდი მონას
ბორბლად მაქციე, თუგინდ, ურმისად.
რამდენს გაუძელ ცოდვების ხროვას
რითაც დაგტვირთე, მე უთავ-ბოლომ
მაინც განვაგრძობთ უფლისკენ გორვას
რომ დავიცალოთ, იქვე, გზის ბოლოს.
გთხოვ, აპატიო ფუყე თავს ჩემსას
ზედმეტი ტვირთით, ასე წვალება,
მწამს მოესწრები, მალე, იმ დღესაც
წელში გაგმართავს, წამსვე, სამება.
შენც, რომ ჩამოგცლის, გქონდეს იმედი
სამყაროს ცოდვის თავზე მტვირთველი
როდის?! ვერ გეტყვი, ჩვენ ხომ იმ ბედით
სულაც არ მოგვყვა, ყოფის მრიცხველი.
თვით დაიტოვა, განგებამ ნება.
როდის დაგვტვირთოს, როდის დაგვცალოს,
ოღონდ არ გავყვეთ სატანის ცნებას,
ღვთის ნებაც, რომ არ გამოგვაცალოთ ხერხემალი:
.... ღვთის თაყვანმცემლად თავი დახარო
მაშინ ვიხრები, მსურს ეს გახარო!

სიცოცხლით ამოყორება

ეჰ, როდის აქცევ ადვილად
სიკვდილო, ამ რთულ სიცოცხლეს,
თეთრი შურით მშურს ნამდვილად
ვინც საუკუნე იცოცხლებს.
ზიდეს ეს მძიმე ჯაპანი
ქარიან - ხმაურიანი,
არც ხელყვეს სულის საკანი,
არც მიაყენეს ზიანი.
კიბე იპოვეს ზეცისკენ
სვენებ - სვენებით მავალი,
ქრისტე წარუძღვა მათ მისკენ
და გზა უჩვენა მართალი.
რომ საუკუნე უყურო
უკუღმა ბედის ტრიალსა,
მრავლის ცხოვრებას უპუროდ
და მათი ყოფის ღრიალსა,
იყო სიმშვიდის პატრონი,
მხოლოდ წმიდათა ხვედრია,
ვინც არის მათი ბატონი,
ადვილი მისახვედრია.
იყავით ჩვენი მეოხნი
დროით გაწვრთნილო სულებო,
ეგებ გვიშველოთ იქ ოხვრით
ზეცაში გადასულებო,
ევედრეთ ღმერთსა, ცხოვრება
ჩვენი, მანანით აპკუროს,
სიცოცხლით ამოყორება
სანამ სიკვდილმა განკურნოს!

სიზმარი ცხადში

შენკენ მიმავალ ბილიკს შევცქერი
სოხუმო! რაც დღეს სიზმრად ქცეულა,
ჩამოქცეულა მასზე მეწყერი
და გაუვალად გადაქცეულა.
შეუპოვარი ჟინის პატრონი
გავხდი, სიზმრად და კლდე გავარღვიე
სულ დავარღვიე ქვების კორდონი
წყალს, რომ ტბორავდა, კამკამას, მღვრიედ.
წვალებით, მაგრამ, მივხოხდი მაინც
მე შენს ჭიშკრამდე, სახლო ნატრულო,
შენი თაღები დაუფლავს დაისს
თითქოს გამირბი, აღარ მკადრულობ.
მემდური? მაშინ დაგტოვე, რადგან
არ დავიმარხე შენს საძირკველთან
ტყვია არ ეყო, ალბათ იქ მოსულ, მათგანს,
რომ გავეჭერით შუა, თირკმლებთან.
კი არ დაგტოვე, მე გამათრიეს,
და მომისროლეს გადაკარგულში,
ფრთა ვერ მომგლიჯეს, მაგ შენს ნაშიერს
შენთან ვბრუნდები, ჩაგიკრა გულში.
ვერ გავარკვიე... სიზმარი ცხადში
ერთმანეთს გვანან, ვით ორი წვეთი,
ის კი ცხადია, რომ არ ვარ სახლში
ნეტავი ვიყო, ასეთი ერთი.
... ბევრი ხარჯულა სახლში გრანტები,
ჩვენ მაინც ვრჩებით, ემიგრანტები!

შემოიჭერი კვლავ ჩვენთან

შემოიჭერი მზის სხივად, ზენას მაღალო გონებავ
ამ ბედკრულ გალაქტიკაში, გაათანაბრე ქონება,
სადაც ზოგსა სურთ ხარობდნენ და სხვები იყვნენ მონებად
სად ზედა ფენას არ ესმის, ქვედა ფენების გოდება.
სანამ მივლიან შენამდე, აქვე მოუწყვე სწავლება
მწვალებლებს შეაწყვეტინე, აქ უბრალოთა წვალება
ზე ვარსკვლავებთან დათრგუნე, პარალელების გავლება,
ამ მიწის პეპლებს რათა სურთ ზეცაში ბოლთას დავლება.
შეაგნებინე წევრობა, შენთან, მდაბალთა ხვედრია
კაცს ნუ უნელებ კაცობას, თავშალს ნუ კარგავს მდედრია,
ცხვირაწეულებს სადაც ყრი, ადვილი მისახვედრია.
გზას ვინ უკვლევდა მერანსა, უთავოს, არა მხედრიანს.
გული გულს შეუსაბამე, მიეც სიყვარულს ზეობა.
ქართველურ ჯიშში ახარე, ქორწინება და ძეობა
ლაზარეს ენით ასწავლე, ენა დამწვართაც მეობა
შეაგნებინე ნაყროვანთ, სად მიჰყავს კაცი ღრეობას.
სხვა რაღა უნდა ვინატროთ, გვაყნოსე, რაც სურნელია,
შენ უფრო იცი უფალო, რა დროს რა სასურველია,
ხედავ კაცისა გონება, უხნავ-უთესი ველია
მიტომაც დიდო მეუფევ, შენს კვლავ ჩამოსვლას ელიან.
... შემოიჭერი კვლავ ჩვენთან, მზის სხივო, ზენავ სვიანო
და დაპურება მანანით, ძალზედ არ დაგვიგვიანო!

ხვედრი თვისი

პირისპირ უთხარ სათქმელი
ზურგსუკან ნუ განიკითხავ
ჯობს მტერს უგმირო მახვილით
მე, ამას გეტყვი, თუ მკითხავ.
არც განვიკითხოთ, არც მოვკლათ
ვეცადოთ ჭკუა ვასწავლოთ
მან თუ სიცოცხლე იმოკლა
ყოფნის, რაც ბედმა აწვალოს.
ყველას მიუზღავს უფალი
არ გამორჩება არც ერთი
მან თუ წაგვკიდა გულს ალი
პასუხს მას მოსთხოვს, თვით ღმერთი.
როდისო? მკითხავთ, მას ველი
„როდის შეწყდება გინება
გვაწამეს, რომ ვართ ქართველი
არა გვაქვს აწ მოთმინება“.
„ვინც ბოლომდე დაითმინოს
იპოვოსო სული თვისი“
ვინმემ ჩემად არ იფიქროს
ნათქვამია ეგი ღვთისი.
მწამს აჯობებს, დავიჯეროთ
დავითმინოთ, ჩვენც, ბოლომდე,
ბრაზი? მადლით გავიჯეროთ
ხამს დაუდგეს მტერს ბოლო დღე.
... ყველამ ნახოს, ვინ არს ვისი
და მიიღოს ხვედრი თვისი!

ედემის ბაღი

უძილო ღამევ, გამინათე ისევ გონება
საკმარისია, რომ ჩამოწვა ირგვლივ წყვდიადი.
სული ვადიდოთ, განვამტკიცოთ მისი ქონება,
და ცას ვაწვდინოთ, შემართება ჩვენი ხმიადი.
მადლობა ღმერთო, მომაშორე, რადგან ხმაური,
ჩუმ სიწყნარეში დამადგინე, მართალ რუპორად
მინდა გადმოგცეთ, ჩემი სულის აურზაური
გამოვიღვიძოთ, ვისაც გვძინავს ახლა აქ მდოვრად.
რა დროს ძილია, ვინ იფიქრა დახუჭვა თვალის
ის თუ ვიფიქრეთ, დაიძინა თუ არა მტერმა
აღშფოთებისგან გული გასკდეს, ბერისა, ლამის
ქილიკმა მტრისამ, სამუდამოდ, ხომ გამაშტერა.
რატომ არ ისმის! წინამძღოლო, რატომ არ ისმის
„ერო წამოდექ!“ რომ ისმოდა ადრე ბრძანება,
რად დავიჯერეთ, წილხვედრია ჩვენი დაისი
ამ მთქნარებაში, ერი საით მიექანება.
ჩამოაღვენთე ღმერთო! შუქი, გახსენ ცის კარი,
გამოაღვიძე, ძილში მყოფი ხალხთა მრავლობა.
ედემის ბაღის, სამუდამოდ, გახსენ ჭიშკარი
რათა შევიდეს იქ მართალთა შთამომავლობა.
... ყველა აცხოვნე, ვინც კი ნახო აქ, მონანული
და კვლავ აქციე, ედემ ბაღად ჩვენი მამული!

დ ა მ ი ჯ ე რ ე

დამიჯერე, ერთხელ მაინც, დამიჯერე
ვიცი, მუდამ თეთრი იყო, ციდან თოვლი
ქაჯობ ჯერე, ვერ მორჯულდი, ქაჯობ ჯერე
მე შენი ვარ, ფანატი ხარ შენ კი, რომლის
დამიჯერე, საუკუნის ყველა დროში
შავი იყო ყორანივით, ხის ნახშირი,
არ მიჯერებ? - ფასი არის შენი გროში
და გულს ის წვავს, შენისთანა არის ხშირი.
თუ ამხელა კონტრასტს, შორის, თეთრს და შავსა
ვეღარ ამჩნევს, დაბურული, შენი თვალი
ვერ იჯერებ, უტყუარსა, ღვთისგან შანსსა
შენი კრახი! ვისი იყოს, კარგო! ბრალი
დამიჯერე! ერთხელ მაინც დამიჯერე,
თუ არ გინდა თეთრი, კუშტად, გააშავო,
რომ დაფიქრდე... დამიჯერე, დროა ჯერე
ღვთის წინაშე, მეტი აღარ დააშავო!

ემიგრანტის ამოძახილი

იმას ვწერ ხოლმე, რასაც ვგრძნობ
რითაც ვარ გულგათანგული
მამულს, ფიქრშიაც ვეღარ ვთმობ,
მისი სიშორით ჩაგრული.
კალამს თვით სისხლში ჩავაწობ,
ლექსად, ცრემლებად ნამულით!.

ედემს შიდა

არ არსებობს, უფრო დიდი, სიმდიდრე
სულით მდიდარ კაცის გულს, რაც თან ახლავს
რაც აშენებს სიყვარულის იმ ხიდებს,
სიძულვილის კარიბჭეს, რომ დაზაფრავს.
არ არსებობს, უფრო დიდი სიმშვიდე
რაც ერთობის შეგრძნებას თან მოჰყვება
ანდა ნერვებს, რაღა უნდა გიშლიდეს
როცა გვერდით, სანდო კაცი მოგყვება.
რა ჯობია, სისუფთავეს შინაგანს
როცა კაცი, ცამდე არის მართალი
როცა რწმენა, გულის კედლის შიგან გაქვს,
თაფლის სანთლის ღეროსავით ნათალი.
რა ჯობია, როცა არ გკლავს ეჭვები,
ზუსტად იცი, ღვთის წინაშე, ცხონდები,
მაგას რა ჯობს, როცა ძირს არ ეშვები,
შენს იდეალს, არასოდეს შორდები,
როცა იცი, რომ ღვთის დედას უყვარხარ
და გმეოხობს, უმაღლესის წინაშე
თუ წარდგომად, მათ წინაშე, მზადა ხარ
მასზე სრული, აბა რაღა გინდა შენ,
სრულყოფილო კაცო! გულით იხარე
და იმრავლე, კაცთა მოდგმის, იმედად
ღატაკადაც, რადგან მე შემიყვარე
ღვთისმშობელი დაგიხვდება, შენ, დედად.
..... სიყვარულით თუ გაქვს გული ნამული,
ედემ შიდა, ღმერთმა მოგცეს მამული!

ა რ ტ ი რ ი ს

ადამის მოდგმის ნაწილო,
დღემდე მოსულო თაობავ
ვისთან დაიდე საწილო
რად აჩიავებ რაობას.
ათასი რელიგია გაქვთ
ზოგს ხატი სულ არ გქონიათ
ფეტვივით გაბნეული ხართ
ყველა გზა სწორი გგონიათ.
მართლმადიდებელს არ ვერჩი
თუმცა, დღეს, ისიც კი სცოდავს
და ვერ გავუგე მე, ვერც კი
სხვა გზით მავალი, სად ტოკავს.
ოლიგარქების არ მესმის
„ინდოეთის“ და „ჩინეთის“
ვის რა შესწირეს ასეთი
ბევრს, რომ უჩვენებს თავს ღმერთი.
ღმერთმა ქნას, რომ ყველა ხაზი
მისკენ გახადოს მავალი
და გააქარწყლოს მან ბრაზი
გზასაცდენილის, მრავალის,
სწორი გზით გავლას რაღა ჯობს
მოკლეა და პირდაპირი
მართალ დიდებას დარაჯობს
ხმა ბუკისა და ხმა სტვირის.
... და დღეს ვინც კვლავაც არ ქაჯობს
ის გზას აგნებს და არ ტირის!

ავაგუგუნოთ „ჩაკრულო“

ღმერთმა, ჩვენ სულში ძე-ქართველთ,
ნიჭი ულევი ჩაგვღვარა
საქმე მასშია: თუ ჩავრთეთ
ჩვენი დაფი და ნაღარა,
გამოვიყენეთ თუ არა,
რაც ზენამ მოგვცა ტალანტი,
ჩვენი ნავაჭრი თუ კმარა
მშვიდობის ვიყოთ გარანტი.
თუ, ვჭამოთ უნდა ერთურთი
სანამ დაგვძვრება კბილები,
მერე ვიძახოთ: „შევწუხდით
რად არ ვართ ღვთისა შვილები.“
ღმერთის შვილობა ჩავდევით
ჩვენ, უარყოფის კოლოფში,
ყელი საგრეხად გავდევით,
ბოლო კი გვიკვირს ბოლოში,
მოდით და ერთხელ მოვკრიფოთ
რაც კი გავეცით ნისიად,
ჩვენ, ჩვენი შემოვიკრიბოთ
აროს გვინდოდეს სხვისია.
ღმერთმა, რაც ჩვენთვის მოგვმადლა
დღეს, სხვისთვის რად დაგვითმია,
ცოდვებს რად ვნათლავთ, ჩვენ, მადლად
სხვისია ეს არითმია.
... ჯობს მგონი, ჩავდგეთ ერთ გუნდში
ქართველნო, პირებაკრულნო,
ავაგუგუნოთ ჩვენს გულში
კვლავ, ძველებურად, „ჩაკრულო“!

გმირთა მსგავსნი

ჩვენს მიწაზე, ზედ ზვარაკად
შეგიწირავთ, ვისაც თავი
ხამს, სიტყვა ვთქვა მე არაკად
იმ გმირობის მოსართავი.
ბგერა თქვენი შესაფერი
გულს სიღრმეში მოვალხინო
ცისარტყელას ყველა ფერად
თქვენ არშიად მოგაფინოთ.
წინაპართ სისხლს, ქართულ მიწას
შეაწივნეთ სისხლი თქვენი,
იქ თქვენს სულებს, ღმერთი იცავს
აქ გაღმერთებთ, ლოცვით ჩვენით.
უკვდავყავით თქვენ სიცოცხლე
სიცოცხლისა თქვენის ფასად,
გვწამს ამ ქვეყნად ის იცოცხლებს
თავი თქვენ აქ, ვინც გამსგავსათ.
უკვდავქმნილნო! თქვენის ნებით
გაასკეცდნენ კვლავ ათასნი,
გაგვიმრავლდნენ ერში ლხენით
თქვენისთანა გმირთა მსგავსნი!

ბრწყინვალე და მშვენიერი

შენგან ველით ისევ შველას
მხედარ - სულო! თეთრი რაშის
„კუმირი“ ხარ შენ ყველასი
მოხუცის და აკვნის ბავშვის
არ არსებობს გორა ჩვენში
შენი ხატი ზედ არ ადგეს
ვართ ლოდინში, გვწამს იმ დღეში
წინსვლისათვის მარჯვე დადგეს.
რომ წარუძღვე კვლავ ჩვენს ლაშქარს
იმედად და თვალისჩინად
გველეშაპის დასალაშქრად
დრო დაუდგეს ქართველს ლხინად,
წინ თეთრონი წმიდა გმირსა
შენ პირველსა მიგეგელვოს,
ვისაც სწამდე შენ, იმ პირსა
გამარჯვების გზებით ევლოს
გეორგიანთ, თუ მოგმართავთ
გულით გვჯერა, კვლავ დაგვლოცავთ
ხელს შეუწყობ, მუდამ, ქართველთ
რწმენის კიბით, ღმერთთან მცოცავთ,
გვიყვარდი და გვეყვარები,
თავად იცი მუდამ გვწამდი,
ვინც შენს ფრთის ქვეშ ვიარებით
მოგვაშორე, წმიდავ, დარდი.
დაილოცოს შენი მადლით
ღვთის მოშიში ჩვენი ერი,
დაგვდგომოდეს გიორგობა
ბრწყინვალე და მშვენიერი!

გავჭრათ სადაც მიგვანიშნა

ნელთბილობა კაცისათვის, არის მეტად მავნებელი
მხოლოდ მტრისთვის მოაქვს მაგას, მუდამ სარჩო - სარგებელი,
თავის თავის უნდა იყოს, კაცი თავად გამგებელი
არამკითხე მოამბისთვის, არა კარის გამღებელი.
შავს უწოდოს შავი კაცმა, თეთრი თეთრად შეაფასოს,
გაარჩიოს ღვინო ძმრისგან, ერთმანეთს არ შეათავსოს,
რა გამოვა, თუ იმ კაცმა, ვაცი თხასა დაამსგავსოს,
იგივეა: ერთმა ასჯერ, იათოს და იათასოს.
ნახშირისგან ნაცარს კაცი, თუ ვერ არჩევს წესიერად
ვერ გადიქცევს ის თავის თავს, ვერასოდეს, ბედნიერად
და გაჰყვება სატანის გზას, არა თავის ნებიერად.
თუმც მაშინაც თავს ჩაითვლის, ანგელოზად - ზეციერად,
ვერც კი ხვდება სად მოხვდება, სად უცდის მას საწიერი,
ჯოჯოხეთის კარი თვისთვის, თვით გახადა განიერი.
ვერ იყვარა, რადგან ღმერთი, მოწყალე და სახიერი
კაცის სახე ვერ იგუა, სატანის აქვს მას იერი.
ვუთანაგრნობ რა თქმა უნდა... და ღმერთს შევთხოვ: შეიწყალოს,
რა ქნას მრუდე გზას შემდგარმა, თან სულ ბედი, თუ არ წყალობს,
ეშმას ხლართში გახლართულა, ვერ გამოდის, ძაან წვალობს,
მას მოუვა უფრო ძვირი, ვინც სხვის ძვირზე ვეღარ სწავლობს.
... გავჭრათ სადაც, ღმერთმა თავად, მიგვანიშნა გასაჭრელი,
რომ სატანის აღარ მოგვხვდეს, ჩვენ კისერზე, დანა მჭრელი!

არ გაწყრება

თვალი მომჭრა ამ სიჭრელემ,
დავიბენი დინჯი ბრინჯად,
ჭრელი აქვსო კანი გველებს
ჭირს შერაცხო ბიჭი ბიჭად,
აგვერია პოლუსები
გოგო ბიჭობს, ბიჭი გიჟობს,
ვამუღამე ბონუსები
ვეღარ მივხვდი: ვის რა გვიჭობს,
სადაური მორალია
რომ ვიტვირთეთ ტვირთად ზურგზე
გულს, რომ მთუთქვს ის ალია
შხამს მიწვეთავს ვიღაც პურზე,
ჩვენი რჯულის ტრადიცია
მოზიდული წინაპართა,
დასაცინად ვინ გვიქცია
მასზე ხელი ვინ აღმართა,
უცხოური ჯობდეს თითქოს
ეს არ არის, სულაც, სწორი
ვინაც თვისი განაქიქოს
ღვთისგანაა იგი შორით,
ის, რაც ღმერთმა დაგვანათლა
გვიქართულა სული სულად
იმან თუ არ გაგვინათა
წასულია საქმე სრულად,
..... გვეყოს ის, რაც ვიგიჟმაჟეთ
გავიხსენოთ, ჩვენ, წარსული,
განთიადიც ირიჟრაჟებს
არ გაწყრება წმინდა სული!

ჩამდგარ ქანებს

კაცმა, კაცს არ აწყენინოს აღარ ითხოვს დიდ პრაქტიკას
ცოტა უნდა მონდომება, ცოტა კიდევ თვით ტაქტიკა,
ძაღლი არ ჭამს ძაღლის ხორცს და... კაცი, კაცს კლავს, თან სასტიკად,
მოიკოჭლებს, რადგან ჩვენში, სწავლებისა დიდაქტიკა,
სიყვარული მოყვასისა, ჩაენერგოს ბავშვს ბაღიდან
გამოჰყვება დაკვირვება, იბადება, კაცს იმ დღიდან
რასაც ხედავს ის მის ირგვლივ, იმეორებს თავის მხრიდან.
რაღას იზამს,თუ ხედავდა, კაცი, კაცს თავს როგორ ჭრიდა,
რომ ღალატობს დედა, მამას... ბავშვმა ნახა, თუ აკვნიდან,
ან თუ ხედავს ბავშვი ქურდი... როგორ ძვრება მის სარკმლიდან
ვეღარ ხედავს დედის თვალებს, სიგარეტის მყრალ კვამლიდან
ალბათ მიხვდით, მაგის ავბედს, ავბოროტი სიდან თლიდა,
დაბადების რვა კვირიდან, რომ წაეცხოს ბავშვს მირონი
აღარ არის მშობლებისთვის, მგონი საქმე საგმირონნი,
საქმე იქმნას უნდა ყრმასთან, საამო და საკვირვონი
თუ კი გვინდა გული ექმნას, სუფთა როგორც საპფირონი,
დღეს თუ აღარ შევუდექით, გვიანია უკვე ხვალე,
ჩვილს, როგორც კი დაიბადა, ვუწმინდავდეთ უნდა თვალებს,
ის ხედავდეს უნდა უცბად... საკმეველს და სანთლის ალებს
უსპეტაკესს მზერას დედის, მისი გულის მოთვალთვალეს.
ჰე! მაშინ ჩვენ მას მივიღებთ, რასაც ბრძენი ბრძნულად ბრძანებს
ვეღარ გაჭრის დანა იოლად, ჩაკირულ და ჩამდგარ ქანებს!

დაუბრუნდეს სიდიდეს

ყველა განსაცდელს გავუძლებ შენთან
მწამს და ვენდობი მე ამ შეგრძნობას
არ მოაკარო, ოღონდ, შენ ჩემთან
რასაც ვეძახით, ჩვენ, უღმერთობას.
შენით იწყება ჩემში დილა და
შენით იქცევა დღე მიწურულად,
მაქციე ღმერთო! მე, შენს შვილად და
ჩემში ჩასახლდი, უნაზეს სულად.
გონის თამასა ამაწევინე,
მუზას შეახე ყველა უჯრედი,
ისეთი წიგნი დამაწერინე
ყველამ დაუთმოს თვისი უჯრები,
შიგ ჩამილაგე აზრი ისეთი
ვინც წაიკითხოს, გზა ეხსნებოდეს
რომ სიყვარულში ეძებონ ღმერთი,
ქვეყნად ღალატი აღარ ხდებოდეს,
შენთვის არ არის შეუძლებელი
სიკეთის სხივად მუზა მაფრქვიო,
მსურს მუდამ იყო ჩემი მხლებელი
რომ ეშმას სისხლი, ქვესკნელს ვანთხიოთ,
დავასადგუროთ ხალხში სიმშვიდე,
ოფლი ფასობდეს, კაცის, მშრომელის
და დაუბრუნდეს თავის სიდიდეს
წილხვედრი, მიწა, შენი მშობელის!

სანამ არ არის გვიანი

ზეცის და მიწის გამყოფთა, გვეწოდა ადამიანი
კიბედ გვქმნეს, ზეცად ამსვლელად, ვითარ არწივნი ფრთიანნი,
თუმც ზოგი მაინც ვერ ადის, საქმე ვეღარ ქმნა ფხიანი
ალბათ ვერ ნახა გამძღოლი, მან, მოსესავით სვიანი.
მოძღვარი ერთხელ გვებოძა, ძე ღვთისა, ქრისტე - ნათელად
მას მოვექეცით, ჩვენ, როგორ?.. ახლა აღარ ღირს გამხელად,
ჯერაც ბევრმა ვერ შევიგნეთ, რომ დავაშავეთ რამხელა
ქრისტე ჯვარს ვაცვით მხეცურად და კაცნი გვქვია სახელად.
ერთხელაც კარგად დავფიქრდეთ, ოი, რა მადლი იქნება
ახლა „მოძღვარნი“ ბევრი გვყავს, გეზი საითქენ იქმნება
ზოგს სად მივყავართ, ზოგსაც სად?
სულ დაგვაშორეს ღვთის ნებას
სრული შეიქმნა ქაოსი, ვიწყეთ ერთურთის გინება,
ჟლეტა და ხოცვა ერთურთის, გაგვიხდა, როგორც წესია
მომკა მოგვინდა იმისა, რაც ჩვენ არ დაგვითესია,
გავთელეთ ზენას კანონი, რომ დაგვიწესა მესიამ
და მერე გვიკვირს ყოველთა, მტერი რად შემოგვესია.
ჩვენ, ჩვენი ვწერეთ კანონი, ყველა მთავრობამ მისია
მევახშეს, ბანკირს ვუწოდებთ, ფულს უპროცენტოს, ნისიას
ღვთისმშობელისა წილხვედრი, ჩვენი რაც იყო, სხვისია
რას გვეტყვის კაცი - „მოძღვარი“? ან ის დამმოძღვრი ვისია.
... თავი შეიცან შე კაცო!.. კაცი ხარ! ადამიანი!
ქრისტეს ნაბიჯებს გაჰყევი, სანამ არ არის გვიანი!

რომ აღარ წავხდეთ

ზეციურ საქართველოში, წმიდა სულების არმიავ
ხომ არ მეტყოდით: სამშობლო, ასე ვინ არივ-დარია?
ისე დაგვფანტეს, არც ვიცით, ვინ ცოცხალია - მკვდარია
თავი, რომ ბრძენი ჰგონია, ყველაზე უფრო მცდარია.
მე რას გიყვებით, აქ თითქოს, თქვენ ვერ ხედავდეთ ზემოდან,
იქედან კარგად ხომ ჩანდა, ვინ გვილაგებდა ჩემოდანს,
რომ დავეჩაგრეთ, უკეთურთ, ჯართა სიმრავლე შველოდათ,
თუმცა ის აღარ იცოდნენ, იქ ზემოთ, რაღა ელოდათ.
მილიონ წმინდანთ, იქ ჩვენსას, ვინღა აჯობებს რიცხვითა
თქვენ ლოცვას, როცა დაიწყებთ, მთაც ვერ დაფარავს სირცხვილთა,
რადგან გადადგეს ის უნდა!.. სანამ ჩამოშლით რისხვითა
ჩვენ მაინც გვჯერა, იქ მტრებსაც, დაღუპვისაგან იხსნითა.
კეთილი ნების პატრონებს, არ ძალგიძთ, თქვენ, სხვანაირი
და ნერვებს ვეღარ მოგიშლით, არანაირი შაირი.
იქ ცუდად მაინც არ გესმით, ამ მიწიერი დაირის
ხოდა, გვიბრძანებთ ზემოდან: ნუ დაღონდებით, გაივლის.
ვიცით, გაივლის... მიგიხვდით, ალბათ გვამზადებთ თქვენთვისა,
იქ თქვენ ჩაგვიკრავთ გულებში, ფერისცვლა აქ თუ გვეღირსა,
აქ თუ სიყვარულს არ დავთმობთ, იქ ჩავითვლებით, ჩვენ ღირსად
და თუ ეშმას არ ვემონეთ, შვილად მიგვიღებთ, იქ, ძისად.
... გამიგიტყდებით: ვერ შევძლებთ აქ, რასაც ვამბობ, უთქვენოთ,
ამიტომ შეგთხოვთ ილოცოთ, რომ აღარ წავხდეთ, აქ, ქვემოთ!

ჩემთან დაგიცდით

მიყვარხარ მაინც, თუმცა არ ვიცი
შენ, სიყვარულის თუ იცი რამე,
იმ შენს ზმანებას, ჩემად განვიცდი
და დღე გამხდარა, ჩემთვის ეს ღამეც.
მიყვარხარ მაინც, თუმცა არც იცი
ჩემი არსებობს სადღაც მოდელი
ჩემს მღელვარებას შენ, ვერც განიცდი,
მე შენს ხატებას ყოველთვის ველი.
მიყვარხარ მაინც, თუმც შორს ხარ კარგად
და ვერ მოგაწვდენ აქედან ძახილს,
შენთან ვაგზავნი, ჩემს ფიქრებს მარადს,
პასუხად ვიღებ დარდების მახვილს.
მე უპასუხო სიყვარულს ვენდე,
ვიცი დავრჩები ცალად მარადის,
ისევ მიყვარხარ, მიყვარხარ დღემდე
და მეყვარები კუბოს კარამდის.
მწვავს სიყვარული, მე უპასუხო
ასეა ალბათ, ჩემიც წვავს სხვასა,
- მითხარი ღმერთო! რაღას მპასუხობ
როგორ ვუშველოთ დამწვრებმა თავსა?
- ღმერთი
... დამშვიდდით, თვალებს აღირსეთ რული
ჩემთან დაგიცდით, თქვენ, სიყვარული!

შენი ვართ

ბევრი მათოვა, ზედ, წლებმა,
წამით გამეხსნა სმენა მე,
რომ განმეორდეს ეს შვება
ღმერთო! მომმადლე რწმენა მე.
რა ნეტარება ყოფილა
გესმოდეს, როგორც წესია
შენ ითვისებდე მას ფრთხილად,
რასაც ჩაგძახებს მესია.
რაც იმ წამს მე შთამაგონე
ვეჭვობ ვით მეყოს წლებია,
რომ გავაგონო გამგონეს
შენგან მუზად, რაც მხლებია.
ღმერთო! კვლავ იყავ ჩემს ერში
თქმის და მოსმენის გარანტი,
შენგან მომართულ ეთერში,
მოგვეც ჩვენ შესვლის ტალანტი.
გვასმინე სიტყვა ღვთიური,
წყაროს წყალივით ანკარა
წამში ვქნათ საქმე წლიური
ათასწლეულის საკმარად
გვაკმარე, თვალში სიბნელე,
აღგვმართე სმენად დასმულნი,
გზა გაგვდიოდეს სიბრძნეზე,
თვალმარგალიტად ჩასმულნი.
.... ის გვაგრძნობინე!.. შენი ვართ!
რომ ღვთის ეთერში შევდივართ!

წყალს გაჰყვეს

თავს, როს ჩაითვლი ჭკვიანად
და თვით ზენიჭის პატრონად,
მაშინ დაცლილხარ მთლიანად
ეშმას გამხდარხარ, მთლად მონად.
ჭკვიანი კაცი სულ ფიქრობს
ნეტავ მომეცეს სიბრძნეო,
წადილს არასდროს არ იქრობს,
მსურს: ზეცის გავხდე სიძეო.
უჭკუოს თავი თავისი
ზეცის მმართველი ჰგონია,
სინამდვილესი ჭკვა მისი
უბრალოდ ღორის ქონია,
გვაშორე, ღმერთო მაღალო,
ცარიელ ქვევრში ძახილი,
ბოლომდე სანამ დაგვღალო
გვასხ სულიერი მახვილი.
.... ცუდი დავცალოთ სისხლი და
წყალს გაჰყვეს, ვინც ხელს გვიშლიდა!

სამოთხე სრული

პროლეტარი ვარ, ვამაყობ ამით
მიყვარს მე შრომა, სუფთა - გლეხური
მაქვს სულიერი, მე, სავსე ჯამი
ალალ-მართალი გული, მეფური.
მიყვარს სიმართლე... მფენი სინათლის,
არც მაქვს სურვილი, ვიყო ბობოლი
თუმც ამ სიმწარეს, ღმერთო, ვინ დათვლის
აბსოლუტურად, რომ ვარ ობოლი.
ჩამიწყდა სიმი, მღერი მაჟორის
სულს მგლოვიარე, ესმის მინორი
თვალებს მწვავს ცრემლი, სიმწრით ნაჟონი
ლეიბად შემრჩა, ქვა და მინდორი.
დავრჩი მიწასთან... დავრჩი ნახშირთან
შრომასთან დავრჩი, მარტო, ეულად
მიჭირს დანახვა უგულო-ხშირთა
თავიანთ თავს, რომ თვლიან რჩეულად.
გადმომხედავენ თავმოწონებით,
საიდან გაჩნდა, ეს ავარაო,
მას არ იტყვიან, ამ დაღონებით
საწყალმა ცრემლი, რაზე ღვარაო,
..... პროლეტარობა ვის რად ვანაცვლო,
იმედით სავსე, მე , დამაქვს გული,
რომ ამ მართალი ოფლის სანაცლოდ
ზეცაში მიცდის, სამოთხე სრული!

ვეღარ გახვალთ ფონზე

წურბელა, როს სისხლსა მოსწოვს
უარგისი ხდება,
მოსწონს მაგას, თუ არ მოსწონს
ის უბრალოდ კვდება.
ეს ბუნების კანონია არ გაუდის ვადა
ჩვენც კი ვიცით, ნაქონია
ჭამაშია მადა,
ზედმეტ მჭამელს, რომ მუცელი
ებერება მერე
არ ახალი, ცნება ძველი
ძალაშია ჯერე.
თუ აიღებს ვინმე თავზე
სხვისი სისხლის წოვას
ის დაიყრის ცოდვებს მასზე
და ეშმაკთა ხროვას
უსაწყლესი ის საწყალი
ჩაძაღლდება მალე
ვერ ჩააქრობს, ვერა, წყალი
მის საცეცხლო ხვალეს.
ჰოდა, ძმებო! ზენას კანონს
გაქცევია ვინმე
ის კი ვიცით, ბევრი ნანობს
ბედს ეწია მძიმეს,
წურბელას ხომ ევალება
ცუდი სისხლის წოვა
-როს თავი არ ებრალება
მადა ჭამით მოვა
... სხვის სიკეთის მფლანგველებო,
დროა, ეგოთ გონზე
ვამპირობით და გველობით
ვეღარ გახვალთ ფონზე!

შენს ხატად გვხატე

სიტყვის მქარგველო, სწორედ თქვი
სიმართლის ქენი ყრილობა,
დიდ სილამაზეს მიწაც ქმნის
რად უნდა მაგას ცილობა.
სიტყვა, მართალი, ქვასა ხვრეტს
აქვს ღვთისგან დიდი გულობა,
რაღა თქმა უნდა თვალსა მჭვრეტს
უხარის მოქარგულობაც.
მართალს თუ იტყვი ლამაზად
ორმაგი საქმე გიქნია
ზღაპარი თქმული ანდაზად
მე, ფიანდაზად მიქია.
ღმერთო! გვარგუნე ნიჭი და
საქმით დაგვტვირთე ორმაგით,
რისი თქმაც ადრე გვიჭირდა
სათქმელად ძალა მოგვმადლე.
შეგვეძლოს მთა გადავწიოთ
მართალი სიტყვის ძალითა,
ტალღები დაბლა დავწიოთ
შენთან გავცუროთ ნავითა.
სიტყვის მქარგველო, ხატე და
მხატვარო, წერე ნახატი.
ღმერთო, შენს ხატად გვხატე და
არ გვინდა ჩვენაც სხვა ხატი!

ვტანჯავთ თვით თავსა

როცა ირღვევა ბალანსი
სინათლისა და სიბნელის
მაშინ იწყება, რამ მსგავსი
სიგლახისა და სიძნელის.
ეს ყველამ ვიცით, მაგრამ რა,
ზოგი სად გადაიხრება,
ზოგი ცეცხლს ანთებს თაკარას,
ზოგისგან ორმო ითხრება,
ერთმა, რომ დაგვწვას მას ფიქრობს
მეორე გვტენის ქვესკნელში,
რა ვქნათ?! ბალანსი სად ვქექოთ
რომ განგვაწესოს ზესკნელში.
თუ დააკვირდით? ცის იქით
ვარსკვლავებს ხედავთ, რა მწყობრით
ბუნებისაა, რადგან იქ
კანონი... წესის დამწყობი.
და ის, ბუნების კანონი
ერთხელ დაწერა ზენამა,
ასიათასჯერ ნაწონი
ვით ვერ ამსგავსა ქვენამა,
... ჩვენ ვეჯიდებით მას, რასაც
ჩვენ ვერ ავწონით... სხვისია,
ამიტომ ვტანჯავთ, თვით, თავსა
ვინ როგორ, რისი ღირსია!

იყავ ჩვენი ღმერთი

რა ვქნა მტერის შესაშური
ვერ დავწერო ლექსი, მაშინ
ღმერთო! მომეც შენი პური
ვაჭამო და გაძღეს ბავშვი.
პური ჩვენი არსობისა
არსობისთვის დაგვათოვე,
ხოლო პური გასკდომისა
მტერს სადილად დაუტოვე.
მოგვარიდე გასაჭირი
დიდებულო, დიდო ღმერთო,
ლექსის წერის გარდა ჭირი
ჩემს ერს აღარ მიაერთო.
გლეხს მოჰმადლე პური უხვად
მის ეზოში მოიყვანოს,
და მას გასცეს მან მეფურად,
ვინაც გული მოუფხანოს.
თხოვნა დაგვრჩა ერთად-ერთი
შენთან რიდით მიგვაცილე,
მუდამ იყავ ჩვენი ღმერთი
განსაცდელი მოგვაცილე.

სანამ ჩვენია

საქმით ვყვარობდეთ უფალსა
და არა სიტყვის ქაქანით
გავშორდეთ ქცევას უმსგავსსა
სიკეთის ვძებნოთ ბაქანი.
უდავოდ, ვიცი, დიდია
მადლი, გულწრფელი, ლოცვისა,
მაგრამ ჩამტყდარი ხიდი აქვს
უსაქმურობით მოცლილსა.
მიწის მუშაკნო, ქართველნო,
რად ვერ დავყნოსეთ ნექტარი
მიწას სხვას ვაძლევთ! ართველონ
ჩვენთვის კუთვნილნი ჰექტარნი.
თოხი და ბარი მოგვძულდა
„პორთველით“ გვინდა ვიაროთ,
სკოლაში წიგნი, რომ გვძულდა
ცოდნა რით გავიზიაროთ.
ბირჟაზე საქმე მისია
ვისაც ოქრო აქვს ბევრია,
ჩვენ მოვსპეთ მათი მისია,
ვინც ოქრო-კაცნი გვერია.
საქმე ჩვენს ირგვლივ აწყვია
დანახვა უნდა უბრალოდ.
ხარმა, რომ აღარ გასწია,
თესლი დაიბნა უკვალოდ.
ჩვენი გავსწიოთ გუთანი
და მოსავალიც ავიღოთ,
სანამ მოსულა „სულთანი“
და ყველა მიწა წაიღო.
არ შველის, მერე, ლოცვა მას
და უქმი სიტყვის ღაღადი
ახლა სჭირდება მოცლა მას
სანამ ჩვენია „ბაღდადი“!

მოსამართლევ

სხვისი ბედის გადაწყვეტის, თუ მოგეცა ოდეს შანსი
ნუ იფიქრებ, რომ ღმერთი ხარ, მოგაწოდეს მისგან პასი
დაფიქრება გმართებს კარგო, იმავ წამში, ასჯერ ასი
პირველ რიგში, დამერწმუნე, შენც კაცი ხარ, მისი მსგავსი.
ვინ არს დღეს, რომ არ შემცდარა, უცოდველი იარება,
მოციქულიც ბევრჯერ შეცდა და თავდაღმა ძნიად ება
ქრისტემ უძღვნა კაცს უფლება და არგუნა ზიარება
მხოლოდ ერთმა, მამისაგან, იმსახურა ბდღვრიალება.
შეუნდეთო ყველამ მოყვასს, დაგვარიგა ზენამ ასე
შეეცადე ძმაო სიტყვა, ღმერთის მაინც შეაფასე.
მოწყალე გულს იგი წყალობს, სიყვარულის გრძნობით ავსებს,
ის სულს მისას მოულხენს და სამოთხის ბაღს მოათავსებს.
აწი თავად აირჩიე, მოწყალე ხარ, თუ მსაჯული,
გირჩევ კაცის დაჩაგვრაში, ნუ იქნები შენ მარჯვული,
ჯობს ის ღმერთსა შეავედრო, ქრისტესი აქვს ვისაც რჯული
მას ნუ იზამ გულისათვის, გული იყოს სულ მთლად მტრული.
გზას ამცდარს, რომ ცივ საკანში, დაბურვილ თავს უკრავ ბოლოს
არ მიუჩენ გზის გამკვალავს, აყურყუტებ უთავბოლოდ,
თუ ნერვების მისის წყვეტა, მიზანია შენი მხოლოდ
რაღას ეტყვი მერე ზენას, გზა უკუნში დაგიბრონოს.
... ეგებ ჯობდეს შეიწყალო... შენც სინათლის გახდე ღირსი,
ის ხომ უფლის შვილი არის, ნუ იქნები ხუნდი მისი!

გვაშორე ავი ჩრდილები

სხივო, მოსულო ზეციდან
გასაღვივებლად ნერგისა
ღმერთი მანანად, რომ გცრიდა,
სითბო შენგან ვის ეღირსა.
ვიღას ეღირსა სინათლე
შენგან გზავნილი მიწამდე,
აქ, ჩვენთან ვისთან ინათე
რამდენმა სულმა გიწამეს,
მგონი, არც ერთმა, რადგანაც
დავდივართ, ჯერაც, ბნელეთში
და გონი ჩვენი ჩამდგარა
ჩაბინდულ ელეთ-მელეთში.
გზავნილი სხივთა ქსელისა
ღმერთო, გახადე მწველია
რადგან საფარი ბნელისა
ვხედავთ, აქ ძაან სქელია.
გვაშორე ავი ჩრდილები,
ურჩად გვიფარავს მზესაო,
ობლად დაგვირჩა შვილები
მამას ართმევენ ძესაო.
... თავზე გვახვევენ ხიფათს და
ომებს გვიწყობენ მოგონილს,
თვითონ მალავენ სიფათს და
ფოთლებს აცლიან ქლოროფილს!

მომრავლდა გველები

ხელში გეჭიროს ოქრო და
შენ კიდევ ოქროს ეძებდე,
ამდენი ბოღმა თუ გქონდა
ადრე ვინ გედგა გვერდებზე.
ვერავინ ნახა ვინც იყავ,
რა ყვავიც გზარდა დედამა,
თავი ყულუფში გაიყავ
შენ კი სკუფია გედგა რად.
რად მოგაქვს თავი, შენ, ღმერთად
კაცადაც ვერ გქნა ღმერთმაო,
ეშმამ შეგიპყრო, შენ ერთად
მის რჯულთან შეგაერთაო.
გსურს მიტრა გედგას თავზე და
შიგნით სინდისი არ გქონდეს,
ხარ უშავესი ყვავზე და
ღირსი, ზღართანი გაგქონდეს.
მალე ეწევი მაგ ბედსაც,
აღარ მოეგე, თუ გონზე
უფალი, როგორც თავხედსა
ბოლოჯერ გიკრავს, შენ, გონგზე.
არავის არ მსურს წაქცევა
და მითუმეტეს მღვდლისაო,
თუმც არ მსურს მრევლის დაქცევაც,
რომ გახდეს ლუკმა მგლისაო.
.... უფალო, გთხოვ მოარჯულო
ჯერ მღვდლად ქცეული მგელებიო,
ჩვენც მიგვაყოლე მსაჯულო
თორემ მომრავლდა გველები!

ჩაგვიდე თავში

გთხოვ, ყოველ დილით, დალოცო ღმერთო
კაცი, ქართული ჯიშის-ჯილაგის,
სიმართლის წიაღს ის შეაერთო
და აგრძნობინო შენი სილაღე.
გზა გაუნათო, შენკენ, მის სხეულს
შეახო სითბოს, შენი ბუნების,
ცნობდეს მახეებს... სატანისეულს.
არ ეშინოდეს, მისგან ცდუნების.
დროა, შევიცნოთ მტერი მანამდე
გამოუშვებდეს, სანამ ის კლანჭებს,
ჭირს ვუმკურნალოთ, სულთ მოტანამდე.
ზედ დაგვამჩნევდეს სანამ მის ბლანჟებს.
დროა, დროულად ვაკეთოთ ყველამ
საქმე, რჩეული სიკეთის ფონზე.
გთხოვ ყველა შემცდარს, გვარგუნო შველა
და მოგვიყვანო, ღმერთო, ჩვენ გონზე.
ჩვენ, რომ გვენახა ის ხომ გინდოდა
რახან შეჰქმენი ღმერთო, ნათელი
აზრადაც არ ოს მოგივიდოდა
რომ არა თაფლის... გვენთოს სანთელი,
სიყალბე, ღმერთო! გთხოვ, ნუ იწყება
იქ, სადაც ენთოს უნდა ლამპარი,
შანდლის ანთება, თუ გვავიწყდება,
ცუდად გვსმენია, ყველა ზღაპარი.
... იქ ნუ იწყება!.. იქ ნუ იწყება
რაც მთავრდებოდეს იქ უნდა, მაშინ
ურჯულოების გადავიწყება
ღმერთო! ჩაგვიდე, ჩვენ ყოველს, თავში!

სურს კაცს ესმოდეს

ვინც ჯერ არ ფიქრობს შეხვედრაზე შენთან, უფალო
ვისაც ჰგონია მსჯავრი შენი, მას არ ეხება,
ვისაც უვლია გასავლელი თვისი, უკვალოდ,
გთხოვ აგრძნობინო, წამით მანც, შენთან შეხება.
იგრძნოს ის ძალა, რისიცა ხარ ზენავ პატრონი,
სად შეგიძლია მოისროლო უჟმური, ურჩი,
ნახოს რას ნიშნავს, რომ მიწაზე იყოს ბატონი,
აქ მონელებას, იმ მიწისას, თუ გადაურჩა.
ვინ ამარაგებს აქ ამ კაცებს, უძღები კუჭით
სხვისთვის ნამცეცსიც იშვიათად, თუ ემეტებათ,
სხვისი ტკივილის შეგრძნება, ხომ, ძალიან უჭირთ,
უბრალოების ნიღაბს, უმალ, კი იკეთებენ.
არა უფალო!.. ცალკეულად არავის ვასმენ
აქ ყველა ცრუ ვართ, ერთი თარგით გამოყვანლი,
შენ უკეთ უწყი, მე უბრალო მწერალად დამსვეს,
თავად მეხება ეს ფაქტები, აქ მოყვანილი.
გავფუჭდით უკვე, ლპობადია თურმე სხეული
წესია კუჭის უძღებისა, ნაყროვანება,
მეც კაცი ვარ და ვეღარ დავრჩი მაინც ეული,
ადამის მოდგმის არ დამაკლდა ნაკლოვანება.
მოდი უფალო!.. დაგვაყენე გაკვალულ გზაზე,
კაცს შეაყვარე, პირველ რიგში, თვისი მოყვასი,
მე თავმდაბალი ვარ, აღარ ვჩივი ედემის ბაღზე
მსურს კაცს ესმოდეს, ყოველივე, მისი მოდგმასა.

ბევრი ვაგვირისტეთ

ნუ გაცხარდები უფალო,
ჭირმა დაბინდა ეს გონი.
და ბევრი რაღაც უმგვანო,
გვაკადრებინა მე მგონი.
ვერ გავუძელით ცდუნებას.
მსუბუქი... მძიმედ გვეჩვენა,
ზებუნებრივსა ბუნებას
ღვთისას, ვერ მივწვდით ჯერ ჩვენა.
"იმედით ცხოვრობს გლახაო"
ვიკმარეთ, რაც გვაქვს, ის ბედი
ჰოდა, ჩვენც ჯერაც ვგლახაობთ
გვაქვს მოწყალების იმედი,
გვჯერა, აქ რაც მეტს ავიტანთ
იქ შეგვხვდები თბილად უფრო
სულსაც ჩვენსას იქ აიტან,
შენ უფალო!.. სადაც უფლობ,
და დავდგებით შენს პირისპირ
მოვა ის დროც, შემოქმედო,
მწარე ენით, სავსე ამ პირს
ვფიქრობთ, როგორ შემოგბედავთ.
გთხოვთ, შეგვინდე ეს სისუსტე
ჩვენ მოდგმა ვართ ადამისი
დაგვანათლა მადლი ქრისტემ
მაინც მოგვყვა წესი მისი.
... ჰოდა! ბევრი ვაგვირისტეთ
ჩვენც ცოდვები, სისხამ დღისით.

ჯერ ვერ გამეღო

არ მსურს მე სულაც, არსებობდეს, სიტყვა: „მიყვარდი“.
"მე მიყვარხარ" და "მეყვარები"-ს ფანი ვარ ჯერაც,
 იმ დანგრეული ტაძრის ქვებთან ზურგით მიგყავდი,
იქ დანთებული სანთლის დედავ! დღესაც კი მჯერა.
დღესაც კი მჯერა ჟრუანტელის, ტანს, რომ მივლიდა,
როცა შენ ლოცვას დაიწყებდი, ფუსფუსით... ტკბილით,
შენ იმ ტაძართან, გითქვამს დედი: "ვინც კი მივიდა
ეყოლა შვილი და გაცურა ცხოვრების ტივით."
ოხ! როგორ მინდა, რომ ხედავდე, ახლა იმ ტაძარს,
ველად, რომ იყო მისი ქვები მიმოფანტული,
გადაარჩინა დროის ჟამმა, უსულო ხანძარს,
დღეს ხატებით და მარგალიტით არს მოქარგული.
მაგრამ... ვახ! დედი!.. სალოცავად, იქ ვერ დავდივარ,
შორს მალტოლვილეს იმ კუთხიდან, მშობე შენ სადაც,
მეოთხედია, საუკუნის... განცდას გავდივარ,
შენ იქ დარჩი და... გადაგიგდეს ეს შვილი სადღაც,
თუმცა, შენ დედი! ერთგული ხარ, როგორც ხსნის დედა,
არ მიმატოვე და სიზმარშიც მოხვედი მაშინ
შავი, სიკვდილის ანაფორა თავზე, რომ მედგა.
დამარიგე და მანუგეშე, მე, შენი ბავშვი,
„ნუ გეშინია შვილო! მიდი... ეს გაიკეთე,“
„ის გასაშვები სისხლი უნდა გაუშვა დროზე“
შენგან ჩამესმის დედი მე და ეს გულს მიკეთებს,
ოღონდ ისა მწყინს, არს დარიგება, სიზმრების ფონზე.
..... „არს და იყოსო“!.. მე ქართულად მსურდა გამეგო
ბევრი ვეცადე, რა ვქნა დედი?! ჯერ ვერ გამეღო!

არ ჭირდება ძილი

რას გაიგებს კაცი, როცა ძინავს
სიზმარია ტვინის ტკბილი მეგზური,
აღარ ესმის მტერი როგორ ქშინავს,
დაუჩლუნგდა მას დანაც და ლეკურიც.
თავს მოჭრიან ჩუმად, ვერც კი იგრძნობს,
უთავოდაც გააგრძელებს ხრიალს,
ანგელოზი ფრთიდან ფარფლებს იძრობს
და უჩივის ბედის ბორბლის ტრიალს.
რად არ ფრთხილობ, ღვთისგან ქმნილო კაცო!
-თავს რად უდებ მტერს, შმაგსა და ტიალს,
როს გჭირდება მაშინ აღარ ანცობ,
გვიანია, როცა იწყებ ღრიალს.
გაიხედე ხან წინა და გვერდით!
უკანადაც მოიხედე ხშირად,
ვინ შეგიჩნდა უკუღმართი ბედით
და შენს ირვლივ, მოკალათდა ჭირად.
დღეს ის დროა, თვალს დახუჭავ წამით
თავს მოგჭრიან მას გაახელ, სანამ,
წაძინება მოამთავრე ღამით
დღის ძილისას, არ დაგსეროს დანამ.
.... გავიხსენოთ, ჩვენ ანდაზა ტკბილი,
რომ სიფრთხილეს არ სჭირდება ძილი
მას არასდროს არ ტკივდება თავი
თუნდ ეშმაკმა, ჩვენ, გამოგვსდოს კავი!

მეტი ვეღარ გავთვალე

„ყველა თუ ცრუ არს“... ფარ-ხმალი
ვიღას მივანდოთ... გამჩენო
გთხოვთ, ერთი მაინც... მართალი
რამენაირად გვაჩვენოთ.
გამოგვიგზავნეთ, ვინც, ერთი
შვილად - იესოდ ნათლული
ჯვარს ვაცვით... იყო ის ღმერთი
ენა ისწავლა ქ ა რ თ უ ლ ი.
დატოვა ჩვენთან!.. მისი და
თვით დედამისის კვართები
ჩვენც ვერ ვიწამეთ სხვისი და
სულად მას გადვეხლართენით.
იმ კვართებს, წესის თანახმად
ჩვენ სულიერად გვაცმევენ
ერთი შენს თვალებს ენახა
აქ ქართველთ, ჯვარს ვით აცმევენ.
ქართული ენა თუ იცი,
დაგსაჯონ ... საკმარისია
ქართულად რომ ვთქვათ, თუნდ ფიცი
ვხდებით ჩვენ, ჯვარცმის ღირსია.
... ცოტაც ვიცრუე სხვის მსგავსად
ერი, აქ, ღმერთად ჩავთვალე,
ვიცით, ხომ: "ყველა ცრუ არს"... და
მეც, მეტი ვეღარ გავთვალე !

გავანათებთ მყოფადს

იბღვირება აწმყო კუშტად
მყოფადს უბნევს გზა-კვალს,
მზე შეკრული სხივთა მუშტად,
ღამეს უტევს მზაკვარს,
არ დაიბნე ნათლის სვეტო,
გაანათე ბნელი,
სანამ სულ არ დაისეტყვოს
შადრევანი ძველი,
გვაქვს იმედი, ცისკრის ჟამი
კარს გააღებს მარდად,
ცას ებმება ოქროს ნამი,
ზე სიცოცხლის ფარდად.
აწყმოც მოხრის თავის თავს და
გზას დაუთმობს მყოფადს,
ოქრო რკინად, თავისთავად
გადექცევა ლომბარდს.
სულ გაწყდება: მევახშეთა
„კოლექტორთა“ ჯარი
და სეიფში, იმათ „შეფთა“
დაიხშვება კარი.
ფული კარგავს არსებას და
ნდობას უთმობს შარას,
სიყვარულის სრულ ცნებასთან
რა ხელი აქვს „ფარას“,
გზა ეთმობა სიცოცხლის და
სიყვარულის მშობადს,
... დასეტყვილნი აწმყოსაგან
გავანათებთ მყოფადს!

ვინც ირწმუნოს

სულ შენთვის ჩქეფს ყველა ჩემი უჯრედი,
რაც ჩემშია, ჩასისხლულ - ჩაკირული
და აქამდე ყველა ტანჯვას ვუძლებდი,
შენზე, რომ ვარ, გულით, მე შეწირული.
შენ, სამშობლოვ განაცვალე მე გული,
თუ დაგჭირდი, ცეცხლად ვიქცე მწადია
შენი დარი, მხოლოდ ღმერთი მეგულვის
სულ თქვენია, მე თუ რამ მაბადია.
მშობლიურის ერთი მცირე, კენჭი ვარ
ღვთივ ჩანაბერ სულით აფეთქებული
მოლეკულის, ვით ატომი შევდივარ
საკურთხეველს... ხელით, ვერშეხებულით.
უსათუთეს ფუნჯად ჩემად ქცეულო,
კოლხო მიწავ!,იბერიას შერწყმულო,
ბაზალეთში ოქროს აკვნად რწეულო,
მითად შემდგარ, ჩემო ქალწულ-მერწყულო.
... მე, ქალღმერთის შვილი ვარ, ამირანი
კავკასიის მთებზე, მძევლად ქცეული
მაქვს მიზანი, ყველა მოვსპო ტირანი,
ცეცხლში დავწვა მოღალატე წყეული,
სულ დავკუწავ! ჯაჭვებს, რაც დღეს მაჭავრებს,
ვაი, მჭედლებს! ჩემთვის ავად მარკინალთ,
ფერფლად ვაქცევ! შინ შემოჭრილ სხვა ჯარებს,
ჯოჯოხეთში ჩავაყოლებ, მათ გრიგალს.
ვინც ირწმუნოს, მიმინდვია ის ღვთისთვის
წრედი შეკრან, ანგელოზად, ზესკნელში,
ვინც გზას გვიბნევს, ცეცხლი მომაქვს იმისთვის,
სამუდამოდ განვაწესო ქვესკნელში!

გვექნება შველა

გვგონია სავსე ვიქნებით მუდამ
ჩუმად ვიცლებით თურმე, თანდათან
არ გაგვეცალოს... სიფრთხილე უნდა
ძალა, მოკრეფას ითხოვს ხანდახან.
არ ძინავს მტერს და გვაცლის არაქათს,
სხვადასხვა დონის ხერხით და ხრიკით,
ჩუმად გვპარავენ ძალის ბარაქას
ვამჩნევთ ჩვენ გვიან და მერე გვიკვირს.
ბევრი მოექცა ამგვარ მახეში
ზოგმა იგემა, დიდი ზიანი
არ მსურს გავებათ, იგივ ბადეში
და რომ შეიქმნას, მერე, გვიანი.
ეს გვემართება ალბათ, იმიტომ
ცუდად მოვირგეთ, რადგან, ფარაჯა,
ხეზე გვემტვრევა, ხშირად, დიდი რტო
ვეღარ ვარგივართ, ტალანტს დარაჯად.
გვწყალობს უფალი, ფეხზე ვართ ჯერაც,
და თუ ეს მადლი, ვირწმუნეთ ყველამ,
როგორც არასდროს, დღეს ისე მჯერა
აუცილებლად გვექნება შველა !

ჭაღარა ჭარბობს

როდის გახსნი, ზეციერო იმდენზე
რომ შევიცნოთ, ჩვენ, განგების ფასი
მილიარდი კვლავ ვოცნებობთ იმ ბედზე
მოგვეახლოს ანგელოზთა დასი,
უსასრულოს ნიშანს ადებ ფიქრებზე
მიგვაჩვიე მოულოდნელ ლოდინს,
სისპეტაკეს კვლავ გვიხატავ ფიფქებზე
ხელს არ უშლი, უაზრობის ბოგინს,
იმდენს მაინც ჯერ ვახერხებთ, შევიცნოთ
ვიცით, რომ არ ვიმსხურებთ ჩვენ მეტს,
ისიც ვიცით, ყველა მოკვდავს შენ იცნობ
და რომ ვსცოდავთ ჩვენ ნორმაზე ზედმეტს,
მოტევების, რომ არ იყოს იმედი
სუიციდებს რა მოთვლიდა ღმერთო,
ჯერ არ მღერის, ამ სიცოცხლის, ის გედი
მომავლის ხის, ტოტს, რომ აზის ერთობ,
მოგვიტევე და შეგვინდე უფალო
გვაგრძნობინე, ისევ შენი ძალა,
ვინც სატანას დაიმოყვრებს, უბრალოდ
წააცალე ყველას თავის ქალა,
მიგვახვედრე, იმდენს მაინც, ყოველი,
რომ დავეწყოთ სასიკეთო გზაზე,
და ღვთის ნებას არ გაჰყვება, რომელიც
ქვა უხლია იმ სატანას, თავზე.
... ჩვენ ხსნას, ღმერთო, ისევ შენგან მოველით
თუმც, ჭარაღა ჭარბობს უკვე თმაზე!

არა ვართ რობოტები

დავიღალოთ გვინდა შრომით
სამშობლოსთვის შესაწირით,
სიზარმაცე იყოს შორით
ბევრი გვყავდეს, შრომის გმირი.
ვიამაყოთ, მსურს, შედეგით
სიკეთის ქმნის, იმ ნაყოფით
გვეყოლება ვინც ზემდეგი
სწორად გაყოს გასაყოფი.
გვაქვს ძალა და მონდომება
გვამუშავეთ ბატონებო,
შევასრულოთ ღმერთის ნება
შევქმნათ ბაღი სანაქებო.
იმ კანონებს, აწ უწინდელს
ეს, ახალიც, მიამატეთ,
ვინც გარჯაში ხელს გვიშლიდეს
ჩაითვალოს მოღალატედ.
თუ საპალნე აღარ იქნა,
რაღად გვინდა მაშინ ვირი
-თუ სამყარო გარდაიქმნა
არ გვჭირდება ჩვენ არც გზირი.
იმუშაონ რობოტებმა
ზემდგომადაც ჰყავდეთ რკინა
ვფიქრობ მაგათ უნდა შებმა,
ვინც ასეთ ბედს შეგვარკინა.
... ხალხო,გკითხავთ: როს მიხვდებით
რომ არა ვართ რობოტები?!

მგონი გაგვწირეთ

ეგებ მოაწყოთ ცაში აქცია
ადამიანთა ქცევის პროცესზე
და გაუკეთოთ პროკლამაცია
ანგელოზებო,აქ თქვენს პროტეჟეს,
იცვალა ჩვენი ქცევის ორბიტა
წრეს გასული ვართ, დიდი ხანია
თუ კი, ვლაღობდით ფრთებით, ორბითა
ღამურას გვიგავს, ახლა ფრთანია,
გადავეჩვიეთ, ჩვენ, წინსვლის პროცესს
„ადგილზე იარ!“... მოგვცეს ბრძანება,
ვკვდებით შიმშილით,პური არ მოგვცეს
ჭკვიანს არა აქვს, დღეს გაქანება,
შეჰკარით წრედი, ანგელოზებო,
და მოგვაშველეთ თქვენი ამალა,
ღმერთთან ბილიკი, როგორ ვეძებოთ,
უნიჩბო ნავის, დავრჩით, ამარა.
როგორ მოვიქცეთ? რა ვქნათ, არ ვიცით,
სიკვდილმა ცელი, კვლავ მოიღერა,
ეგებ გვიშველოთ, სანამ დავიწვით
მომაკვდავ გედის, ვიწყოთ სიმღერა.
... კანონიკურად, ალბათ, არ ვწირეთ
თქვენც, ანგელოზნო, მგონი გაგვწირეთ!

ჩვენ ვირჩიეთ

უპატრონოთ, გვიპატრონე „პატრონო“
მიყრილ- მოყრილთ სხვის სანაგვე ყუთებთან
უბატონოთ, გვიბატონე? "ბატონო"
როგორ მიხვალ, იქ ზეცაში... იმ ერთთან.
აქ აწმყოში გაგვიმრავლდა... ლაზარე
გლახაკობის სიმბოლო და ნიმუში,
ქრისტეს შვილნო, რად არ რეკავთ მაგ ზარებს,
ან "ქველმოქმედს" ყურადღებას ვინ უშლის.
სად დავკარგეთ სინდისი და ნამუსი
ერთს ის ახრჩობს, რაც უამრავს არა აქვს,
მათხოვარის მირჩევნია სტატუსი
ნაყროვანის, იმ უგულო „ბარაქას“,
თუ ღმერთის გწამს, თუ ღმერთი გწამს, შეჩერდი,
ცოტა ხურდა ამოიღე ჯიბიდან,
ჩაუდევი შენკენ ხელებშეშვერილს
ცხონების გზა, შენც გაგეხსნება იმ დღიდან.
ვაი! ღმერთო,აძვრა გული, საგულეს
ხმა მოისმა მოხუცისგან, წყვეტილი,
ის მავანი ვერ პოულობს საფულეს
სეიფში აქვს, ალბათ, გამოკეტილი.
უზარმაზარ სახლში უდევს სეიფი,
უზარმაზარ ცოდვებით დატენილი,
თან აგროვებს, მისი კაბის შლეიფი
თუ რამეა გზაზე მტვრად დარჩენილი.
... ასეთ დღეში რად გვამყოფებს უფალი?
ჩვენ ვირჩიეთ, გვყავდეს ხელის... უფალი!

მოგვარიდე ღმერთო

ნაღდად ვიცი, ტკბილად ყოფნა
ყოველ ჩვენგანს, მუდამ სურს,
მაგრამ კარგად ვინ გვამყოფა,
გვიკაწრავენ ჩვენ ამ სულს.
ვისგან მოდის ეს საკაწრი
სულისა და გულისა,
ვინ გადმოგვსდებს ყულუფს ბაწრის
სატანისას მტრულისა.
ვინ გვაქცია მამლუქებად
აგვიჩეხა ვენახი,
გადამდგარვართ მაინც ქებად
ბაბაიას ვეძახით.
სალოცავი წაგვართვეს და
მამულს გვედავებიან,
ენას კრუნჩხვა დამართეს და
თხებს გვამგვანეს, რქებიანს.
... მაინც იქეთ მივიჩქარით,
მგონი ჯადო წაგვისვეს,
მოგვარიდე ღმერთო, შხამით
სანამ ჯამი აგვივსეს!

ქვაზე მჯდარ ქვას

„უმეცარი ქვაზე დაჯდა
ქვა, ქვას მიემატაო,"
მიხვდით? ღმერთმა ვინ დასაჯა
ქვა, თუ ვინც მას, ზე აჯდაო,
მე ვფიქრობ, რომ უმეცარი,
მას გაუწყრა უფრო ზენა,
თქვენ თვითონაც შეიცანით
გაუცივა მას ქვამ ქვენაც.
ზოგი იტყვის: ქვამ იწვალა
როს დააწვა მას საპალნე,
და ქვას ტვინი გაუწყალა,
უტვინო, რომ დაატანეს,
ამას ჰქვია: ორგან ჭრიდე
ვინ გაუგოს ახლა მასსა
რაც არ უნდა გამიჭირდეს
არ ვაჯდები, მიტომ, ქვასა,
არც ვკიდივარ ცას მზესავით,
რა ვქნა, რომ არ წავიქცეო,
ხეს ვაჯდები, იმ ხესავით
ტანმაღალი გადვიქცეო.
ავიყარო ზედ ტოტები,
ვიყვავილო, გავიხარო,
ორ ათას წელს არ მოვტყდები
მტრებმა, რომ არ გაიხაროს.
ვით ვიბრძოლებ მერე ავზე
ბოლო წლები, რომ მოვლიან
მერე, ჩვენი მტრების თავზე
ქვაზე მჯდარ ქვას უთოვია!

მიაკო მშვენიერს

ზღაპარივით ტკბილო მ ი ა
სიზმარივით საოცარო,
სადღეგრძელო ხელთ მიპყრია
ლოცვას თავი მოვუყარო,
იყავ ტკბილო ანგელოზო,
ფეხმარდი და მხიარული,
მსურს ვარდებით დღეს შეგმოსო
მესმას შენი ჟრიამული.
შენ განათებს დიდი მზე და
შენთვის თვალი გაუღია,
დღეს გვირგვინი თავზე გედგა
დაიბადე, ჩვენო მ ი ა.
იდღეგრძელე კარგო გოგოვ,
ლამაზო და მშვენიერო,
ეჰ! მიყვარხარ, იცი? როგორ
ძნელია, რომ დაიჯერო.
დედისა და მამის გულო.
საყვარელო, თბილო მ ი ა
ტკბილად მინდა სულ გიგულო
დაგიკრიფო ბევრი ი ა !

კაცის გული

დავივიწყოთ, მსურს, ის ხანა,
რაც იწვევდა სინანულს,
და ვუმღეროთ: „დიდოვ ნანა,“
ხალხთა შორის სიყვარულს.
კაცში, კაცსა ვეძებდეთ და
არა წარმომავლობას,
აბა როგორ აირჩევდა
ვინმე შთამომავლობას.
თუ ისურვა, ღმერთს შეექმნა
იმ რჯულის და ჯილაგის,
კაცის მოდგმას რაღა ექნა
წინ აღმდგომი ვინ არის.
ღვიძლი ძმებიც განსხვავდება
რიგითა და წესითა
დაეკისრათ ყველას ძესგან
მისი ტვირთი ეზიდა.
ჰოდა, ზიდონ რას დავეძებთ,
ყველამ მისი ჭაპანი,
კაცში, კაცის გული ვძებნოთ
რომ არ იყოს ჯაბანი!

ღვთის სანთელი

შორს, ღრუბელო ავდარისავ,
დაკიდულო ცაზე კუშტად,
ჩვენს ერთობას ვერ გასრისავ,
შეკრული ვართ ღვთისგან მუშტად.
დღეს თუ მუშტი უჩინარობს
ნუ გექნება შენ იმედი,
გადურჩებით ყველა ღვარცოფს,
ასეთია ჩვენი ბედი.
ღვთის ნებით ხარ შენც, იმ ცაზე
საგანგებოდ დაკიდული,
მოგვიყვანოს ზოგი ჭკუაზე
რომ არ შეცბეს, ურჩი გული.
კარს მოგვადგა ცისკრის ჟამი,
ნახავ მიწას ვით ეტყლაპო,
ვერ გაავსო შენ აქ ჯამიც,
ოკეანის გველეშაპო.
გადაივლის შენი ტალღაც,
განათდება ირგვლივ ველი,
ვერ ეღირსო შენ ჩვენს დაღლას
გახსოვდეს, რომ ვართ ქართ - ველი.
დაგიბერავთ იმ ქარით და
სულ გაგფანტავთ ნამად ველზე,
ჩვენი შენ ჩვენ გითხარით და
მიგვინდიხარ აწ სანთელზე.
ერდოს ჩვენსას უეჭველად
გაანათებს ღვთის სანთელი,
გაიშლება ია ველად
გაიხარებს, კვლავ, ქართველი!

იხილავს ბოლოში

ჩვენ გავეშმაკდით, გვიხარია, რომ ვართ „ძლიერი“,
სხვის ჩაგვრასა და დამონებას ღრმად შეჩვეულნი,
სულს დაეუფლა ბელზებული, მეტად ცბიერი,
თავს კი ვასაღებთ, ვითომაც ვართ ღვთისგან რჩეულნი.
ამით ვიტყუებთ თავის თავს და ვატყუებთ სხვასაც
და გამარჯვებად მიგვაჩნია თუ ვავნებთ ვინმეს,
კაცთმოძულებას დავარქმევდი, ვაკეთებთ რასაც
თან მაგრად მიკვირს ამას ღმერთი, როგორღა ითმენს.
გადაგვარების გზის საზღვრებსაც გადავცდით კარგად
გადაშენების გზაზე ვდგავართ, უკვე ქართველნი,
თვით სიყვარული მიგვაჩნია, ჩვენ, ზედმეტ ბარგად
ჭიშკარს მოგვადგა ამ ცხოვრების წამის დამთვლელი.
მესამედიღა, რომ ვარსებობთ, თუ უკვირს ვინმეს,
ანდა როდემდის ვიარსებებთ ასეთ ტანჯვაში
გულგაგმირული ეს საწუთრო, რამდენს მოითმენს,
და გულისცემა შეჩერდება, როდის მაჯაში.
ვისაც ეხება აღარ ფიქრობს!.. დავფიქრდეთ თავად
ეშმას მაგივრად შევიყვაროთ, ეგება ღმერთი,
გულს სინანული, შექმნილისგან, თუ ოდეს ჩავა
ცოდვებს შეგვინდობს, გადაგვარჩენს, ის ერთადერთი.
... ვისაც ჰგონია, რომ ყველაზე არის ძლიერი
იმას იხილავს, მთლად ბოლოში, მისივე ერი!

როდემდის ითმინოს

ჯერ ბევრი დამრჩა სათქმელი
ღმერთო, მადროვო, გვედრი შენ,
როს დაიღვენთოს სანთელი
ჩემს წინ გამძღოლად მენიშნე.
ნუ განმიქარვებ იმედებს,
მინათე ძნელად სავალი,
გული ყოფას ვერ იმეტებს,
სულია, შენკენ მავალი.
ცუდის დამწერი თითები
დაბუჟო, არ აწერინო
გთხოვ, ცხადყო კარგი მითები
ხალხისთვის აღმაწერინო.
რაც, ნება შენი არ არი,
ფიქრადაც არ გამაკარო,
დააპაუზე ზამთარი
სულ აყვავილე სამყარო.
იქ გამაჩინე, სადაც ჭირს
მათთვის მაქციე მალამოდ,
თუ ჩემი ძალა არ გაჭრის
გთხოვ, შენი ძალით, დანამო.
გთხოვ შემისრულო, რასაც გთხოვ
ჭკუით და საღი გონებით,
მოსპე იმ ხარბებს რაც ათოვს
და თვალს უბინდავს ქონებით.
ის მათქმევინე, რაც გსურდეს
ადამის მოდგმამ ისმინოს,
... კაცს მისი ხატი, რომ ძულდეს
გულმა, როდემდის ითმინოს!

ღმერთმა გაახაროს

ჩვენ არა გვყავს სხვა უფალი
შენ, რომ გთხოვო, ვბედავ მე,
გაგვიხსენი გონის თვალი
შენს სიკეთეს ვხედავდეთ,
შენმა მადლმა დაგვიფაროს,
ანგელოზთა ფრთებითა
ძილში, რომ არ მოგვეპაროს
ავი სული ვნებითა,
გვიყვარდეს და ჩვენც ვუყვარდეთ
შუღლმა აზრი დაკარგოს,
სიმართლეს ვინც კვერს უკრავდეს,
ბედმაც იგი დაქარგოს.
მოღალატე მოსპე თესლში
არ გაღვივდეს არასდროს,
აბანავე ეშმა გესლში,
სანამ ვინმეს გადასდოს,
დაგვიბრუნე შინ ლტოლვილნი,
ჩაახუტე ახლობლებს,
ჩვენს სარბევად მოგონილი
გზა დაებნეთ დამპყრობლებს,
რაც მაღალმა დაგვანათლა,
შეგვატოვე იერი
ვინც უკუნი გაანათა,
იყოს მუდამ ძლიერი,
... ვინც სწორი გზით, ჩვენ, გვატაროს
ღმერთმაც იგი გაახაროს!

ამიერიდან

ამიერიდან, შენ ხომ, არ გინდა
რომ სუფთა სული ანაგვიანო,
სიცოცხლე იმად, ნაღდად, არ ღირდა
მონად, რომ დარჩე... ადამიანო.
ირწმუნე მარად, რომ ღვთის შვილი ხარ,
არ მიაყენო შენს თავს ზიანი
ლურსმნის წვეტებზე იარ!.. ნუ ზიხარ
მიხვდი, რომ შენ ხარ... ადამიანი.
ფეხის ტერფებზე იგრძენ სიმწარე,
გული კი გქონდეს, მუდამ სვიანი
ამიერიდან, კვლავ, გაიხარე
რადგან შენ გქვია... ადამიანი.
ღმერთმა რად მოგცა მისი ხატება,
ცა დაგახურა თავზე... მზიანი,
მიწა გაქცია კაცად განგებამ,
სული ჩაგბერა შიგ მადლიანი.
ამიერიდან, შეიგნე ერთი,
შენთვის აძერწა ზენამ სამყარო,
შენც დაფიქრდი და იწამე ღმერთი
რათა მყოფადი, კვლავ, გაამყარო.
ამიერიდან, ეძებე ის გაზა,
სადაც გირჩია მან რომ იარო.
ამიერიდან, იყავი შენ მზად
რომ სული შენი, ღმერთს აზიარო.
ამიერიდან, აღარ გაფითრდე
მოდით ჩონგური ავახმიანოთ,
ამიერიდან, გირჩევ დაფიქრდე
კვლავ იაზროვნო, ადამიანო!

უეკლო სიყვარულებით

ღმერთი გვიგზავნის დამხმარეს, შევამჩნევთ... თუ შევეცდებით
ჩვენც, თუ სხვას დავეხმარებით, მწამს ნაღდად, აღარ შევცდებით
ღვთის მზრუნველობას ვერ ვამჩნევთ,
გულვქვავობთ, უფრო ვმხეცდებით!
ერთმანეთს დავერევით და გულს ვწვავთ ურჯულო ცეცხლებით.
რა ჯობს, გავუგოთ ერთმანეთს გვქონდეს დათმენა სულგრძელად,
"გიყვარდეს მტერიც შენიო", ბრძანა უფალმა სულ ძველად.
ორგულობა და ქიშპობა, გვიხდის ცხოვრებას სულ ძნელად,
სხვას არ ვუნათებთ სიცოცხლეს და ჩვენსას ვიხდით სულ ბნელად.
"რასაცა გასცემ შენია", ეს ადრე უთქვამს ბრძენს ჩვენსას,
თავს ვერ ვიცავდით ღვარძლისგან, იფქლი, რომ აღარ გვეთესა,
ერთმანეთს ისე დავკორტნით, თავს არ ვუწუხებთ ჩვენს მტრებსა,
მადლის ქმნა გვავიწყდება და ცოდვებით ვივსებთ კისრებსა.
თუ ჭკუით ვიზამთ, კარგია! შორს, რომ გავირთხათ ფესვები
უხვად მოვზიდოთ სკორე და შინ გავაღვივოთ თესლები.
სხვისი არ გვშურდეს არასდროს,აღარ ვაფრქვიოთ გესლები.
სიყვარულს მუდამ ანიჭებს, კაცს ნდობის შიდა შესვლები.
ვიღვაწოთ, მოვიმოწაფოთ!.. ვინც არ ჩვენია, სხვისია,
ტრფობის დათესვის ტალანტი, ღმერთმა გვარგუნა მისიად
ბნელს, რომ ანათებს სინათლე, ყველასთვის შესატყვისია
მაშ ვანათებდეთ ჩვენც ყველგან,ხამს, ნაღდად არა ნისიად.
ჩვენი სიმდაბლის ერდოზე, ვარჯულოთ ურჩი გულები
ვინც შემოგვხდება გზაზედა, ზიარვყოთ სიხარულების,
ღმერთი გააქრობს განწყობას, თუ ვინმეს ჰქონდა მტრულები
და აგვევსება ბეღელიც, უეკლო სიყვარულებით!

გვიწყრება ზენა

გვიკვირს ხანდახან და ვბედავთ კითხვას
"რატომ გვიწყრება, ვითომ, უფალი,"
ასეთებს, ღმერთმა რა უნდა გვითხრას
როცა მისგან ვართ თავისუფალი,
გვილხინს?!. მივეცით ის დავიწყებას
და გვიჭირს, როცა!.. ვიხსენებთ მხოლოდ
სულში განგაში მაშინ იწყება
როცა სათაურს, ვკითულობთ ბოლოს.
როდის იწყება მდინარე ზღვასთან
მას ხომ სათავე, მთებში აქვს, ზემოთ
სული თუ გვინდა ვაერთოთ ცასთან
ჯერ თავნი ჩვენნი, დავხაროთ ქვემოთ,
თვალნი მივაპყრათ, ფეხებთან ქვიშას
"არ განვიკითხავ", დავწეროთ თითით,
ჰე! მაშინ გვეტყვის, რომ არა გვიშავს
როს თანადგომის, ვირწმუნოთ მითი,
ჩვენ სიყვარული აღარ გვივიწყებს
თავად ვივიწყებთ სიყვარულს ხოლმე,
ზენა!. გაწყრომას ზუსტად იქ იწყებს
როცა სატანის მოვირგებთ ქოლგებს.
... ზუსტად იმიტომ გვიწყრება ზენა
რომ ძმურ სიყვარულს, ვივიწყებთ ჩვენა!

არ გვაგრძნობინო დაღლა

ყური დავძაბე, ბრძენო მოგისმენ
მსურს, შენი რჩევის ვიყო დასტურად,
როგორ მოვიქცე?!. როგორ მოვიქცე
როგორ შევცვალო ყოფის ფაქტურა,
არა და მსურს, რომ ძმას ძმა უყვარდეს,
კარგად იცოდეს, პატარამ დიდი
სიყვარულს ეშხი არ დაუმთავრდეს,
არ არსებობდეს ამ ქვეყნად ფლიდი.
ყველას შეეძლოს თავი ირჩინოს,
ჰქონდეს თავისი ოფლის ნაყოფი,
შვილი მრავალი, რომ გააჩინოს
იმედი ჰქონდეს კაცსა სამყოფი.
კაცი, კაცისთვის მინდა ზრუნავდეს
თუმც საზრუნავი არარა იყოს,
რა ჯობს, როს ხედავ ყველას უყვარდე
და შრომის შედეგს ალალად გიყოფს,
მწამს, ჩემს სურვილებს აქვს საფუძველი
მიუღწეველი მისაღწევია,
დასაწუნია ეს ყოფა, ძნელი
და თავი მაღლა ასაწევია.
... ავწიოთ ძმებო! ჩვენც თავი მაღლა
ღმერთს შევღაღადოთ, უფრო, ხმამაღლა
სწორი ყოფისთვის ბრძოლაში საღად
არ გვაგრძნობინო, ზენავ ჩვენ, დაღლა!

მაინც ვერ შესძლეს

ეხ! სულო ჩემო, ქართულო!. ჩემგან ხაფანგში გართხმულო
ჩვენს მიწა-წყალზე ნაბორგი, უცხო მხარეში გადმორგი
შენს ნაბუდარში ჩაგრულო, სხვაგან სულ ჯვარზე გაკრულო
ოდეს სიმსუყით ჭარბობდი, ახლა ჩხირივით ჩამოდნი,
სატანამ გზა აგვირია... უცხო საყვირნი ყვირიან
ქრისტე ჩაკვართულ მიწიდან, სხვა მიწამ როდის იწმინდა,
იღბალი ჩემი მწარია, რადგან მოგკიდე შარია,
ვენახმა ვეღარ იმწიფა, სხვაგან რომ დავრგე იმ წლიდან.
ხორცის სარჩენად ვჩქარობდი... შენ ამით როდი ხარობდი
სულო! დაგსუსხე ეკლითა, ჩემივ ორივე ხელითა
ცეცხლს გულში ვითომ ვაქრობდი, ფიქრით კვლავ სახლში დავქროდი.
მსურდა სიმართლე მეტვირთა და ღვთისკენ მევლო ეტლითა.
არ ვიცი როგორ შევძელი, ეჭვი კვლავ მახრჩობს მე ძველი.
მტრისგან მრავალჯერ ვიგვემე, ღალატიც ბევრი ვიგემე,
ცხოვრება მქონდა მე ძნელი, მწამს ავიცილო ქვესკნელი,
და ჩამოვშორდე იმ გემებს, სადაც გესლებმა მიგველეს,
სულ ციცაბოზე ვჟონავდი, გავიწრთე, როგორც ფოლადი,
ვიწამე ქრისტეს დიდობა, დაგროვდა გამოცდილობა,
და ვენახს ჩემთვის, რომ ვრგავდი... თავად ჭირნახულს მოვგავდი,
მაინც ვერ შესძლეს ცილობა, თუმც ბევრჯერ ჰქონდათ მცდელობა!

ნუღარ ვგლახობთ

აღარ შველის არც თავის და
აღარც ფეხის ბაკუნი,
თუ სიბერე გათავისდა
იწყო კარის კაკუნი,
მიტომაც ჯობს, რაც არ გვინდა
აღარ გავითავისოთ,
მწამს ვიცოცხლებთ, სანამ წმინდად
გული ცოდვით ავივსოთ.
არ ვაგროვებთ, თუ კი ცოდვებს
ჩვენს გულების ბეღელში
ის სიკვდილი, რაც ჩვენ მოგვსდევს
ეჩხირება კედელში,
სამუდამო ჩვენს სიცოცხლეს
ჩვენვე ვადებთ ბორკილებს,
თუ ვაგროვებთ მაინც ვერცხლებს
სულში შხამი ბოგინებს.
ნუ ვაგროვებთ ხალხო, აწი
ცოდვებსა და ვერცხლებს
ამ ჩვენს სულებს ნუღარ ვაწვდით
გაგანია ცეცხლებს,
რაღა ცუდი დავიჩემეთ,
მოდით ვთესოთ კარგი,
ხამს სიცოცხლე დავიმშვენოთ
სიკეთით და მადლით.
... გვიჯობს ნავსი გავტეხოთ და
სწორი შარა ვნახოთ,
კვლავ სიკეთე ვაკეთოთ და
მეტს ნუღარა ვგლახობთ!

მთავარ ძელს

დავდგეთ იქ, სადაც მტრობის ხაზია,
მამლუქობის გზას ადგან ბიჭები,
სატანის ლეკვნი მხრებზე გვაზიან
და ჩვენც რატომღაც არ ვემიჯნებით.
ზოგმა ზღვის გაღმა თავად გაცურა,
ზოგი, კი, ძალით გადაგვაცურეს
უბრალოდ, რომ ვთქვათ, ზუსტად, კაცურად
ჩვენ სუფთა პურით, არ დაგვაპურეს.
გაგვიუხეშდა გული სხვა მხარეს
იქ, მშობლიური, ლღვება მარილი
ჩვენ მოსეს გზებზე აღარ გვატარეს,
მეწამულს ასცდა ჩვენი მარხილი.
ზოგს საკუთარი გვავიწყეს ენა,
უცხო ჩიტებად ვიწყეთ ჭიკჭიკი,
მაფშალიების არ გვესმის სტვენა,
გულთან ვერ მოგვსდის ჩვენი შიკრიკი,
დროზე თუ არა, თუ არა, დროზე,
მთლად წაგვეშლება მოსაზღვრე ხაზი
გულს ვაუხეშებთ, ამ, უცხო ფონზე
და გვავიწყდება, თვით სიტყვა: ნაზი
... სანამ მავანი ეძებს სავარძელს
ჩვენ გვაშორებენ წმიდა, მთავარ ძელს!

ზეცით ნაძერწი

მსურს გამიგოს მე მთესველმან, ვისთვის ვხანი, ვისთვის ვფარცხე,
ხნულში ჩავდე თესლი თბილად, არა ცივად ჩავანაცხე,
როს გაღვივდეს იგი რბილად, მწარეს ტკბილი დაამარცხებს,
თუ კი მორწყა, ის მომრწყველმან, უკეთუმცა მწარედ დაცხეს.
ხმატკბილობას აბა რა ჯობს, როცა მოსდევს ბანი ანსა,
გულს უსმენდეს შიგან გული, ყურს აწვდიდეს ტკბილსა ხმასა,
ხელი ბანდეს ისევ ხელსა, და ორივე ბანდეს თავსა
უსკდებოდეს ცეცხლად მიწა, გულსა ცივსა... თვალსა ავსა.
ვისაც არ ესმის ტკბილისა, სიტყვისა მოუბარისა
მთად არ შეჯერდეს მცირესა, და ხელყოს დიდსა ბარისას,
გაუწყრეს წმიდა გიორგი! დღე არ ანახოს ხვალისა
ვისაც სურს სხვისის ხელყოფა, ოხრად დაურჩეს თავისა.
კაცსა არა მქნელს სიბრძნისა... და არ მსმენელსა მართლისა
ხამს, არ მოყვარედ შერაცხვა და არა შვილად ქართლისა,
თაფლის სანთელი ნათობდეს, მძაგს უსანთლოსა სანთლისა
ხარობდეს ჯიში-ჯილაგი, არ მწამს ბნელობა ნათლისა.
შენი ახარო, ჯობს ნერგი... სხვისი სხვაგან ვერ იხარებს
საკუთარ სახრეს ნაჩვევსა, სხვა რად ხედნიდეს ჩვენს ხარებს,
სხვისას ვერ ვგუობთ მაღალსა... ჩვენი მდაბალი გვახარებს
ნაჩვევნი თავის ბაღნარსა... სულს ვღაფავთ, თუ ვართ სხვა მხარეს,
მაშ, მოდით, თესლის მთესველნო, ავამუშავოთ გუთანი,
ჯიშიც ქართული ვახაროთ, და არა უცხო სულთანის
წინაპართ, რაც დაგვილოცეს, ჩვენ მივიტანოთ გულთან ის,
არასდროს არ დავეწაფოთ, უგულოსა და მუქთად ქმნილს,
შრომით და ოფლით იქმნება, რაც ლამაზია, კარგია
ათასი ვერსით იქეთა... ჩვენ, სახლში არად გვარგია,
ჩვენ, ჩვენი ვქსოვოთ გულითა, აბრეშუმისა ქარტია
შევირგოთ ღვთისგან ნაბოძი, ზეცით ნაძერწი კვართია!

გჯეროდეს

გვყავდა გიორგი, გვყავდა არსენა
გვყავდა დემეტრე! დავითი!კახი
ხალხმა გმირები თუ არ ახსენა
მაშინ, ვინ არის?! ასეთი ხალხი.
ხალხი ძალაა, ყველაფრის შემძლე,
პოტენციური გმირი ყოველი,
თუ ახლავს ღმერთი, მას ყოვლადშემწე
აბა, არ არის გმირი, რომელი.
ოღონდ გინდოდეს, ოღონდ გინდოდეს,
სულით და გულით, იყო ჩამრთველი
ნავს შენ გაიყვან ყოველთვის კბოდეს
რადგან შენა ხარ, ჯიშით, ქართველი,
თუ ხარ ქართველი, უკვე ხარ გმირი
და არ მოტყუვდე, ნუღარ შეცბები,
რაც მტერმა ჩუმად აგკიდა ჭირი
ყველას გადაყრი, თუ შეეცდები,
რწმენით თუ ქენი, გაჭრის „რაპირა“
მტერს შეესობა ვით ძალაყინი
და მან გაქცევა, თუ დააპირა
გჯეროდეს, მისი ფეხის გაყინვის.
... ოღონდ ქართველო, ქართულს მღეროდე,
შენ გიცხონდება სული, გჯეროდეს!

ვერას გეგმავდე

იყო მშიერი, ტკივილია ძალიან დიდი
უფრო მძიმეა, როს არ გამჩნევს ამას არავინ,
არვის სწყურია, რომ გადასდოს შენს გულთან ხიდი
ან აგიშენოს ნუგეშისგან თბილი კარავი.
აფსუს, ვარ ცოდო, მეშიმშილა მიჯობდა ბევრჯერ,
არ მესვა წყალიც, სამუდამოდ გამეხმო კუჭი,
ჩემმა სინდისმა ვერ გაუძლო რამდენიც ვქეჯნე,
რადგან სიცოცხლე ლტოლვილისა, ყოფილა ფუჭი.
საწყალიაო, იქნება თქვას ვინმემ შორიდან
და გადმოგხედოს წყალწაღებულს, ხავსმოკიდებულს,
არ გაიმეტოს მან ხურდაც კი, მის „ობშორიდან“
რომ არ მიაკლდეს მრგვალ თანხამდე, ვინმე „დიდებულს“,
„დიდებულს“ აქ და იქ ჯოჯოხეთად მზად განსათესლელს,
სულაც არ ტკივა, იმ ტკივილით, რაც მე მაწუხებს,
ის კი, პირიქით, კანსაც აცლის სიკეთის მთესველს
და ყელზე აჭერს, უსაშინლეს, მძიმე მარწუხებს,
...ოხ, რა ძნელია,ამ ყველაფერს ცხადად ხედავდე
იყო სოფელში და ყოფისათვის ვერას გეგმავდე!

ლოცვად ვაქციოთ

ტკიოდა ტატოს, ტკიოდა გალას,
ტკიოდა დიდთა წინაპართ სულებს,
მიკვირს ეს გული, ვით უძლებს ამას
ამ უსამართლო მოქცევებს ულევს.
დაბურულ ტატნობს... უგულო ღალატს
ჩამტვრევებს ხიდთა... მეზობლებს მტრულებს
კაცი ჩაგრული, რომ ვერ ვგრძნობ ძალას,
არ სკდება გული და კიდევ უძლებს.
დიახ! ბევრია ნეგატიური,
სწორედ ასეთ ბედს ებრძოდა ტატო.
როცა გამოვა დათვი ტყიური
და დაგიბურავს ტატნობზე მნათობს.
თუმცა, ჩვენ ვრჩებით სიმპატიური.
და ყველა ჩვენით, დატკბობას ნატრობს
მადლი, რომ დაგვყვა, ღვთისგან მზიური,
ჩვენს გულებს, ჩაგრულს, მალულად ათბობს.
მოვდივართ, რადგან დასაბამიდან
დღემდე ვართ... გაქრნენ დიადემები,
ბევრჯერ გადავრჩით ყელსაბამიდან,
ირგვლივ ამოწყდნენ ბაყბაყ-დევები.
ჩვენ ღმერთი გვმწყემსავს, თვით აკვანიდან
დღესაც უკუღმართ ბედსა შევებით.
... ხოდა ზენას ვსცეთ, კვლავ თაყვანი და
ლოცვად ვაქციოთ ჩვენი ჩვევები!

ვინც გახადოს ვაჟკაცური

გახსოვდეს, რომ ძმაო ძმისთვის, თუ ტყუილად იჭაგრები
მაშინ ღმერთი არ გფარველობს, სატანისგან იჩაგრები,
მისი სისხლის ბოლო წვეთიც, ძმამ გაიღოს ძმისთვის უნდა
მაშინ იცავს ანგელოზნი, თვით ღმერთია მასთან მუდამ.
სამწუხარო სურათი გვაქვს, მოდაშია დღეს ღალატი
მიწაში ვდებთ, რაც უფალმა, დაგვირიგა ჩვენ ტალანტი,
„რასაც გასცემ შენია"-ო, დაგვარიგა ბრძენმა ჩვენმა
სულის გადამრჩენიაო, დაამატა მონამ თქვენმა.
თვით ხორციელ ძმასთან ერთად, გიყვარდესო სულიერი
ბოლო ლუკმაც მას გაუყო, შენ, რომ მოკვდე მთლად მშიერი,
სხვა იმ მრავალ სიკეთისგან, გამოტოვო თუგინდ ერთიც
სრულყოფილი აღარა ხარ, და გიწყრება ჯერაც ღმერთი.
ავზე ფიქრიც არ დავუშვათ, სულისაა დამღუპველი
გაუკეთო კაცს ის უნდა, შენ მაგისგან რასაც ელი.
თუ მტერია, შენებს ესვრის!.. არ დაზოგო მისთვის ტყვია,
ვინმემ გითხრას აქ სცოდავო, ეს მას ცუდად შეუტყვია.
ის ვინც იცავს თავის სახლ-კარს და მოყვასის ცოლს და შვილსა,
მისთვის ღმერთი ედემ ბაღში, კარებს მუდამ ფართედ შლისა,
ძმა ძმისთვის და მეგობრისთვის, თუ კი მოკვდა მეგობარი
იქ მას ზენა ფრთებს ასხამს და აქ მას ტირის მთაც და ბარიც.
სიკეთის მთესს, უკვდავების, სული ერგო თავად წილად,
გაღატაკდა აქ ვინც ჩვენთვის, ღმერთმა იცნო თავის შვილად.
... რაც გვირჩია ზენამ ის ვქნათ, დავივიწყოთ ძმებო შური,
ეს სიცოცხლეც მას მივანდოთ, ვინც გახადოს ვაჟკაცური!

გვეცვას ფარაჯა

შორიდან რაზე შემოვყვე, როცა
პირდაპირ მინდა გითხრა სათქმელი,
გაითავისე რაც ღმერთმა მოგცა
გახსოვდეს მუდამ, რომ ხარ ქართველი,
რომ ხარ ქართველი, ნათლული ღვთისა
ძალა გაქვს წყლისა, მოსულის მთიდან
ვერ შეგაშინებს შენ წვეთი ზღვისა
თავად ზღვა არის, თვით, შენთვის ციდა
შენგან ქართ ველით... და ველით გრიგალს,
ეშმას კლანჭები წალეკოს რათა
გვამწყვდიეს სადაც, შეუნთოს იმ რკალს
სიყვარულს უხმოს... სალხენად ძმათა.
იმ სიყვარულით გვეცხოვროს მარად
რაც ღმერთადაა დღემდე ქებული
მონობისათვის გვეთქვას, ჩვენ, კმარა
ღვთისა შვილებად, სახელდებულის.
... ვადიდოთ ღმერთი, ჩვენია წესი
მშვიდობის ვიყოთ მუდამ დარაჯად
გულზე მოვირგოთ მისია ძესი
და სულიერი გვეცვას ფარაჯა!

დაფიქრდი... მაინც

ხარობდეს გული, თუ გინდა შენი
კარგად დაფიქრდი და კითხე შენს თავს
სხვამ, რომ იხაროს მისთვის რა ქენი
რა ქენი მისთვის... კაცი, რომ გერქვას.
ხელგამოწვდილი, რომ ნახე კაცი
თუ ჩაუდევი მას ხელში ხურდა,
ვალგადაუხდელს სუნთავას თუ აცდი
თუ დაედები მას გულზე ხუნდად.
და პატიებას, რომ ითხოვ მაშინ
სხვას თუ დაუთმე, შენ ოდეს, რამე,
სული, რომ გინდა ავიდეს ცაში
თუ გაუთენე შენ ვინმეს ღამე,
თუ არაფერი არ გააკეთე,
აღარ გაწუხებს სინდისი მაინც
"ძმაო" სატანას ამით აღმერთებ.
და სულს უმზადებ უკუღმართ დაისს.
... დაფიქრდი... მაინც, დაფიქრდი... მაინც,
ეგება ღირდეს, ეძებდე ხალისს!

ნუ იქნებით მარტო

ჩიტმაც, როცა სიყვარული, ჩვენზე კარგად იცის
მეთანგება მე ეს გული და არ მჭერა ფიცის,
ცრემლი თვალებს მოსწვდომია, ორგულობის მნახველს,
გული გულის, რომ მდომია!.. ვინ აუხსნას ქართველს.
სიძულვილის ენით ბჭობას, შეგვაჩვიეს მტრებმა
ფეხქვეშ ვთელავთ ჩვენ ძმურ გრძნობას, რომ იხარონ სხვებმა.
იქნებ ვნახოთ! ვით ექცევა, მტრედს მშვიდობის მტრედი,
მოვახერხოთ ჩვენც მოქცევა, არ ვამღეროთ გედი.
სიყვარულით შეკვრის ძალას, ჩვენ მოუხმოთ ისევ
მწამს ერთობით, ქარბორბალას, შევაჩერებთ მყისვე,
ნავს, ვერავინ, წინ ვერ გასწევს, ერთი ნიჩბის ქნევით
ერთი ძრავით თვითმფრინავი, არ დაფრინავს ზევით.
თუ გინდა, რომ მარტო ჩანდე, საჭეს ეჭდე ერთი
გვერდით მაინც უნდა გყავდეს, შენ მფარველად ღმერთი,
უღმერთოდ და უმეგობროდ, წინ ვერ წასწევ საქმეს,
ხალხს ნუ ჩათვლი, მთლად, უვიც ბრბოდ! ის შოლტს კარგად აქნევს.
მტერთან როგორ იკონტაქტებ, თუ ვერ უგებ მოყვასს,
ან რას ეტყვი იმ ოსტატებს, შენს საჭესთან მომყვანს,
რაზე უნდა დაეჭიდო, ორის ზომა ტვირთებს
არ ჯობს?.. ძმასთან იყო მჭიდროდ, ზღვის სერავდეთ ზვირთებს.
ვუღაცას სურს, რომ ვემსგავსოთ, ცალუღელა ურემს
მწამს მტერია, ის უმსგავსო, ტვინს ცალსახად ურევს.
... ნუ იქნებით ძმებო მარტო! და მოუხმეთ ღმერთსა,
გემრიელად ჰური, რა დროს... უჭამია ერთსა!

ყურმა ისმინოს

დაპატარავდე და დამდაბლდე უნდა!.. თუ გინდა
რომ გაეტიო უფლის გზაზე, თვით ნემსის ხვრელში
სული გაფილტრო, წყაროსავით, გახადო წმინდა
კაცის სახელი დაიმკვიდრო, საკუთარ ერში,
არ ადვილია, უარყოფა, უარყოფისა
როცა ხარ მატლი, სულ სამი დღით, პეპლად ნაქცევი
რაც შეიძლება, მალე დატკბე უნდა ყოფისგან,
რადგან იმ პირველ მატლადა ხარ, კვლავ გადამქცევი.
ეს კანონია თვით ბუნების მარადიულის
მიწით მოსული კვლავ მიწაში უნდა დაბრუნდეს,
მამა ზეცისა პატრონია უკვდავი სულის,
ამას ვერ შეცვლი, რომც ქვეყანა მთლად გადაბრუნდეს,
ვიცით ასეა: მიწა შეყრის ბუმბერაზს, ჩვილთან
და გასწორდება ყოველივე, იმ ერთ სიბრტყეში,
მამა ეცდება შეგებებას, თვით, უძღებ შვილთან
თუ წონადობა განათავსებს, მათ ერთ სივრცეში,
მაინც ვაგროვებთ, წონადს, ქონს და თვით ოქრო-ვერცხლსა,
რათა დავმძიმდეთ, შიგ უფსკრულში ჩავეშვათ მძიმედ
სულებს ჩვენს უკდავთ, წავუკიდებთ სატანჯველ ცეცხლსა
და გადავაქცევთ ჩვენს ცხოვრებას, დაბურულ მღვიმედ.
... ბევრი არიგა თვით უფალმა, ჩვენთვის რჩევანი
ყურმა ისმინოს და აკეთოს, მან - არჩევანი!

ლტოლვილის ნატვრა

მომინდა: ვიყო მზის სხივი,
დავრბოდე თუნდ მის სიჩქარით
და ვინც სამშობლოს მისტირის
ყველას შევაღო ჭიშკარი,
მივესათუთო ლტოლვილებს
გავუთბო გულის ფიცარი,
საფიცარს გადაყოლილებს
ვაგემო ტკბილი სიზმარი,
და ნოეს კიდობანივით
ვესწრაფო შეკვრას ხომალდის,
ღვთისგან მოვიღო გზავნილი
ყველას შიგ ჩასმა მომმადლო,
გზას შევუყენო შინისკენ
კერიას მოწყვეტილები,
რომ სატანჯველზე, მძიმისგან
დაესვას, მათ, წერტილები.
შენ, გევედრები უფალო,
ცხადმიყავ ერთი ზღაპარიც
მსურს თბილად გადავაფარო
ღირს, ღირსი თავშესაფარი,
მზის სიმხურვალე ვით ტოკავს
შევიჭრა იმათ საკანში,
ვინც ასე აგვაწიოკა
სულის მოგვიწყო განგაში,
ამოვწვა სულაც ავსული
ვასიამოვნო ჩაგრულებს
და მერე კოსმოსს ასული.
ვუსმინო ქართულ "ჩაკრულებს“!

ხმათა ჯარი

მას მიანდე შენ სიცოცხლე, ხიზანი
მარტო შენი?შენი მოყვასისაც
შეისრულა ამით, იმან მიზანი
გიფიქრია? თქვენთვის რაღას იზამს.
შეგიძლია, რომ მოსთხოვო იმას
აგისრულოს საუკუნო სურვილი
შენ,ცხოვრებას, რომ ეწევი ხიზანს
დაგიოკოს სახლში მისვლის წყურვილი.
ხმა მიეცი... და გახადე კაცი,
სავარძელი დაიმშვენოს დიდი,
დააკვირდი, რაღას იზამს აწი
არ გამოდგეს ის მორიგი ფლიდი.
დააკვირდი, თუ დაიწყო კეთება
იმის, რასაც გპირდებოდა გუშინ
თუ არა, და შენი სულისკვეთება
არ დამარხო სულ ბოლომდის გულში.
დღესვე უთხარ: ჭკუას უხმე ძმაო
გააკეთე, რაც დამპირდი იგი
საქმე ითხოვს, რომ დაიწყოს ძვრაო
დაიწყე და სულ ბოლომდის მიდი.
დაგიჭერა? დაუდექი გვერდით
და იშრომე დღე და ღამე შენაც
ყველამ, რომ ქნას თავიანთი ხვედრი
მაშინ, ზუსტად, გადმოგვხედავს ზენაც.
თუ არ იწყებს იძინეო გითხრა
გადაიდე ძმაო, მხრებზე ჯვარი,
ნუ მოითმენ ორპირობას დიდხანს
მიუსიე მაშინ, ხმათა ჯარი!

ათავისუფლეთ თავი

თეთრი თუ შავი... შავი თუ თეთრი
თუ ჭრელი გვინდა ისევ ცხოვრება
დღეს გადაგვიწყვეტს ამას თვით ღმერთი,
რამეთუ გვეყო მისთვის გონება.
ჯერ ხელთ გვიპყრია ჩვენივე ბედი,
აღარ ვაქციოთ ოქრო კვლავ რკინად,
დაე! იმათთვის ამღერდეს გედი
ვინაც გაგვწირა, ჩვენ, გასაყინად
ვინც ვერ შეიშნო გული ქართველთა
ქვეწარმავლივით ხოხვით ამცირა,
დღეს თუ მარილი აღარ განელდა
ჩათვალეთ მაშინ ღმერთმა გაგვწირა.
თუ მოვიმზადეთ ყულუფი ჩვენთვის
ჩვენვე გავყავით, იქ, თავი ჩვენი
იქ სადაც თერგი არაგვსა ერთვის
დაგვეწერება ჩვენ განაჩენი.
მეორედ მოსვლა გვიშველის მხოლოდ
თუ არ ვუშველეთ ჩვენს თავსა დღესვე,
მოგვეთხოვება პასუხი ბოლოს
რაც გვანდო ღმერთმა, თუკი ვერ ვწყემსეთ.
..... გააზრებულად მიდით ურნასთან
ათავისუფლეთ თავი ურვასგან!

ცრემლი ჩამოსდის

საქართველოში მარანი
არ დაიცლება არაოდეს,
მარტო ეს არის საკმარი
რომ მას მსოფლიო ყვარობდეს,
საკმარია.... კიდევაც
ყვარობს მსოფლიო მას მთელი,
თუმცა ქართველო, შენ ჯერაც
ვერ ხარ ნამდვილი ქართველი,
რადგან თუ ვინმე ღალატობს
ჩვენს მიწასა და წყალსაო,
თუ ვინმე ჩვენში ჯალათობს
ვერ სცდება ჩვენსვე თავსაო.
შიგნიდან ტყდება კარები
ჩვენი ციხის და სიმაგრის,
გვიან რეკავენ ზარები
დამაფრხობელი სიზმარის,
გვძინავს და ლამაზ სიზმრებში
თავი სამოთხედ გვგონია,
სინამდვილეში მის დღეში
ბედი არასდროს გვქონია,
ყოველთვის გყავდა გამცემი
თვისი რჯულის და ჯილაგის,
ისმოდა თავზარდამცემი
ამორალობა პირადის.
... გამოიღვიძე ქართველო,
შეირგე უფლის სამოსი.
პარაფინი რომ სანთელობს,
ღვთის დედას ცრემლი ჩამოსდის!

ამყოფე უკეთ

იყო კაცი და შვრებოდე ვერას
შენი ხალხის და ქვეყნის წინაშე,
დაუკორტნია ხომ გული ძერას
თითქოს მარილი გულზე მიგაფშვნეს.
განცდაც არ მინდა, სულაც ამისი
რაღაც, რომ შევქმნა, შევთხოვ განგებას,
არ მინდა მეტჯერ გვქონდეს კრწანისი,
მშვიდობის ხიდის ვცდილობ გადებას.
ყველამ იმყოფოს, რაც მისცა ზენამ
არ შეერგება, აროს, სხვას სხვისი
არ შევასწრებ მე ფოთოლცვენას
ნედლკვირტებიანს, თვეში მაისის.
ხვალინდელ დღეს ნუ შეასწრებს, ღმერთი
ვისაც სურს სხვისი ამწაროს დედა,
იქ სადაც თერგი არაგვსა ერთვის,
მეორედ მოსვლის ნიშნულსა ვხედავ.
... მოდი უფალო! ვიღლებით უკვე,
ძალა შეგვმატე ახლინდებური,
ხალხი ამყოფე იმაზე უკეთ
ვიდრე აქვთ, მაგათ ჩაფიქრებული!

ღვთისგან ნაბოძი ნოტები

მსურს ინავარდოს მთის წვერზე
არწივმა - მეფემ ფრთოსანთა
და ამირანის ძველ მითზე
ნოტი აღეძრათ მგოსანთა.
უმღეროს ყველამ იმ ძალას
სიკეთის, რომ არს მთესველი
სიმართლე თავს ვერ დამალავს,
ვერას დააკლებს მკრეხელი.
მწამს კვლავ აყვავდეს ქვეყანა
გალობის გვქონდეს ხალისი,
თუ ბრძნულ ტაძარში შეყვანად
მართალთა ვარგეთ ხმა თვისი.
ასჯერ დაფიქრდი ქართველო
და ბოლოს ერთხელ გაჯერი,
გაქვს შანსი ფეხქვეშ გათელო
ფეხის ჭრილობით დამჭერი.
აჰა, ხელთა გაქვს მინდორი
ბურთიც აქვეა- კარიცა
მათ აუჟღერე მინორი
ვინც ძილით გული დაცრიცა.
სიმართლეს ვინც არ გაშორა
ნორჩი ახარა ტოტები,
მას აუჟღერე მაჟორად
ღვთისგან ნაბოძი ნოტები!

ძლივს ვახერხებთ თავის რჩენას

მრავალ წელს ვარ ნაცხოვრები ამ მიწაზე
ბევრი ჭირი, ჯერ ჩემი და სხვისიც ვნახე,
ხშირად ჭკუა მისწავლია, ალბათ სხვაზე
რადგან ჩემში მოვიძიე, ვერ მოვნახე
როცა ფიქრობ, ბევრი იცი, მაშინ თურმე
ჩიტმაც იცის, ცაში მფრენმა, შენზე მეტი,
ჭკუას ვსწავლობთ, გადვაბრუნებთ, როცა ურმებს,
მანამდე კი ვფიქრობთ, ვიცით ჩვენ ზედმეტი.
რა ცოტაა, თურმე მაინც, ბევრის ცოდნა,
ბევრი იცი? თუ გონია იცი რამე
ბევრი, ალბათ, თუ გექნება მარტო ცოდვა,
რადგან მაგას ჩვენ ვაგროვებთ დღე და ღამე.
ხან ვერ ვხვდებით გადვიფერთხოთ თუნდაც მხრები,
რაც შეგვაწყვეს ან შევიწყვეთ თავად მედგრად,
ღმერთის „გვჯერა“, სატანისკენ კი ვიხრებით
თავს მივიჩნევთ, თვით ღვთისმშობლის, ჩვენ წილხვედრად.
ერთი მოგვცა დარიგება და ვერ ვქენით,
არ გვეჯამა ის ნაყოფი, მაცდურ ხიდან
და ბუნება სამიწეთად გარდავქმენით
მოსულებმა ანგელოზთა ოჯახიდან,
სად ვეძებოთ, ამის შემდეგ, ჭკუა ჩვენი
მე ვერ ვნახე, თქვენ თუ ხედავთ, მომილოცავს,
ამიტომაც კვლავ ერთია განაჩენი
კაცის მოდგმა, თვით მატლივით, მიწავ ცოცავს.
... როს გვგონია მივაღწიეთ აღმაფრენას
ძლივს ვახერხებთ, ამ მიწაზე თავის რჩენას!

პირიქითობის ეფექტი

მე შენთვის ვიწვი მკითხველო
სხვა არ მაქვს რამე მიზანი,
შენთვის, ქართველო ძირძველო,
ვაძგერო გული ხიზანი.
ბევრი ეცადა მტანჯველი
რომ გავერიყე მთლიანად,
შორს მაინც ვრჩები ქართველი
გულმკვდარი და სულწყლიანად.
ვერ ამოძირკვეს გულიდან
ქართული სულის ხატება,
თუმც ბევრი დამდეს წყლული და
მიბნელეს თვალთა ნათება.
უფრო გამძაფრდა ჯირითით
მშობლიურისა წყურვილი,
და გაათასკეცდა პირიქით,
სიკეთის თესვის სურვილი.
მწამს ყველა ქართველს თან ახლავს
ნოსტალგიური ტკივილი,
მშობლიურ საზღვარს, რომ გახვალ
სულის გეწყება კივილი.
იკივლე სულო ქართულო,
ხმა შეასმინე ზენასა,
ზეცად გუგუნებს „ჩაკრულო“
სულიც იქ ხედავს ლხენასა.
... შენ კი, იტირე მტრის გულო,
გაქვს სულის დიდი დეფექტი,
ჩვენს გატეხვაში იგულო
პირიქითობის ეფექტი!

ნათელო შვილო

ღმერთო, ჩვენ ვსცადეთ სხვა მახე
რაც გულში ბევრჯერ დაგვიჭრეს და
ნათელი შვილი გვანახე,
სამართავ გემის საჭესთან,
ხამს ლიბერალი გამოდგეს
ღრმა სიყვარულის მსახველად,
ერის წინაშე წარმოდგეს
ღვთისგან, მთლად, პირველ ქართველად,
წმიდა შალვას ვსთხოვ: ეახლოს
და გვიმეოხოს ზენასთან
კაცის სეხნია გვანახოს
სამშობლოს მართვის სცენასთან.
შემოიკრიბოს ირგვლივ მან
ხალხიც, გონება ნათელი,
მტერი შეიპყროს სიკვდილმან,
როს ნახოს მისი დამფვლელი,
გიხმობს შალვა, შენ ელიზბარ
ბიძინა დაასვენეო,
მტრებს ჯოჯოხეთი ელის და
შენც მალე გაასვენეო,
გიხმობთ შალვა და ელიზბარ
აგვინთოთ ეგებ სანთელი,
გვაღირსოთ კვლავაც ჩვენც მზის დარს
გვირაბშიც ვპოვოთ ნათელი.
... ნათელო შვილო! ნათელო,
ეგებ გვილხინო ჩვენც ციდა
დაჭრილი გული ამრთელო
ღმერთმა გიბოძოს ზეციდან!

ივიწყებ კაცურ ბუნებას

ხელისუფალო, ძალაუფლება
ვისგან და რისთვის მოგცეს? თუ იცი
შენ რად მონათლე, ყოვლის უფლებად
რად დაარღვიე კაცური ფიცი.
ან რად შერაცხე, ხელის უფლება
ძალაუფლებად ოქროს და ვერცხლის.
ვერ ატყობ? ეშმა ვით გეუფლება
აგონიაში ვარდები ცეცხლის
ანგელოზები ყველაფერს ხედავს
უკვე დაგშორდნენ და არ გიცავენ.
შენ უღალატე შენს მშობელ დედას
და დაგეუფლა მტერი იმწამსვე
მან დაგავიწყა, რომ შენც ხარ კაცი
ვეღარ ქცეულხარ, თუმც ფიქრობ, ღმერთად.
ხარ მრავალ ცხვარში, უბრალო ვაცი
მზა შესაწირი, იმ ერთადერთთან,
მოიკუნტრუშე ახლა თავი და
თვალი შეავლე, რამდენი სცოდე.
შენ მალე გიხმობს იქ უფალი და
მზადა აქვს შენი ნავისთვის კბოდე,
გონზე მოეგე, ძალის უფალო
ვერცხლის უფლებად თავმონათლულო,
სინდისისაგან თავისუფალო
ეშმაკისაგან თვისად ნათლულო.
...შენ! კაცმა მოგცა ხელისუფლება
შენ კი ივიწყებ კაცურ ბუნებას!

ტრფობის შემქნელი

ვით ქარბორბალა დაახვევს, მიწით აღგავოს მტვერიო
მოგვმადლე ღმერთო,თან ახდლეს, კუდს იძუებდეს მტერიო,
ჩვენი საზღვრები განახლდეს, შვებას მიეცეს ერიო
მიწის ჯურღმულში განსახლდეს, ვინც მოღალატე გვერიოს,
კაცი კაცსა არ ინდობდეს, ჩვენი არ არის, სხვისია
ჩვენ სიყვარული გვინდოდეს, ზენავ,გაგვხადე ღირსია
ვინც ჩვენს მიწაზე ვიდოდეს, მიეცეს მოყვრის მისია,
გაჰყვეს გრიგალსა, ვინც ოდეს, ჩვენ მტერი შემოგვისია,
კლდეს, რამაც მიასადაგა, წყვეტდეს ჯაჭვებსა დევგმირი
ლხინი გვიქციოს ფარდაგად, და შორს გვაშოროს ჩვენ ჭირი.
თავი მათ იგრძნონ მთლად კარგად, ვინც თავის სახლ-კარს შესტირის...
ლექსს დავეწაფოთ ჩვენ მარდად, რუსთველისას და შექსპირის.
ვარდად ყვაოდეს კულტურა, გული გულობდეს ქართული,
ძაღლი არ გვექცეს კვლავ ტურად, ვიყოთ ძმობაში ჩაფლული,
კაცს ვექცეოდეთ კაცურად, როგორც ნათლიას ნათლული
ვინც იქცეოდეს მაცდურად, მწრაფლ იყოს მიწად ჩაფლული,
ჩვენ ყველამ ვიცით სიკეთე, არს ჰაერივით საჭირო
ვინც სიკეთესა გვიკეთებს, მას ვენდოთ და არ ვაჭირვოთ,
ვინც სახლს ქვიშაზე იკეთებს, თავის თავს ვნებს და ვამპირობს,
თავი ვარიდოთ მათ კეთრებს, კარგი კარგს ვაპირდაპიროთ.
... როცა გვიხილავს უფალი, სიკეთის, რომ ვართ მთესველი
მჯერა გვაშოროს გულს ალი, მტერს გაუთხაროს ქვესკნელი,
ცრემლი შეგვაშროს კვირცხალი, კვლავ გაგვინათოს ჩვენ ბნელი
არ დაგვიკარგოს მისხალიც, გულს ალი, ტრფობის შემქნელი!

ღვთისგან ქებულნი

გაქვს განსაცდელი? ღმერთს ჰყვარებიხარ
იღწვის, გაგიწვრთნას სული ბოლობდე
შენც მას, ბოლომდე, მიბარებიხარ
დროა სატანა, შენზე გლოვობდეს.
რადგან უფალმა, მისთვის გიშვილა
შენ სატანისთვის მოკვდი მთლიანად
უკვე ავისთვის, არ ხარ შიშველა
ღვთისა გამხდარხარ სამართლიანად,
თუ კი ღვთისა ვარ... რატომ ვწვალობო,
ლოგიკურია შენგან შეკითხვაც,
ღვინო სვა პურთან... არ იგალობო,
რატომ არ ელი მისგან შერისხვას.
მეტი ითმინე?!.. მიიღე მეტიც
თითქოს ორპირსა, ჩვენ ამით გვლესავს
წარმოიდგინე, რას ითმენს ღმერთი
უკულმართობას, რომ ხედავს ჩვენსას,
როს ხედავს ჩვენში ცუდ მინაერთებს
გვხეხავს და გვწმინდავს, ჩვენ ვგრძნობთ წვალებას
ჩვენს სულებს, თავის სულთან აერთებს
ასე განვიცდით ფერისცვალებას.
... ასეთნაირად მომზადებულნი
ზეცად გავხდებით, ღვთისგან ქებულნი!

გამყიდველი

ქროდა ქარი
ეშაფოტზე
ვერ აჰყავდათ
პატიმარი!
ჩიტი იჯდა
მაინც ტოტზე
არ დახტოდა
იყო „წყნარი“.
ჩადგა ქარი
პატიმარიც
ჩამოკიდეს
უკვე თოკზე
ის ჩიტი კი
ვითომ წყნარი
კი გადახტა
სულ სხვა ტოტზე.
უცდიდაო
თითქოს იმას
თუ დასჯიდნენ
პატიმარსა
და დარწმუნდა
როგორც იმ წამს
კი მიჰყიდა
სული სხვასა.

მოგვანიჭებს აღმაფრენას

ბევრის წერა აღარ მინდა, ცოტა მინდა ვწერო
რაც უფალმა მომცა წმინდად, სულში ჩავიწერო
მერე ტკბილად, ძაან მშვიდად, თქვენთვის ავაჟღერო
მოგეწონათ თუ კი დიდად ჰანგად ავამღერო,
ის, რაც უნდა გითხრათ აწი და რაც მითქვამს ადრე
წარმოადგენს სიტყვის ნაწილს, რაც ამჟღავნებს კადრებს
კადრებს მყოფთა ჩრდილში, ღვაწლი, ვისიც თრგუნავს ვარდებს
აფერადებს შავად ანწლით და ზედ ანთხევს დარდებს,
მე ირიბად, მაგრამ ზუსტად, გადმოგაწვდით სათქმელს
თუ გზად შუქი დამისუსტდა, თქვენც აუნთებთ სანთელს,
დაფარული ცოდვა მუდამ, გულებს უღრნის დამფვლელს,
ჩვენ ვამხილოთ იგი უნდა, და გადავცეთ დამთვლელს,
... ის კი! განსჯის სწორად ყველას და მიუჩენს ადგილს
მისაწვდომად გახდის შველას, უმთავრესად ადვილს
დაუკარგავს ნაღდად ენას, ავის თქმისა წადილს
მოგვანიჭებს აღმაფრენას, ზეციურს და ნამდვილს!

როდის დავცალოთ

კვერთხი გეჭიროს ხელში და
აღარ იქნევდე შველისთვის,
ეს ღალატია, ჯერ შიდა
მერე, შემყურეთ ხელისთვის,
გადადო კვერთხი გვერდით და
სხვას მისცე ქნევის უფლება
ნუთუ იმდენი ვერ ღირს და
არჩეულ ხელს არ უხდება.
ნუთუ კარგია, თოჯინას
მარიონეტად გმართავდნენ,
და იარაღის მობჯენას
უბოდიშოდაც მართავდნენ,
არ გვაპატიებს მას ღმერთი,
მეფედ დავისვათ ასეთი
ქვეყნად ვერ ვნახოთ არც ერთი
ხმალი ეჭიროს სპასპეტის,
ხმალი ეჭიროს საკვეთად
და მოსაკვეთად ულირსის.
ასრულოს ღმერთის დაკვეთა
სრულყოს მისია მან თვისი.
... ეჰ! მეფეთ-მეფევ, მაღალო,
უნდა ითმინო როდემდის,
როდის გვეღირსოს დავცალოთ
ჩვენ, კიდობანი ცოდვების!

რად არ ვიქეცით ხალისად

ხანდახან ისიც არ მოგვწონს
მზე, რომ ანათებს „ზედმეტად“
მიწისას ვწუნობთ ყველა ტონს
სანამ ვიქეცით თვით ბელტად.
ძნელია კაცს, რომ გაუგო
რა მოსწონდეს და რა არა,
გული სუფრად, რომ დაუგო
ზოგისთვის ეგიც არ კმარა.
კაცნი ვართ, ხასიათი გვაქვს
გასაგებია ბატონო,
ეგებ სხვას ჩვენზე მეტი აქვს
ჰე! მაშინ, როგორ დავწონოთ.
დავკმაყოფილდეთ ეგებ მით
რაც წილად გვერგო ზეცისგან,
თვალთმხედი, ჩლუნგი გონებით
რით ვამჯობინო ბეცისგან.
არ გვშვენის სხვების განკითხვა
არც თავის თავის ღალატი
ღმერთი არასდროს არ გვკითხავს
რამდენი მოგვცეს ტალანტი.
ის, რაც მოგვეცა, ჩვენია
ვუფრთხილდეთ, რომ არ წაგვართვან,
ჩვენ სულაც ის დაგვრჩენია
სული წარწყმედას წავართვათ.
... მადლობა უფალს! მზე ათბობს
მიწა დაგვეგო ხალიჩად,
ყურს ტკბილი ჰანგი თუ ართობს
რად არ ვიქეცით ხალისად!

ღვთისგან მოგსდევს

სიტყვის მთქმელი ხატოვანად, მე მელექსედ მომინათლავს
ვისაც გული გულად უდევს, სიყვარული შიგნით ახლავს,
ის აზრების ღრმა სიუხვით, კონებს წნავს და არა ხლართავს
მთლად უცხოა მისთვის შური, ვერ ახერხებს მასთან ჩართვას.
როცა ვნახავ სიტყვას ლექსად, მეფიქრება გამლექსავის
ხომ არ ქონდა გულში ნაღმი, აზრთა მწარედ ამლესავი,
როს გაქრება ეჭვი სულში, სიმახინჯის დამლექავი,
ვენაცვლები კაკალგულში, შემამკობელს გულთა ქარვით.
როს მელექსე გულს ალაღებს, ბწკარი ბწკარზე გადაჰფინოს
სიყვარული შიგ ჩათესოს და ამკობდეს ვით საპფირონს,
ხელთ ნაქარგი სულის თანგი, მან შიგ გულში ჩააფინოს,
და მშვიდობის მტრედი ცაში, წყნარად, მშვიდად ააფრინოს.
სხვაგვარად ვსთქვა, მელექსობა, ზეცისაა ზენა ცვარი
და მას სულის დასანამად,სულ ღია აქვს გულის კარი.
მერე ისმის იმ გულიდან, ვით ლაღობდეს შიგნით ქნარი
გადმოაფრქვევს ჰანგებს იგი და იხშობა შიგა ბზარი.
სიტყვა ლაღობს კარგისაგან, უკარგესად კარგად თქმული,
რითმა მარდი, მარგალიტად, ყურისათვის ყურად სხმული.
აზრი სხლარტი, საზრიანი, გულისათვის გულად ბმული,
უნდა იყვე მთლად უსულო, რომ არ დატკბეს სულად სული.
ეჰ! მელექსევ შენს მაგ სათქმელს, რა გამოლევს ანდა როდეს
ღმერთს ვთხოვ სიტყვა დაგიამოს, თუმც მყოფადი მყიფე მოგდევს,
შეჭირვებულ გულს უფხანო, სიტყვის ძალით, შენ გამოგსდეს
დანათლულად ღვთისგან მოგსდევს, არ მიაგდო ნავი კბოდეს!

გადაგიხდის სიყვარულით

თუ არ შვრები საქმეს გულით,
შიგ სული არ ჩააქსოვე
არ გამოვა იგი სრული
ეგი კარგად დაიხსომე.
ზეზეულად თუ აკეთებ
საკეთებელს გულიანად
თუ დასათეს, შენს ნაკვეთებს
არ დათესავ სულ მთლიანად,
ან დააკლებ თესლსა კვალში,
არღარ ჩადებ შიგნით ნაკელს
შენს სინდისთან რჩები ვალში,
მოსავალსაც იღებ ნაკლებს.
აღარ გყოფნის ჯამში სულაც
რაც შედეგად მოგივიდა
მერე მორთავ იმ წუწუნსაც,
მაგრამ როდის გაგივიდა.
არასოდეს მოწუწუნეს
არ ეძლევა ჭირთა ლხენა
ყველას, ვინც კი იწუწუნებს,
გაუწყრება თავად ზენა
დამჩაგვრელი თავის თავად
თვით ბუნებამ დაამცირა
მან გახადა იგი ავად
და დატოვა სულაც მწირად.
... მორალია მხოლოდ ერთი
რასაც შვრები, ქენი გულით
და მოწყალე, შენი ღმერთი
გადაგიხდის სიყვარულით!

ჯერ უპასუხე

შეუძლებელი არაფერია
თუ მონდომებას ზედ დააყოლებ
არ ნახავ იმას, თუ რა ფერია
შიგ ბუნდოვნებად, რაც ჩაგაყოლეს.
ჩაგიბურუსეს, რაც ცნობიერში
ადვილად იყო, რათა სამართი
შენ ჩაიხედე ქვეცნობიერში
გაგინათდება მით მისამართი.
ჩამოყალიბდი, იფიქრე, წერე,
აღარ გაჩერდე,გაფანტე ბინდი
როცა საწადელს მიაღწევ!.. მერე
ნუ აჩქარდები, ცოტა დამშვიდდი.
ირწმუნე, რომ ხარ შენ ბევრის შემძლე
რადგან თვით ღმერთმა, გაქცია ხატად.
თუ შენს მუსკულებს, გონის თვალს შესძენ,
ადვილად გახდი ცხოვრებას მართვადს.
მართე შენ თვითონ, ნუ გახდი სხვისად
შენი ცხოვრება, შენ მოგენიჭა
აქციე ღამე, ცისკარად მზისა
გაითავისე, ღვთის ნიჭი, ნიჭად.
ვინმე ღმერთია?.. ნუ ფიქრობ მაგას
და შენ ბატონად გეყოლოს ვითომ,
კარგად შეხედე, ზედ, ყოველ მათგანს
ისიც კაცია, მიხვდები თვითონ.
... არ შეუქმნიხარ, შენ მონად ღმერთსა
მან მოგცა ნიჭი, შენც რომ გქონოდა
ჯერ უპასუხე, ჩემს კითხვას ერთსა
ვინ ნახა მამა, შვილს ბატონობდა!

მიჰყევი მშვიდად

ადამიანო! თუ კი მიხვდები
რად მოგცა ღმერთმა თვისი ხატება
შეიგრძნობ წამსვე, როგორ დიდდები
და უამრავის შესძლებ გაგებას.
გაითავისე იმ ნიჭის ქონა
რაც ღმერთმა მოგცა!.. მაშინ გპირდები
რომ შენ მიხვდები: არა ხარ მონა
შენ ღვთის შვილი ხარ!.. მისთვის იზრდები.
მიხვდები, რომ გაქვს შენი მისია
გაჩენილი ხარ დიდი მიზნისთვის
შენი არაა, ტანჯვა!.. სხვისია,
შენ ნუ იმონებ! შენს თავს... იმ სხვისთვის,
თუ დიდი ღმერთის იქნება ნება
ის, იმ სხვასაც კი მოიყვანს გონზე
შენ კი აკეთე, რაც შენ გეხება
დღესვე დაიწყე და გახვალ ფონზე
აღარ გადადო, შენ ის, ხვალისთვის,
რის გაკეთებაც დღეს შეიძლება.
ნუ გახდი ლუკმად, შენ... სატანისთვის
რაც კი, უფალმა შენთვის ინება,
შეირგე შენი დიდი ბუნება
და ღვთისშვილობა შენი გაიგე,
ნუ დაუჯერებ მონურ ცდუნებას
შენი ტალანტი, შენვე აიღე.
... ჰე! მაშინ, ღმერთიც შესძლებს... მამობა
რომ გაგიწიოს და გიცნოს შვილად
შენც არ აყოვნო მისთვის გალობა
და შენს ცხოვრებას მიჰყევი მშვიდად!

მხრები დავფერთხოთ

ქვეყანა, რომლის კულტურა, უხსოვარ დროში დებულა,
ხუთი ათასი წლით ადრე, ქრისტემდე დაბადებულა,
მაღალი ღმერთის ტალანტად, ხალხი ქართველად ქებულა
და არ გაქრობის იმიჯი, სათავიდანვე წყებულა,
არ დავაფასეთ დრო და დრო, მონიჭებული მისია
პასუხსაც გვთხოვდა ეგრეევე, როგორც ცის მამის წესია
თვით ამირანიც მიაბა, თავს არ უხრისო მესიას
გაგვითამამდა მტერიც და ხშირ-ხშირად შემოგვესია,
იმათ პატარა ქვეყანას, პატარ-პატარა წაგლიჯეს,
ათჯერ, თხუთმეტჯერ მეტებმა, ბოლომდე ვეღარ დაგლიჯეს
ღმერთი გვიცავდა მაღალი, თუნდ მტერი გავდა საგიჟეთს.
ბევრს მაინც არ სწამს უფალი, ეგი ცოტათი მაგიჟებს,
დღესაც გვიფარავს გიორგი, თავისი თეთრი მერანით
პირთამდე გაბასრებულნი, მტერი, დაგვიფრთხო ყველანი
მუნ დაგვიყენა დარაჯად, მან ანგელოსნი ზენანი.
რომ ყველაფერი აღვწერო, მთლად ჩამიშრება მელანი,
შევირგოთ, ის რაც ჩვენია, თავად ნუ ვაჩრით სხვას პირში,
ღმერთმა იმად არ გვასახლა, ედემის ბაღის ნაპირში
რომ აღარ გვეყოს ჭკუა და ლოდი მივიღოთ საპფირში
და ვერ ვარჩევდეთ, დღეს კიდევ, კაცს ზე მართალსა ვამპირში,
მოდით, დაფფიქრდეთ ხალხო და ლიდერი ვნახოთ სვიანი
დიდი და ძალგულოვანი, თანამედროვე, ჭკვიანი.
სწორად გაუძღვეს ქვეყანას და დღე გვანახოს მზიანი
შეინდოს, უჭკუობისგან, ვინც მოგვაყენა ზიანი.
... ამით დამთავრდეს ეპოქა, ბილწი და ღალატიანი
ერთად შევგროვდეთ სახლში და მხრები დავფერთხოთ მტრიანი!

საღმა აზრმა იმეფოს

ოხ! როგორ მინდა, ესმოდეს ყველას
გულის, რომელიც დუხჭირს განიცდის
ეშველოს ყველას, ვინც ითხოვს შველას,
რადგან ცხოვრება წამით არ იცდის.
ოხ! როგორ მინდა, დაექცეს ზეცა
კაცს მოღალატეს, დამქცევს თავისის
და იმ დაქცევას, თან ჩავყვე მეცა
თუ ვერ გავეცი ხურდა ხალისით.
ოხ! როგორ მინდა, მიეცეთ შვება
ფეხზე წამოდგეს ყველა ქართველი
მათ დაღონებას, დღეს ვინც კი შვრება
წამღები გახდეს, მათი ნაღველის.
ოხ! როგორ მინდა, განათდეს ყველგან
სწორი გზის ნახოს ყველამ შუქურა,
გალღობა იწყოს ყინულმა შლეგმა
გულს არ ყინავდეს დარდი ჯიქურად.
ოჰ,როგორ მინდა, ოხ, როგორ მინდა,
ის, რასაც ვამბობ, უნდოდეს ყველას,
ქართული სული გაგვიხდეს წმინდა
ძანაც, რომ სურდეთ, ვერ იქცნენ გველად
ეს ჩემზე უკეთ, ბევრს უნდა ალბათ.
ღმერთმა ინებოს, აუხდეთ ნება
კარგის მსურველი არ დარჩეს ცალად
მიტომაც, რაც ვთქვი ღმერთმა ინება.
..... ღმერთმა ინებოს!.. ღმერთმა ინებოს
რომ საღმა აზრმა, ჩვენში იმეფოს!

მოგვევლინა ღვთისმშობელი

ანგელოსმა უთხრა წყნარად
უნაყოფოს, ადრე, ანნას,
„იღო ღმერთმა ლოცვა ანნა
შენგან მისცემს მხსნელს, ქვეყანას“
უდაბნოში, მაშინ მძიმედ
მარხულობდა იოაკიმეც
და ისმენდა ყურში სიმებს
ღვთის შვილებმა, რაც ასმინეს.
"შენი ცოლი შობს ასულსო
და სიხარულს მისცემს ყველას.
ღმერთი დასთესს მასში სულსო,
ვინც აგემებს ხალხებს შველას.
შენც იჩქარე, მიდი მასთან
ოქროს ჭიშკარს მიაშურე,
წმიდა სული ზედ ანნასთან
თქვენ ორივეს გადმოგყურებთ"
დაილოცეს მოხუცებმა,
ღმერთს შესწირეს შესაწირი
და ჩაიდეს გულში ცნება
ყურისათვის არა მწირი
"ჩვენ გვაჩუქოს ვინც ზე ნებამ
ღვთის იყოსო შესაწირი"
ცხრა დეკემბერს მუცლად ეღო,
ანნა გახდა ღირსი ბედად,
ცხრა თვის მერე ყველას გვერგო
ყოვლადწმიდა დედა ხვედრად.
... მოგვევლინა ღვთისმშობელი
დედა წმიდა, თვით, ქრისტესი
ხსნას დღეს მისგან, ჩვენ, მოველით!...

კ მ ა რ ა

ათასჯერ მოვკვდე და აღვსდგე ისევ
უკვე მომსვლია ეს არა ერთ გზის,
მე მაინც ქრისტეს ნაკვალევს მივსდევ
მჯეროდეს მინდა, კვლავ, ერთი ღმერთის,
მხოლოდ მის ზე ხატს მივაპყრა მზერა
და მის გაკვალულ გზაზე ვიდოდე,
სიყვარულს უწყოს ამ გულმა ძგერა
ამაზე მეტი რაღა მინდოდეს,
ვიცით, ღმერთია თვით სიყვარული
და მაინც, ზოგი არჩევს სიძულვილს,
დღეს გამწყრალია იმათი გული
ვერ მიაღწიეს, რადგან მათ სურვილს,
ვერ მიაღწიეს და არც იფიქრეს
იყვნენ კი ღირსი, რომ მიეღწიათ
და დავიწყებულთ ღვთისგან, იმ პირებს
გულს სიძულვილად, ეშმა ეწვიათ,
ღმერთო ნუ იზამ!.. მე გევედრები
შენთვის გაჩენილს, ნუ მისცემ ეშმას
შენ დაუმშვენე შენს ხალხს გვერდები,
რათა მათ გულებს, ეშმა მოეშვას,
გათავისუფლდეს ყველა სულდგმული
რქიანი მტერის მარწუხებისგან,
ყველამ გაუხსნას სიყვარულს გული
თავდახსნილებმა დამწუხრებისგან.
... გაგვიხსენ ღმერთო! ცხონების შარა
შენა ხარ ძალა! უთხრა მტერს: „კმარა“!

მამა ცისა გვიშველის

კაცთა მოდგმის მტერი გვებრძვის... სატანა
ქართველებო!.. თავს დაგვაჯდა, მთლად მგონი,
ჩვენ ერთურთის დაგვავიწყა გატანა,
ტვინს გვიბურღავს, დაგვიბინდა მთლად, გონი.
მარტო დავრჩით კავკასიის შვილებში
ქრისტეს რჯულში. სხვა ყოველი მოგვპარა,
ჩრდილში მყოფნი წაგვაცალა პირველში,
და სამზეთშიც, უკვე, შემოგვეპარა.
თავს მოგვფინა უამრავ ღრუბელი
ჩაგვიბნელა, რომ გვამყოფოს ბნელეთში,
ჩვენს სისხლსა წოვს ისე, როგორც წურბელი
ცხრა ვერცხლს გვაჩრის, თითოეულს ხელებში.
კაცს, წინასწარ მოშიებულს... ცხრა ვერცხლი
სულს წასძლევს და ხელსაც კიდებს მრავალი,
რადგან კუჭში ეკიდებათ მათ ცეცხლი
და ხდებიან ეშმას გეზით მავალნი.
.... დაფიქრებას ვინღა გვაცლის, თორემ კი
რომ არ გავხდეთ, ჩვენ, ბოლომდის შიშველი,
ქრისტესავით დავიყენოთ თორმეტნი
და მაღალი, მამა ცისა გვიშველის!

ღმერთის ნება

რომ გემდურის უფრო მეტი
ვიდრე, რომ გყავს მეზობელი,
თან იძახი: "ქრისტეს ვეტრფი"-ს
დაგიჯერებს? მაგას ელი,
ამდენ ტყუილს, ცოდვის ყუთში
რად ალაგებ ეშმას შვილო,
და თან ელი, ყოველ წუთში
აბა დანა ვინ გიშიშვლოს.
იბდღვირები მუსკულებზე
კაცთსიძულვილს ჭიმავ ძალით,
სხვისი ეზო-კუნძულებზე
თვალს აპარებ, მაინც, მალვით.
უამრავმა აგარიდა
თავი, შენთვის, ვითომ „ძმებმა“,
ჭკუას სწავლობს ამგვარიდან
რომ მოიქცნენ ისე სხვებმაც.
კი მიხვდება მალე ყველა
რავარიც ხარ ზე წყეული,
ისურვებენ თავის შველას
და დარჩები სულ ეული.
გახდები, მთლად, ციცქნა ბიჭი
დაგავიწყებს თავს ძუნძული,
რომ დაიძრონ "ძმებმა" ხიჭვი
შენგან გულში ჩახუნძული.
... შენც გეშველოს ეგებ ბოლოს
სხვებმა იგრძნონ, ირგვლივ, შვება
არ გაწყრება უთავბოლოდ
კაცთმოყვარე ღმერთის ნება!

გვიანი იქნება

ტვიების საფრქვევთა დაჟანგე სასხლეტი
ალაგმე იარაღს, დენთი და ტროტილი,
აავსე შახტები, რაკეტით ნაჩხვლეტი
და ყველა მსროლელი, გახადე მორჩილი.
ტყვიების ენაზე, ლაპარაკს შეუნთე
მნათესი გვარგუნე საამო ნათელი
ადრე ვინც ისროდა, უფალო შეუნდე
მშვიდობის აუნთე, მათ ყველას, სანთელი.
ხელთ ჯვარი, რომ გვეპყრას და არა ყუმბარა
სიკეთის ფრქვევაში გავმართოთ შეჯიბრი
ღმერთო შენ გვიშველე, გვაცხოვნე! თუ არა
ეს ლექსიც გამოვა, უბრალოდ, ვერლიბრი.
ეშმაკთა მემკვიდრეს, მოგვისწარ უფალო
ახალი მოგვმადლე, ნიჯი და გონება.
არც რწმენა, არც ნდობა, დღეისთვის არ კმარობს
თან ღმერთი გვგონია, ტყვია და ქონება.
სიყვარულს, მშვიდობას შეუნთეს ცეცლხად და
ყუთებში გვიწყვია, ჯვარი და ბიბლია,
სინდისი დღეს ფასობს ოცდაათ ვერცხლად და
ჩიტმაც კი გვაჯობა, მე მგონი, ნიბლიამ.
... თუ ჭკუა, უფლისგან, დროზე არ გვეღირსა
გვიანი იქნება! ღმერთი, რომ შეგვრისხავს!

რასაც მე დავთესავ

უფალო! მარგუნე მე სიბრძნე იმდენი
როს უჭირთ აქ მოყვასთ, ვუწამლო მათ ჭკუით,
რაცა მყავს, მე, ცხვარი! სულ შენთან მივდენი,
რად მინდა სიმდიდრე, სიბრძნეთი აღჭურვილს.
აკმარე ქართველ კაცს, ჭმუნვა და დუხჭირი
მიჰმადლე მათ შვება, ცოდვათა შენდობა,
ვინც სახლ-კარს, თავისას, ცრემლებით მისტირის
საკუთარ კერასთან აჩუქე ბედობა,
მათ რჩებათ იმედი, არ შერჩათ სხვა რამე.
იმედი შენია, ლოდინი მაგათი
ასხივე მათ სხივი, ზეციდან დანამე,
ყანა და ვენახი, აუვსე მანანით
აშორე წურბელა, უწოვით რაც ძარღვებს
ქალ-ვაჟი ახუტე თავ-თავის საბედოს,
მიუგდე სატანა, საგლეჯად, ავ ძაღლებს,
რათა ჩვენს მამულში მოსვლა არ გაბედოს.
ამრავლე ერი და აცხოვნე ნუგეშით,
შხამი მათ შეაშრე, ვისგანაც ინთხევა
იმათ, ვინც გვიმზადა, ჯერ, ყოფნა წუმპეში,
თვითონაც გაცადონ, მიეცი კურთხევა.
მიეცი ძალი და ულხინე ღატაკებს,
რათა მათ კვლავ შესძლონ ფეხებზე დადგომა
დაღუნე ისრები, რაც გულზე გვატაკეს
დევნილთ, შინ გვაგემე, ზეიმი აღდგომას.
... მომმადლე მე თესლი, სიკეთის სათესი
და ღატაკთ შეარგე, რასაც მე დავთესავ!

შეწყდეს მძვინვარება

„მოექეცი მოყვასს ისე
როგორც გსურდეს, შენ მოგექცენ“
და მიხვდები მაშინ მყისვე
სწრაფად დარდი, ვით მოგეხსნეს,
რადგან აზრი, რაც ზემოთ ვთქვი
გამოსული არის ღვთისგან
მე, მგვემდნენ თუნდ, სულ სალი ქვით,
გადამხვევი არ ვარ მისგან.
თუ შერჩევით, შენ, ხარ მქმნელი
ერთგან ჭრი და სხვაგან კერავ,
მაშ უფლისგან რაღას ელი
ჩანს მტრის ქარმა შეგიბერა,
ნუთუ ტანჯვა სამუდამო
აირჩიე "ძმაო" ბედად.
სხვისას ნუ ჭვრეტ კარ-მიდამოს
შენი ჟინის მოსახედნად.
არ პატიობს თავად ღმერთი
სულიწმიდის გმობას ასეთს,
ვინც კვლავ დარჩა მოსაკვეთი
მას უფალი თავსაც წაჰკვეთს,
რომ დარჩება ის ურჯულო
უთავო და მოკვეთილი,
ეგებ სხვას არ გაურთულო
ღმერთო, შენი გაკვეთილი.
... შენს მრევლს, თავად, შენ არგუნე
აღმასვლა და ბრწყინვალება,
ყველა სახლში დაგვაბრუნე,
შეწყდეს ქაჯთა მძვინვარება.

შენთვის ინათებს

გიყვარდეს ერთია... მითხარი, რა ქენი,
უყვარდე იმასაც, პასუხად შენისა,
სიყვარულს წვა შვენის... ამჯერად ეს, შენი
პასუხსაც ელოდე... თუ ეს წვა, გეღირსა.
ელოდე, თუმცა კი, ლოდინი ძნელია
თავი, რომ იზღვიონ, წესია ლამაზთა,
იცოდე, საქმეში, აქ, ბევრის მქნელია
თავი, რომ იჩინოს ვაჟკაცის ლაზათმა.
მებრძოლის ხვედრია, მიიღოს ნადავლი
სიყვარულს, რომ ფლობდე, ომია საჭირო,
ხანდახან მოგიწევს, ხაზს ასჯერ გადავლილს
გადასცდე ისევ და გზა გაინაპირო.
იარე!.. არ შედრკე, ის გელის იმ მხარეს,
რას იზამ მოგიწევს, გადაჭრა ღერძულის,
მერწმუნე გამოცდილს, გული იქ იხარებს,
სადაც შენ მთაცა გაქვს, ტრფობისთვის, შეძრული.
ტკბილია ის, რასაც მიაღწევ წვალებით
იშრომებ და ბოლოს, გექნება შედეგი,
შენს მომკილ სიყვარულს, თვით ენაცვალები
პასუხად ყელს, ყელზე, გადაგსდებს შენ გედი.
იცხოვრეთ, ილაღეთ, ამრავლეთ თქვენ ერი
უკეთესს რას იზამთ, უფრთხილდით სიყვარულს,
მაგრამ ერთს დამპირდით, როს დადგეს ეს ჯერი
უფალთან არ შეწყვეტთ, მუდმივად, სიარულს.
.... გირჩიე, რაც ახლა, თუ იზამ ბოლომდის
ბოლომდის იწამე, თუ შენი ხატება,
ღმერთიც არ აყოვნებს, გისრულებს მოლოდინს
და შენთვის ინათებს, სამყაროს ნათება!

ჩავწვდეთ სიღრმეში

განვედ მთის ძირას... წყარო ანკარა
ხევში წყნარ-წყნარად მოჩუხჩუხებდა
და შიგ კალმახი... წითელ წკანწკარა
აცეკვებული... გულს მიჩუყებდა.
ვფიქრობდი: ვიღაც დაიჭერს ამას,
და მადიანად შეწვავს ტაფაზე,
არაფერს ვამბობ, მერე ამ ლამაზს
რას უზამს მადა... პურის ჭამაზე.
ნეტავ!.. ვინ შექმნა ეს სილამაზე
ვინ მოგვაწოდა, ხონჩით, ხელებში,
დაფიქრებულა... ვინმე ამაზე
ვიდრე მოუჭერს, ცოცხალს ყელებში.
დავკლავთ, დავხოცავთ, მოვინადირებთ,
მერე, გავმართავთ სუფრაზე ხორხოცს,
თავში შემქნელსაც კი არ ვადიდებთ
თავის ქებისას, სულაც არ ვმორცხვობთ.
ბუნებას, იქეთ, მიეცი რამე,
აქეთ, რომ ართმევ... ფიქრობ ამაზე
ვინ გაგითენა, თუნდაც ეს ღამე
ან, როგორ გაჩნდი... ამ ქვეყანაზე.
ჩვენთვის შექმნაო, ვიტყვით, გამჩენმა
და გავიმართლებთ, ვითომ, მით თავსა
ადამიანად! მან თქვა გაჩენა
ჩვენ კი, ვაწვალეთ... მივენდეთ ავსა.
.... ადამიანად, გვინდა?.. დარჩენა
სიღრმეში ჩავწვდეთ საუფლო მრწამსსა!

ს ა რ ჩ ე ვ ი

გიორგი აღნიაშვილი, პროზაიკოსი	3
ელიონორა ძიგუა-ბიბლიოთეკარი	4
ღირდა ლოდინი	5
სადა ვართ	6
კარგია	7
ნამდვილ სიყვარულს	8
თუ გაბავრდა	9
სული ეული	10
ვინ შეარჩენდა	11
უკეთესი არ მეგულვის	12
მზად ვარ	13
მათე ბიჭო	14
ცხოვრების იმედი	15
ავიხდენ სურვილებს	16
ვინც ცოდვის გარსია	17
არ მომხდარა	18
სანამდე გავყვითლდით	19
ცხელ ტბაში	20
ყველა დაინახავთ	21
სიმღერით ვაღმერთოთ	22
თანხვედრი გახდება	23
რომ არა ცოდვები	24
ნუ ვაგებთ მახეს	24
ვასრულებ რჩევას	25
ალბათ ვუკმევთ	26
ვინც არ იწამა	27
თეას	28
დროა მართავდეს	29
არავინ უკმევს	30
თქვენსავით ვლეწო	31
ბატონო კახ ა	31
სერაფიმესგან გაგვიტკბა	32
იმავე წამში	33
ძმაო, გიორგი	34
სიზმარი დ ა რული	35
მეტ- ნაკლებად	36
თაფლში სანთლად	37
დროა მივიღოთ	38
შუაზე გამყოფს	39
მრავალს დასწრებოდეთ	40
სხვაა სხვისი	41
ვეღარ მიქია	42
სუმერი	43
რომ არ ყვავობდეს	45
მამავ, არ მოგვაკლო	46
შენი მაქვს იმედი	47

ცხადი სიზმარში	48
ვიკმაროთ სრულიად	49
მოვისხათ ასი ყური	50
გახდით მისაღები	51
მრავალშამიერ	52
გადავძახებთ	53
ქრისტე იშვა	54
ტყუილად შევები	55
სანატრელია	56
უფლის თვალის წინ	57
მივბაძოთ ფუტკარს	58
გვეყოს	59
შენ თუ ლომმა	60
დამთანმხდი	61
საახალწლო	62
უკეთესს ვერ ვიტყვი	64
გამარჯვების გარანტი	65
დაგვიცდის უფალი	66
ძმური განწყობა	67
ლია ქებურიას	68
მონა არ იყვნენ	69
ბედს არ დავუთმობ	70
სულ ველი	71
დავწვათ ეშაფოტი	72
უსასრულო მადა	73
სიმართლის პატაკი	74
უშენობით	75
ხარობდნენ ყველანი	76
გათენდება ჩვენი დღენი	77
სადაც ავანთეთ	78
სუფთა სანთელს	79
იქვე ვხარობდეთ	80
სახიერის	81
შევიცნოთ ბოლომდე	82
აგინთებ სინანულს	83
ჩვენი შევირგოთ	84
ღვინოს სმა მსურს	85
ვიფრინოთ ერთად	86
სიხარულის ზანზარი	87
ეშმად ნუ გადაქცეულხარ	88
მივენდოთ დიდსა უფალსა	89
გაგვიხსენი კარი	90
ქართველობა	91
ღვთის თაყვანმცემლად	92
სიცოცხლით ამოყორება	93
სიზმარი ცხადში	94
შემოიჭერი კვლავ ჩვენთან	95
ხვედრი თვისი	96

ედემის ბაღი 97
დამიჯერე 98
ემიგრანტის ამოძახილი 98
ედემს შიდა 99
არ ტირის 100
ავაგუგუნოთ "ჩაკრულო" 101
გმირთა მსგავსნი 102
ბრწყინვალე და მშვენიერი 103
გავჭრათ სადაც მიგვანიშნა 104
არ გაწყრება 105
ჩამდგარ ქანებს 106
დაუბრუნდეს სიდიდეს 107
სანამ არ არის გვიანი 108
რომ აღარ წავხდეთ 109
ჩემთან დაგიცდით 110
შენი ვართ 111
წყალს გაჰყვეს 112
სამოთხე სრული 113
ვეღარ გახვალთ ფონზე 114
შენს ხატად გვხატე 115
ვტანჯავთ თვით თავსა 116
იყავ ჩვენი ღმერთი 117
სანამ ჩვენია 118
მოსამართლევ 119
გვაშორე ავი ჩრდილები 120
მომრავლდა გველები 121
ჩაგვიდე თავში 122
სურს კაცს ესმოდეს 123
ბევრი ვაგვირისტეთ 124
ჯერ ვერ გამეღო 125
არ ჭირდება ძილი 126
მეტი ვეღარ გავთვალე 127
გავანათებთ მყოფადს 128
ვინც ირწმუნოს 129
გვექნება შველა 130
ჭაღარა ჭარბობს 131
არა ვართ რობოტები 132
მგონი გაგვწირეთ 133
ჩვენ ვირჩიეთ 134
მოგვარიდე ღმერთო 135
ქვაზე მჯდარ ქვას 136
მიაკო მშვენიერს 137
კაცის გული 138
ღვთის სანთელი 139
იხილავს ბოლოში 140
როდემდის ითმინოს 141
ღმერთმა გაახაროს 142
ამიერიდან 143

უეკლო სიყვარულებით	144
გვიწყრება ზენა	145
არ გვაგრძნობინო დაღლა	146
მაინც ვერ შესძლეს	147
ნუღარ ვგლახობთ	148
მთავარ ძელს	149
ზეცით ნაძერწი	150
გჯეროდეს	151
ვერას გეგმავდე	152
ლოცვად ვაქციოთ	153
ვინც გახადოს ვაშკაცური	154
გვეცვას ფარაჯა	155
დაფიქრდი... მაინც	156
ნუ იქნებით მარტო	157
ყურმა ისმინოს	158
ლტოლვილის ნატვრა	159
ხმათა ჯარი	160
ათავისუფლეთ თავი	161
ცრემლი ჩამოსდის	162
ამყოფე უკეთ	163
ღვთისგან ნაბოძი ნოტები	164
ძლივს ვახერხებთ თავის რჩენას	165
პირიქითობის ეფექტი	166
ნათელო შვილო	167
ივიწყებ კაცურ ბუნებას	168
ტრფობის შემქნელი	169
ღვთისგან ქებულნი	170
გამყიდველი	171
მოგვანიჭებს აღმაფრენას	172
როდის დავცალოთ	173
რად არ ვიქეცით ხალისად	174
ღვთისგან მოგსდევს	175
გადაგიხდის სიყვარულით	176
ჯერ უპასუხე	177
მიჰყევი მშვიდად	178
მხრები დავფერთხოთ	179
საღმა აზრმა იმეფოს	180
მოგვევლინა ღვთისმშობელი	181
კმარა	182
მამა ცისა გვიშველის	183
ღმერთის ნება	184
გვიანი იქნება	185
რასაც მე დავთესავ	186
შეწყდეს მძვინვარება	187
შენთვის ინათებს	188
ჩავწვდეთ სიღრმეში	189

დავბადებულვარ, ნებისაებრ ღვთისა... ენკენის თვის პირველ რიცხვში, როცა ყველა მოზარდი მიისწრაფოდა სკოლისაკენ, სწავლის შესაძენად!... ჩემს დაბადებას გაუხარებია, პირველ რიგში ოჯახი, სამ ქალიშვილში ერთი ვაჟიშვილი გავრეულვარ... ალბათ ამიტომ... და სოფელიც, რადგან ჩემს დაბადებამდე, ჩემი უფროსი ძმა, ათი წლის ასაკში, ანგელოზად, ღმერთს მიუბარებია და დამწუხრებული სამეზობლოც გამოცოცხლებულა ჩემი დაბადებით!.. ამგვარ გარემოცვაში დაბადებულს, მოფერება და მზრუნველობა არ მომკლებია და გავიზარდე ისეთი, როგორიც გავიზარდე!.. ბევრგან მისწავლია, მაგრამ რამდენი ავითვისე ღმერთმა უწყის!!. წერა, სკოლაში მასწავლეს!.. პოეზიის სიყვარული და ლექსის წერა კი უფალმა ჩამაგონა!.. ვწერ იმას, რასაც გამჩენი მკარნახობს, მუზის მეშვეობით... რათა აღვასრულო ნება, უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტე მაცხოვრისა!.. დიდება უფალს!!!

...და აი, ისევ უფლის ნებით, მკითხველთა გემოვნებისა და ხატოვანი გონის განსასჯელად, ღრმა სიყვარულით თქვენზე, წიგნის მკითხველ ადამიანებზე, უსაზღვროდ შეყვარებული წარმოგიდგენთ ჩემს პირველ კრებულს-მე შენით მინდა ვიცოცხლო!!!!!

ISBN 978-9941-0-9767-6
9 789941 097676